

ბავშვთა ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი

საშინალო
ბანოთარბის
ინსტიტუტი



**CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE**



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)
საერთაშორისო პოლიტიკის, ადვოკატებისა და სამოქალაქო სოციალური განვითარების საქმიანობები



GEORGIA

EAST-WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საერთო პოლიტიკის, ადვოკატირების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

სამოქალაქო
ბანკითარების
ინსტიტუტი



**CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE**

ბავშვთა ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი

თბილისი - 2012

პროექტი – „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირება“ ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის – „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში.

ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაცია არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

Project „Advocacy for Child Friendly School“ is implemented through the Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC) program of East-West Management Institute (EWMI).

This program was made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).

The contents of this publication do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.

„სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მონყობილი, დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწოთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს თვითმმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს საკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“.

დიმიტრი უზნაძე, 1917 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
სოფიო გორგოძე, სიმონ ჯანაშია	
უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტი,	7
ნათია ანდლულაძე, თამარ მოსიაშვილი, ვანო კეჭაყმაძე	
კვლევა-უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები	32
სოფიო გორგოძე	
კლასის მართვა	81
სიმონ ჯანაშია	
მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო ფიზიკური გარემო.....	113
Sophia Gorgodze, Simon Janashia	
School Safety, Policy Paper,	156

შესავალი

გზამკვლევი განკუთვნილია საჯარო სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაინტერესებული პირებისთვის.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება.

პირველ ნაწილში მოცემულია უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტი და კვლევის - „უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები“ - ანგარიში.

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტში მკითხველი გაეცნობა საქართველოში არსებულ სიტუაციას, საერთაშორისო გამოცდილებასა და ექსპერტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, რომლებიც სკოლის წარმომადგენლებს დაეხმარება, სკოლაში უსაფრთხოების ხარისხი გაზარდონ; ყურადღება გაამახვილონ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სკოლის უსაფრთხოების შეფასება, პროცესზე ორიენტირებული მიდგომების დაწერვა, სხვადასხვა პროგრამის განხორციელება და სხვა.

კვლევის - „უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები“ - ანგარიში სკოლის წარმომადგენლებსა და განათლების სპეციალისტებს სტრატეგიული გეგმების დასახვაში დაეხმარება. იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი კი საშუალებას მისცემს მათ, უკეთ გაიაზრონ საქართველოს სკოლებში არსებული მდგომარეობა. განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებს კვლევა დაეხმარება, გადახედონ კონტროლზე ორიენტირებული სკოლის ხისტ პოლიტიკას, სახელმწიფო პროგრამები მოარგონ კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ საჭიროებებს, აღიარონ სკოლებში არსებული სიტუაციის მრავალფეროვნება და სკოლის როლი - თავად დაგეგმოს და გადაჭრას უსაფრთხოების მხრივ არსებული პრობლემები.

წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციების შემცველი სტატიები სკოლის გარემოსა და კლასის მართვაზე. სკოლის გარემოსა და კლასის ეფექტური მართვის გარეშე შეუძლებელია, სკოლა უსაფრთხოდ ჩაითვალოს.

როგორი უნდა იყოს სკოლის ფიზიკური გარემო? რა რესურსებს ფლობს სკოლა, რომ უსაფრთხო გარემო თავად შექმნას? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი კლასის ეფექტური მართვისთვის? როგორ მოვახერხოთ ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა? როგორ ვითანამშრომლოთ მათ მშობლებთან? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მკითხველი გზამკვლევის მეორე ნაწილში იპოვნის.

პოლიტიკის დოკუმენტი - უსაფრთხო სკოლა

9 იანვარი 2012წ.

სოფიო გორგოძე
სიმონ ჯანაშია

რეზიუმე

პოლიტიკის ამ დოკუმენტის მიზანია, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უსაფრთხო სკოლის კონცეფციის გაუმჯობესების გზები შესთავაზოს. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული ვითარების, პოლიტიკის, სამართლებრივი დოკუმენტებისა და სკოლის დონეზე ვითარების შესწავლას. ალტერნატივების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო ძალადობის შემცირების სფეროში საერთაშორისო გამოცდილება და სამეცნიერო ცოდნა.

უსაფრთხო სკოლის კონცეფცია უნდა გულისხმობდეს მოსწავლეებისა და პერსონალის უსაფრთხოების ფართო გაგებას - როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლის არქიტექტურა, ინვენტარი, ჯანსაღი კვება, უცხო პირების სასკოლო ტერიტორიაზე შეშვება, კატაკლიზმებთან და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რუტინები და სხვა წინასწარი ზომები მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას ეხმარება.

ამ დოკუმენტის მიზანია უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მხოლოდ ერთი მიმართულების - ძალადობის შემცირების - თვალსაზრისით რეკომენდაციების შემუშავება. ძალადობა, ისევე, როგორც სკოლის უსაფრთხოება, ფართო თემაა და მოიცავს როგორც მოსწავლეებს შორის არსებულ ძალადობას, ისე - ზრდასრულებსა და ბავშვებს შორის არსებულ პრობლემებს.

დოკუმენტში ძირითადი აქცენტი მოსწავლეების მიერ უერთიერთჩაგვრის შემცირებაზე კეთდება. ჩაგვრას მრავალი გამოვლინება

აქვს. ის მოიცავს ფიზიკურ შეურაცხყოფას, მუქარას, დაშინებას, ჭორების გავრცელებას, დაცინვას, გარიყვას, რაიმეს დაძალებას, გამოძალვას, იარლიყების მიწებებას და სხვ.

ძალადობის მოცულობის შემცირებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ნებისმიერ მოსწავლეს ჰქონდეს პირობები, რათა თავი მაქსიმალურად უსაფრთხოდ იგრძნოს და თვითრეალიზება შეძლოს. ძალადობის შემცირება მნიშვნელოვანია უსაფრთხო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვისაც, რადგან სკოლაში შეძენილი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ღირებულებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ზრდასრულობაში მოქალაქეების ქცევას. ასევე ცნობილია, რომ ძალადობის შემცირება სკოლებში დადებითად აისახება განათლების ხარისხზე.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩაგვრასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზებია ის, რომ:

- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში საკმარისად არ არის დანერგილი პროგრამები, რომლებიც დაეხმარებოდა სკოლებს მათ საჭიროებებზე მორგებული კონკრეტული მიდგომების სისტემურად დანერგვაში.
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის დღევანდელი სისტემა საკმარისად არ იყენებს სკოლასა და საზოგადოებაში არსებულ რესურსებს.
- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მართვის სხვადასხვა ელემენტი, შესაძლოა, ხელს უწყობდეს მოსწავლეების მიმართ ისეთი მიდგომების ჩამოყალიბებას, რაც მათ გარიყვას უწყობს ხელს.
- უსაფრთხოების დღევანდელი სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია ინფრასტრუქტურაზე, ვიდრე სათანადო პროცესების ჩამოყალიბება/განვითარებაზე და მოსწავლეებში ღირებულებების დამკვიდრებაზე.

პოლიტიკის დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებს თითოეული პრობლემური მიმართულებისთვის. ძირითადი რეკომენდაციაა, რომ:

- მეტი ყურადღება მიექცეს სასკოლო პერსონალისთვის მოსწავლეთა ქცევების მართვის სტრატეგიების შესწავ-

ლას. სკოლების ადმინისტრაციას, მანდატურებს, მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს უნდა მიენოებოდეთ საჭირო ლიტერატურა, საკონსულტაციო და სატრენინგო სერვისები.

- სკოლის და/ან უფრო ფართო დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სერვისები, რომლებიც მუშაობს ძალადობის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან (მსხვერპლთან, მოძალადესთან, შემსწრებთან).
- სკოლებში წახალისებული უნდა იყოს ძალადობის ფაქტების გამოვლენა, რისკის ჯგუფში მყოფი მოსწავლეების მიმართ ინკლუზიური მიდგომების დანერგვა და სასკოლო საზოგადოებისა და სახელმწიფოს რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია.
- ჩამოყალიბდეს მკაფიო სისტემა, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულებები ეფექტურად გადანაწილდება სახელმწიფოს, სკოლასა და საზოგადოებას შორის.

1. საქართველოს განათლების სისტემის მდგომარეობის მიმოხილვა უსაფრთხოების თვალსაზრისით

ძალადობის პრობლემის მოცულობა სკოლებში

ძალადობა, კერძოდ კი, ჩაგვრა (bullying) ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოს სკოლებშიც გავრცელებულია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ამ მიმართულებით საკმაოდ ცოტაა, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაგროვილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსწავლეების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის ძალადობა სასკოლო ცხოვრების ნაწილია.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსწავლეების უმეტესობა (77.5%) სკოლაში თავს ყოველთვის უსაფრთხოდ თვლის (UNICEF 2008). თუმცა, გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სკოლაში ძალადობასთან ჰქონდა შეხება. კვლევის მიხედვით, ძალადობის შესახებ უფრო მეტს უმცროსი ასაკის (10-11 წლის) მოსწავლეები საუბრობენ. ძალადობა სკოლაში უფრო ნაკლებად არის გავრცელებული თბილისში, ვიდრე თბილისის გარეთ. ეს კვლევა საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვანვდის იმის შესახებ თუ რამდენად არის კავშირში საქართველოში ძალადობა სოციალურ სტატუსთან. ამავე კვლევაზე დაყრდნობით, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად და რა პერიოდში ხდება ხოლმე ძალადობა. კვლევა ასევე გვანვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ძალადობის გამოვლინებებისა და მათი განსხვავებული გავრცელების შესახებ გოგონებს შორის და ბიჭებს შორის.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის შედეგების TIMSS 2007 წლის მონაცემებით, გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით 88%-ის მასწავლებლების შეფასებით, საქართველოში სკოლები უსაფრთხოა და იქ არსებული უსაფრთხოების ზომები საკმარისია. თავად მოსწავლეები ამ კვლევის მიხედვით სხვაგვარად ხედავენ ვითარებას. მერვეკლასელთა 73%-მა აღნიშნა, რომ ის ძალადობის მსხვერპლი არ ყოფილა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დადებითი შეფასებაა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც 2007 წელს იკვლიეს. სამწუხაროდ, იმ ბავშვების წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ძალადობის მსხვერპლი არ ყოფილან, მეოთხეკლასელებში გაცილებით დაბალია - 48% (Mullis 2008). ანალოგიური მონაცემები გვაქვს იმავე წელს ჩატარებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევაშიც (Martin 2008).

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის მოცულობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2009 წელს 595, ხოლო 2010 წელს - 543 შემთხვევას მოიცავს (შსს სტატისტიკა). სტატისტიკის სიმცირიდან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, ამ შემთხვევებიდან რამდენი უკავშირდება სასკოლო ძალადობას. ჩაგვრის მრავალი ფორმა თუ შემთხვევა სამართალდამცავებამდე არ მიდის და, შესაბამისად, ისინი სტატისტიკის მიღმა რჩება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, მანდატურების სისტემის პილოტირების დაწყებიდან უკვე ორი კვირის თავზე მნიშვნელოვნად შემცირდა ძალადობა სკოლებში (ბარაბაძე 2010). ამ სისტემის დანერგვიდან სამ თვეში კი, სამინისტროს განცხადებით, პრაქტიკულად აღმოიფხვრა ფულის გამოძალვისა და მოსწავლეთა დაპირისპირების ფაქტები იმ სკოლებში, რომლებსაც მანდატურები ჰყავდა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 12.11.2010). რთულია ამ მონაცემებზე დაყრდნობა, რადგან, ერთი მხრივ, კვლევის ანგარიში არ გამოქვეყნებულა და, მეორე მხრივ, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მეთოდოლოგიით არის შესაძლებელი სანდო კვლევის ჩატარება ამ ვადებში.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, საზოგადოებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა სკოლის უსაფრთხოების აღქმის თვალსაზრისით (GORBI 2011). კვლევის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა (16%-დან 34%-მდე) იმ გამოკითხულთა რიცხვი, რომელიც მიიჩნევს, რომ ბავშვი სკოლაში ძალადობისგან სრულიად დაცულია. დაახლოებით ამავე პროცენტით შემცირდა მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ბავშვი სკოლაში ძალადობისგან სრულიად ან უმეტესად დაუცველია.

ძალადობის პრობლემის მართვა სისტემის დონეზე - არსებული პოლიტიკა

სკოლის უსაფრთხოება საქართველოს სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. ამ მიმართულების პრიორიტეტულობა ჩანს, როგორც საქართველოს მთავრობის განცხადებებში, ისე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტში.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციაზე საუბარია, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტების ამსახველ

დოკუმენტებში, ისე საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტში 2011-2015 წლებისთვის (საქართველოს მთავრობა 2011).

დოკუმენტების მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში უსაფრთხოების ზრდას რამდენიმე გზით ცდილობს: მანდატურების სისტემის დანერგვა, სკოლებში ფულის მიმოქცევის შემცირება, სკოლებში სწავლების სხვადასხვა საფეხურის დანაწევრება, სკოლებში სათვალთვალო კამერების დაყენება.

მანდატურების სამსახური

მანდატურების სისტემა ქალაქების საჯარო სკოლებში დაინერგა. სახელმწიფო აქტიურად ცდილობს, ეს სისტემა კერძო სკოლებშიც გაავრცელოს. მანდატურების სისტემის დანერგვისთვის, სახელმწიფომ შექმნა სპეციალური სააგენტო „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“. 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ამ სამსახურში საშტატო განრიგით 934 ადამიანი მსახურობდა და სამსახურის ბიუჯეტი დაახლოებით 7.7 მილიონ ლარს შეადგენდა (ფინანსთა სამინისტრო 2011).

მანდატურების სამსახური ოფიციალურად საჯარო თუ კერძო სკოლებთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სკოლებს ემსახურება. მანდატურის სამსახური, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და მისი დებულების თანახმად, სხვა მიზნებთან ერთად, ზრუნავს სკოლებში ძალადობის შემცირებაზე (საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 2010).

სახელმწიფო მნიშვნელოვან დროსა და რესურსებს უთმობს მანდატურების სამსახურის ეფექტურობაზე საუბარს სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით, აგრეთვე, სოციალურ რეკლამას. მანდატურის სამსახურის დანერგვას ემთხვევა საზოგადოების მიერ სკოლების უფრო უსაფრთხოდ აღქმის გაძლიერება. ეს, ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან მიდგომის დადებითი და მნიშვნელოვანი შედეგია.

თუმცა, მანდატურის სამსახურის დანერგვას ახალი პრობლემებიც მოჰყვა: შემცირდა სკოლების ავტონომია; შესუსტდა სკოლის ადმინისტრაციის ძალაუფლება და მასწავლებლების როლი დაკნინდა.

მიუხედავად იმისა, რომ, კანონმდებლობის მიხედვით, მანდატურის სამსახური სკოლასთან ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთობს, რეალურად, საჯარო სკოლებში მანდატურების შეყვანას სა-

მინისტრო წყვეტს. შესაბამისად, საჯარო სკოლას არჩევანი არ გააჩნია - ჰყავდეს თუ არა მანდატურის სამსახური. ასევე, სკოლა ვერ ირჩევს, თუ ვინ იქნება ის კონკრეტული მანდატური, რომელიც მის ტერიტორიაზე იმსახურებს. გავრცელებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მანდატურებს დიდი გავლენა აქვთ სკოლის ადმინისტრაციაზე.

არც კანონმდებლობით და არც პრაქტიკაში დამკვიდრებული ქცევების საფუძველზე, სახელმწიფო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ან მის დაქვემდებარებაში არსებული მანდატურის სამსახური არ თვლის თავს ვალდებულად, ანგარიში ჩააბაროს კონკრეტული სკოლის - ან უფრო ფართო - საზოგადოებას. დოკუმენტაცია იმის შესახებ თუ რა სტრატეგია ან რა ინსტრუქციები აქვთ მანდატურებს, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. სამინისტრო არ აქვეყნებს სრულ ანგარიშს კვლევისა, რომლის საფუძველზეც, თითქოს, გვაქვს გაუმჯობესება უსაფრთხოების თვალსაზრისით. სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, შეუძლებელი ხდება დამოუკიდებელი კვლევების წარმოება სკოლებში.

არსებული ვითარების შესახებ სახელმწიფოს ინფორმაცია ეფუძნება სკოლაში მანდატურების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. მანდატურები დარღვევებთან დაკავშირებით წერენ ოქმებს და ანგარიშებს, რომლებსაც უგზავნიან თავიანთ სამსახურს (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი 2011). აქვს თუ არა სახელმწიფოს სხვა მეთოდი ინფორმაციის მოპოვებისთვის, არც ერთი ოფიციალური წყაროთი არ დასტურდება.

ინფორმაციის მოპოვების ეს მეთოდი პრობლემატურია, რადგან მანდატურების ეფექტურობის შეფასების სისტემას უკავშირდება. მანდატურები შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ დარღვევების რაოდენობის შესახებ ინფორმაციით მანიპულირებით იმისთვის, რომ მათი სამსახურის ხელმძღვანელობის მიმართ არსებული მოლოდინები გაამართლონ. საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე ძნელია იმ მექანიზმის დანახვა, რომლითაც სახელმწიფოს ინფორმაციის გადამოწმება შეუძლია. კონკრეტულ სკოლებში არ ხდება იმ ადამიანების (მოსწავლეები, მშობლები) გამოკითხვა, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებს უშუალოდ არ ექვემდებარებიან.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

სახელმწიფოს მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარისხის მართვის მთავარი მექანიზმები საქართველოში ავტორიზაციის, აკრედიტაციის, ბრენდირებისა და სასკოლო გამოსაშვები გამოცდების სისტემებია. ამის გარდა, სახელმწიფო ეროვნული სასწავლო გეგმის მეშვეობით სასწავლო პროცესებს, გრიფირების პროცედურით - სასწავლო მასალებს, სერტიფიცირების სისტემით - მასწავლებლების კვალიფიკაციას არეგულირებს. სახელმწიფო, ასევე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ნერგავს.

არც ერთი ეს მექანიზმი არ განაწყოებს სკოლას ძალადობის შემცირების ეფექტური მექანიზმების ამოქმედებისთვის. ზოგიერთი ამ მექანიზმთაგანი, შესაძლოა, ძალადობის პრობლემაზე ადეკვატურად რეაგირებას ხელსაძვი უშლიდეს.

სკოლების ბრენდირება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, იმისთვის შეიქმნა, რომ მშობლებმა იცოდნენ, თუ რა ხარისხის განათლებას აძლევს სკოლა მათ შვილებს. ასევე, ბრენდირებამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლების განვითარებას - კონკურენციის გზით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010). სავარაუდოდ, ბრენდირების კრიტერიუმები შემუშავებულია იმ გათვლით, თუ რა მიმართულებით უნდა სახელმწიფოს, რომ გავლენა იქონიოს სკოლების განვითარებაზე.

სკოლების ბრენდირების კრიტერიუმებს შორის არის უსაფრთხოების მიმართულებაც. მონმდება, არის თუ არა სკოლაში დარაჯი, დაცვის პოლიცია, მანდატური, ევაკუაციის გეგმა, ვიდეოთვალი და ღობე. არ არის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც სკოლა ეცდებოდა, საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკა, ძალადობის შემცირებაზე ორიენტირებული მიდგომები ჰქონოდა. ასევე არ არსებობს კრიტერიუმები, რომლებიც აღრიცხავდა სკოლაში ძალადობის გამოვლინებებს ან ძალადობის აღქმას სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

შესაბამისად, ბრენდირების საფუძველზე ხდება მხოლოდ ინფრასტრუქტურით (ადამინაური, ფიზიკური და ტექნოლოგიური) უზრუნველყოფის და არა უსაფრთხოების მართვის პროცესების დაწერგვის წახალისება.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში, სკოლები ვალდებული არიან, საკუთარი თავი სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით შეაფასონ. აკრედიტაციის ინსტრუმენტებში არ არის ასახული სკოლებში უსაფრთხოებასთან და, აქედან გამომდინარე, ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები. ავტორიზაციის სტანდარტსა და, შესაბამისად, კითხვარშიც არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). ძალადობასთან დაკავშირებით ავტორიზაციისას, სკოლამ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად აქვს მას სკოლაში წესრიგის დაცვის მექანიზმები. გარდა ამისა, კერძო სკოლებს მოეთხოვებათ ვიდეოთვალის მეშვეობით სასკოლო პერიმეტრის კონტროლიც. ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებულ რეკომენდაციების დოკუმენტებში არ არის ნათქვამი, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს წესრიგის დაცვაში.

ისევე, როგორც ბრენდირების შემთხვევაში, სახელმწიფო სკოლებისგან არ ელის რაიმე კონკრეტული პროცესებისა და პროცედურების არსებობას ძალადობის შემცირების კუთხით. თუ ბრენდირების სისტემით ვიდეოკონტროლის ნახალისება ხდება, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სისტემით ეს კონტროლი სავალდებულოა მხოლოდ კერძო სკოლებისთვის. არც ბრენდირების და არც ავტორიზაცია/აკრედიტაციის სისტემაში არ ჩანს კრიტერიუმები, რომლებიც ხელს შეუწყობდა სამინისტროს ორი პრიორიტეტის დანერგვას: სკოლებში ფულის მიმოქცევის შემცირებას და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეების ერთმანეთისგან განცალკევებით სწავლებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სასკოლო კულტურასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ სასურველია სკოლამ ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო დანერგოს (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი 2011). მოსწავლის ქცევის შესახებ ინფორმაციის მთავრი მფლობელია დამრიგებელი. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დამრიგებელი ატარებს მოსწავლეებთან რეგულარულ შეხვედრებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე. დამრიგებელი ასევე ხვდება მშობლებს და აცნობს მათ მოსწავლის ქცევებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმა დამრიგებელს არ უნებს რაიმე მკაფიო პროცედურებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დანერგოს მოსწავლეებში პოზიტიური ატმოსფერო, მაგრამ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოშვებული სადამრიგებლო საათის გაზიარებული სასარგებლო რჩევებს იძლევა ამის თაობაზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე არეგულირებს მოსწავლეების გაცდენებს. თუ მოსწავლე საგნისთვის განკუთვნილი წლიური საათების რაოდენობის 1/4-ზე ნაკლებს აცდენს, მას, ამ გეგმის მიხედვით, სანქციები არ ემუქრება. ეს შესაძლოა პრობლემური იყოს იმ მოსწავლეებთან მიმართებაში, რომლებიც ძალადობის მიმართულებით რისკის ჯგუფის წევრებად არიან მიჩნეულნი. ასეთ მოსწავლეებს თამამად შეუძლიათ, გააცდინონ სკოლა. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაინტერესდეს ასეთი მოსწავლეებით, თუ ისინი ერთ კვირაზე მეტს აცდენენ წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლებს ავალდებულებს, რომ სასკოლო შინაგანანესში იყოს გათვალისწინებული „სოციალური ქცევის სპეციფიკური ინსტრუქციები“, რომლებიც ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის იქნება განკუთვნილი. სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია, რომ დისციპლინური სასჯელები მოსწავლის ღირსებას არ უნდა ლახავდეს.

ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ე.წ. გამჭოლ კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც ნებისმიერი საგანი უნდა უწყობდეს ხელს. მათ შორისაა ე.წ. „სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია“. ძალადობის შემცირებასთან კავშირში აქ ნახსენებია ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციები, როგორებიცაა თანამშრომლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, შემწყნარებლობა.

სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა გზით კონფლიქტების თავიდან აცილებასა და გადაჭრას. ამ კურსის ფარგლებში ისინი იღებენ ინფორმაციას კანონმდებლობის, თავისუფლებებისა და უფლებების შესახებ.

რომ შევაჯამოთ, ეროვნული სასწავლო გეგმა, ერთი მხრივ, მოუწოდებს სკოლებს, რომ მოსწავლეებს ასწავლონ ქცევა და შექმნან პირობები ღირებულებების განვითარებისთვის, მეორე მხრივ კი, ცდილობს, ზოგიერთი საგნის ფარგლებში დადამრიგებლის საათის მეშვეობით დაავალდებულოს სკოლები, რომ აღზრდა ფორმალიზებულ გარემოში მოხდეს. ეროვნული სასწავლო გეგმის სუსტი მხარეა ის, რომ არ ითვალისწინებს კონკრეტულ სკოლაში არსებული კონკრეტული პრობლემებიდან გამომდინარე სწავლებას და უფრო მეტად სტანდარტულ მიდგომებს გულისხმობს. მაგ. სადამრიგებლო საათის გზამკვლევი, ძირითადად, ურჩევს სკოლებს, დიდაქტიკური შინაარსის მოთხრობებზე რეფლექსიის მეშვეობით ასწავლონ

ქცევა მოსწავლეებს. ამავდროულად, არ არის შეთავაზებული, რომ სკოლაში არსებული კონფლიქტებისა და ძალადობის გამოვლინებებზე სტრუქტურირებულ გარემოში მოხდეს რეფლექსია.

მასწავლებლების სერტიფიცირება ხდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2008). სტანდარტის ნაწილი ეხება მასწავლებლის იმ კომპეტენციებს, რომლებიც მოსწავლეების ქცევების რეგულირებასა და აღზრდას უკავშირდება. იმის გამო, რომ მასწავლებლების სტანდარტი საკმაოდ ვრცელია, ამ კომპეტენციების შემომწება სასერტიფიკაციო გამოცდაზე მხოლოდ ეპიზოდურად ხდება. შესაბამისად, სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელი კურსებიც მხოლოდ ნაწილობრივ ეხება დისციპლინასთან დაკავშირებულ თემებს. გარდა ამისა, ამ საკითხებზე საქართველოში ძალიან ცოტა მასალაა გამოცემული. შესაბამისად, მასწავლებლებს მოტივაცია და შესაძლებლობებიც ნაკლებად აქვთ დისციპლინასთან დაკავშირებულ მასალებს სერტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე დრო დაუთმონ.

საატესტატო გამოცდები, რომლებიც 2010 წლიდან შემოვიდა, ცხადაა, პირდაპირ ვერ იმოქმედებს სკოლებში ძალადობის შემცირებაზე. თუმცა, საატესტატო გამოცდების შედეგების საფუძველზე ხდება სკოლის დირექტორების ეფექტურობის შეფასება (საქართველოს მთავრობა 2011). ინერგება დირექტორების ნახალისებისა და დასჯის ფორმები. ამგვარი მიდგომა მრავალ ქვეყანაში და, სავარაუდოდ, საქართველოშიც ინვესტის რისკის ჯგუფში მყოფი მოსწავლეების ადრეულ ეტაპზე გარიყვას. სკოლის ადმინისტრაცია ხშირად დაინტერესებული ხდება, რომ პრობლემური სწავლის შედეგების მქონე მოსწავლე ადრეულ საფეხურზევე ჩამოაშოროს სკოლას. სწავლის პრობლემები ხშირად ქცევის პრობლემებთანაც არის გადაჯაჭვული. შესაბამისად, შესაძლოა საატესტატო გამოცდების სისტემის ამგვარმა გამოყენებამ შეცვალოს სკოლის ადმინისტრაციის დამოკიდებულება სკოლაში პრობლემების შემქნელი მოსწავლეების მიმართ და შესაძლოა, ადმინისტრაცია შეეცადოს, რომ ასეთი ბავშვები სკოლიდან მოიშორონ, მათთან მიზანმიმართული და ინტენსიური მუშაობის ნაცვლად. ეს კი, სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება სასკოლო კლიმატზე.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილი, სამინისტროს განცხადებით, მალე მანდატურების საინფორმაციო სისტემა

იქნება. emis.ge-ზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე ვიგებთ, რომ ამ სისტემით მანდატურები ოქმების ელექტრონულ წარმოებას შეძლებენ. სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის დანყების შემდეგ შეზღუდა ხელმისაწვდომობა ძირითად სტატისტიკურ მონაცემებზე. ამ ფონზე, რთულია პროგნოზირება, თუ რამდენად იარსებებს შესაძლებლობა, რომ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის, რეგიონის, რაიონის ან დასახლებული პუნქტის დონეზე იმისთვის, რომ სკოლებმა განსაზღვრონ, თუ რა დონის პრობლემა აქვთ მათ და ეს ცოდნა თავიანთ სამოქმედო გეგმების შედგენისას გამოიყენონ.

თუ სახელმწიფო დონეზე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შევაჯამებთ, ძალადობის შემცირების პრიზმაში, ერთი მხრივ, ჩანს ნაკლები აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან სკოლის მიერ პროაქტიული მიდგომების დანერგვის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ჩანს აქცენტი, ძირითადად, ინფრასტრუქტურაზე. ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა ამ მიმართულებით არ არის ნახალისებული. სასწავლო პროცესებში ძალადობასთან დაკავშირებული მიზანმიმართული სწავლება, მართალია, ჩანს დანყებით ეტაპზე სადამრიგებლო საათისა და საბაზო საშუალო საფეხურზე, ძირითადად, სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში, მაგრამ კონკრეტული ქცევებისა და რუტინების სწავლება სასკოლო უსაფრთხოების რაიმე სისტემური მიდგომის ფარგლებში არ დასტურდება.

ძალადობის პრობლემის მართვა სასკოლო დონეზე

პასუხისმგებლობების არსებული განაწილება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას (მუხლი 3, პუნქტი-ზ).

ამავე კანონში 2010 წელს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური არის ის ინსტიტუტი, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა და სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ევალება. მანდატურის სამსახურის

დებულების თანახმად, ეს სამსახური საგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს (მუხლი 1, პუნქტი 1).

მეორე მხრივ, საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში, რომელიც სკოლის დირექტორის ცოდნასა და უნარებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს მოიცავს, აღნიშნულია, რომ „საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს უსაფრთხო და მამხალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას“.


აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, ლოგიკურია, რომ დირექტორი მანდატურის სამსახურის საშუალებით უზრუნველყოფდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას უსაფრთხო გარემოს შექმნის თვალსაზრისით, თუმცაღა, ამ სამსახურის წარმომადგენელი - მანდატური - ანგარიშვალდებულია არა სკოლის დირექტორის, არამედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული მანდატურის სამსახურის წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშეა პასუხისმგებელი. ასეთი პრაქტიკა თავისთავად შესაძლებელია, როდესაც ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი კონკრეტულ სერვისს იღებს მეორე საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან ხელშეკრულების საფუძველზე და სერვისის განმახორციელებელი პირი პასუხისმგებელია ორგანიზაციასთან, რომელსაც ის წარმოადგენს. თუმცა, ხელშეკრულებაში კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული ამ ორი სსიპ-ის ურთიერთობა. კონკრეტულად, მანდატურის სამსახურმა უნდა აიღოს გარკვეული ვალდებულებები სკოლის მიმართ, რომლებიც ცალსახად იქნება განერილი ხელშეკრულებაში და მანდატურის სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს დირექტორის წინაშე.

უსაფრთხო გარემოს შექმნა ასევე გვხვდება მასწავლებლის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ჩამონათვალში - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით. სტანდარტის თანახმად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ შექმნას მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები და მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით.

პასუხისმგებლობების არსებულ გადანაწილებაში, მოქმედი კანონ-

ნისა და სტანდარტების მიხედვით, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია როგორც მასწავლებელი, ასევე დირექტორი და მანდატური. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ მასწავლებლის სტანდარტი განსაზღვრავს მასწავლებლის იმ მოვალეობებს, რომლებიც ასევე მანდატურის მოვალეობების ნუსხაში შედის კანონის მიხედვით (მაგ. კონფლიქტების მოგვარება, მოსწავლეთა შორის დაპირისპირების აღმოფხვრა, დ.ა.შ.), ბუნდოვანია, კონკრეტულად რაზეა მასწავლებელი, დირექტორი და მანდატური პასუხისმგებელი უსაფრთხოების თვალსაზრისით და სად იკვეთება მათი უფლება-მოვალეობები.

პასუხისმგებლობების განაწილება სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით



ასეთი ბუნდოვანება ართულებს ურთიერთობებს ამ სამ პასუხისმგებელ სუბიექტს შორის და მათ შორის ამ კუთხით დაძაბულობის წარმოქმნის საფუძველს იძლევა, რაც, თავის მხრივ, მათი საერთო მიზნის მიღწევას გაართულებს.

მანდატურის სამსახურის ვებგვერდის ხშირად დასმული შეკითხვების გვერდზე მოცემულ განმარტებებში მოხსენიებულია მანდატურისა და პედაგოგის ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა: „პედაგოგს უფლება აქვს, მოიხმოს მანდატური, როდესაც ადგილი აქვს მოსწავლეთა შორის კონფლიქტური სიტუაციის არსებობას, ან საფრთხე ექმნება მოსწავლის, მასწავლებლის ან სხვა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში, პედაგოგს

უფლება აქვს მიმართოს მანდატურს. თუმცა, აქ არ არის განმარტებული, შეუძლია თუ არა მასწავლებელს, თავად განახორციელოს ინტერვენცია. კანონის თანახმად, არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მანდატურის საქმიანობაში მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას. შესაბამისად, ისიც გაურკვეველია, უნდა იმოქმედოს თუ არა მასწავლებელმა, როდესაც ის და მანდატური ერთად აღმოჩნდებიან კონფლიქტურ სიტუაციაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, კანონის მიხედვით, მოსწავლეთა და თანამშრომელთა შრომის და დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით, სკოლაში დისციპლინური კომიტეტი არსებობს. მანდატური უფლებამოსილია, დაესწროს აღნიშნული კომიტეტის სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები. თუმცა, არსად არის გამიჯნული და განმარტებული კომიტეტის წევრებისა და მანდატურის თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების დეტალები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კანონმდებლობაში მოცემული პასუხისმგებლობების გადანაწილების სქემის მიხედვით, შეუძლებელია პასუხი გაეცეს ისეთ პრაქტიკულ კითხვებს, როგორებიცაა: 1. რას აკეთებს მასწავლებელი, როდესაც შეესწრება მოსწავლეთა შორის დაპირისპირებას: თავად მოქმედებს მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის ფარგლებში, თუ მხოლოდ მანდატურის ან დირექტორისადმი ინფორმაციის გადაცემით შემოიფარგლება და თავიდან იცილებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პასუხისმგებლობას? 2. ვინ განსაზღვრავს მანდატურის მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი აღმოფხვრის სტრატეგიის ეფექტურობას? 3. ვის მიმართავს მასწავლებელი მასზე მოსწავლის ან სხვა პერსონალის მხრიდან მუქარის შემთხვევაში? 4. რა მექანიზმებითაა უზრუნველყოფილი მოსწავლეთა და სხვა პერსონალის ემოციური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება? 5. რამდენად შეიცვალა/მოდიფიცირდა სკოლის დისციპლინური კომიტეტის როლი სკოლაში მანდატურის შემოსვლის შემდეგ და.შ.

პრევენციის, ინტერვენციის და რეაგირების ფორმები

2010-2011 წლის გამოწვევების დოკუმენტის მიხედვით, სკოლის უსაფრთხოება და, შესაბამისად, ძალადობის პრობლემის მართვა სასკოლო დონეზე შემდეგ ძირითად ღონისძიებებს მოიცავს:

- სასკოლო მანდატურების ინსტიტუტის შექმნა
- სკოლების სამ საფეხურად დაყოფა
- საკრედიტო ბარათების შემოღება და ფულის აკრძალვა სკოლებში

ამ ღონისძიებებიდან - მანდატურების საქმიანობის და უფლება-მოვალეობების აღწერიდან გამომდინარე - შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ როგორც პრევენციის, ასევე ინტერვენციისა და რეაგირების მოვალეობა.

პრევენცია	ინტერვენცია	რეაგირება
პერიმეტრის კონტროლი	სოც. ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლესთან ურთიერთობა, ქცევაზე დაკვირვება და კონტროლი	სამართალდარღვევის აღკვეთა
მოსწავლეები-სათვის დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება	მშობლის, შესაბამისი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ	შინაგანაწესის შესრულების კონტროლი
		საგანგებო სიტუაციებში მოსწავლეთა /პერსონალის დაცვა
		მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტის მოგვარება
		ჩხრეკის ჩატარება
		კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენება

როგორც ვხედავთ, მანდატურის მოვალეობების უდიდესი ნაწილი გათვლილია რეგირებაზე და შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა ძალადობის პრევენციას.

რაც შეეხება სკოლების დაყოფას საფეხურების მიხედვით და საკრედიტო ბარათების შემოღებას, ისინი პრევენციულ ზომებად განიხილება. თუმცა, საკრედიტო ბარათების და სკოლების საფეხურებად დაყოფა, ჯერჯერობით, მასობრივად ვერ მოხერხდა და მათ წარმატებაზეც რთულია საუბარი.

გადასაჭრელი პრობლემები

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, ყველა სკოლას ერთნაირი უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა მოეთხოვება, მაშინ, როცა სკოლის მდებარეობის მიხედვით, უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომებები განსხვავებულია. მაგალითისათვის, ზოგიერთ სკოლაში შესაძლოა საერთოდ არ იყოს საჭირო კონკრეტული პერსონალი, რომელიც სკოლის პერიმეტრის კონტროლს განახორციელებს.

ასევე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სკოლის უსაფრთხოება ეფექტურად იქნას უზრუნველყოფილი, მნიშვნელოვანია უფლება-მოვალეობების და ანგარიშვალდებულების მკაფიო განაწილება მასწავლებელს, მანდატურს, დისციპლინურ კომიტეტს თუ დირექტორს შორის. მთლიანად სკოლას და თემს უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია და როლი ძალადობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სკოლაში უფრო მეტი პრევენციული ღონისძიება გატარდეს, რაც შეამცირებს მუდმივად პრობლემაზე რეაგირების საჭიროებას (მაგ. ასეთ პრევენციულ ღონისძიებებს მიეკუთვნება სოციალური უნარების სწავლება, კურიკულუმის შესაბამისი რესტრუქტურისა, ანტისოციალური ქცევის ადრეული იდენტიფიკაცია, პოზიტიური სასკოლო დისციპლინის სისტემის ჩამოყალიბება დ.ა.შ.)

თუკი მანდატურის მოვალეობებს პროცესზე და პროდუქტზე ორიენტირებული ღონისძიებების ჩრილში განვიხილავთ (იხ. თავი საერთაშორისო გამოცდილების შესახებ), აღსანიშნავია, რომ მათი მოვალეობების უმეტესობა პროდუქტზეა ორიენტირებული, რაც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ღონისძიებების ეფექტურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

საერთაშორისო გამოცდილება

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ძირითადად, გამოიყოფა უსაფრთხოების ა) პროცესზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ძირითადად სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული და პრევენციული ეფექტი აქვს და ბ) პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა, რაც პრობლემის მოკლევადიან გადაჭრაზეა ორიენტირებული და ნაკლებად უწყობს ხელს ძალადობის პრევენციას.

პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიდგომა კი პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს (ბუჩერი და მენინგი, 2005).

პროცესზე დაფუძნებული მიდგომა მოითხოვს, რომ მოხდეს სარისკო ქცევის ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირება და მისი მართვა; სამედიცინო ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სისტემის ამოქმედება; სოციალური ნორმების დანესება/მოდელირება;

გთავაზობთ პროცესზე და პროდუქტზე დაფუძნებულ გავრცელებულ მიდგომებს:

კვლევების მიხედვით, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტურია პოზიტიური და თანამშრომლობითი დისციპლინა, რაც მოიცავს სასკოლო წესების დაცვას, კლასის მართვის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა კარგი საქციელის განმტკიცებას და ხშირ საუბრებს მშობლებთან მოსწავლეთა ქცევის შესახებ, მოსწავლეთა ჩართულობას და მათთვის ლიდერობის შესაძლებლობების მიცემას, თვითდისციპლინის სწავლებას.

დანაშაულის პრევენცია სკოლის დიზაინითაცაა შესაძლებელი, რაც არქიტექტურულ დიზაინსა და სივრცის სათანადო მოწყობას გულისხმობს (მაგ. ნაკლებია ბნელი და „მოყუჩებული“ ადგილები, სადაც შეიძლება ძალადობა განხორციელდეს). მსგავსმა ღონისძიებებმა ერთ-ერთ სკოლაში კრიმინალი 86 პროცენტით შეამცირა 4 წლის მანძილზე (McKay, 1992).

ზოგიერთ სკოლაში არსებობს ანონიმური ზარების და შეტყობინებების სისტემა, რათა მოსწავლეებს ან, თუნდაც, მასწავლებლებს

არ ჰქონდეთ შურისძიების შიში, თუკი არის ინფორმაცია მაგ. სკოლაში ცივი იარაღის არსებობის შესახებ (Sprague, 2007).

ასევე, ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი საზრუნავია უფროსების მხრიდან ძალადობის აღმოფხვრა - როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური/ფსიქოლოგიური: იქნება ეს კლასის მართვის ავტორიტარული სტილი, ბაშვისთვის ყურის აწევა თუ დამამცირებლად მოქცევა; ნებისმიერი სიტყვა ან საქციელი, რაშიც უარყოფითი გავლენა ვლინდება; ნებისმიერი უსამართლო და მიკერძოებული მოქცევა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

ბუჩერი და მენინგი (2005), კვლევებზე დაყრდნობით, სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე ეფექტურ სტრატეგიებს გვთავაზობენ:

- სკოლის უსაფრთხოებისათვის მუდმივი პრევენციული პროგრამების დაფუძნება (მაგალითად, თანატოლთა მედიაცია);
- ყურადღება დაბალი დონის ძალადობის აღმოფხვრისადმი (ძალიან ცუდია, თუ სკოლაში დაბალი დონის ძალადობას ყურადღება არ ექცევა. მაგალითისათვის, ჩაგვრა ან მასწავლებლების მხრიდან ფსიქოლოგიური ზენოლა მოსწავლეებს სწავლაში მნიშვნელოვნად უშლის ხელს);
- ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნა, რომელიც ყველა ბავშვის მზრუნველობას გულისხმობს; სკოლა, სადაც თავისუფალი და ღია კომუნიკაციაა ადმინისტრაციას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნის კონტექსტში, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, ხშირად განსაკუთრებითაა გამოკვეთილი მასწავლებლების როლი. მასწავლებლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ და ისინი პირდაპირ უნდა იყვნენ ჩართულნი ნებისმიერი ტიპის უსაფრთხო სკოლის პროგრამის დაგეგმვაში. ყველაზე ახლოს მათ უხდებათ მოსწავლეებთან ყოფნა და ხშირად პრობლემების ყველაზე რეალისტური გადაჭრის გზასაც ისინი აგნებენ. მასწავლებლების მხრიდან კლასის მართვის სტილი ასევე ხშირად განსაზღვრავს საკლასო კლიმატს და, შესაბამისად, საფრთხის შემცველ ან უსაფრთხო გარემოს.

სისტემის დონეზე სკოლებში ძალადობის შემცირების პროგრამე-

ბის წარმატებულ მაგალითს ფინეთის პროგრამა KiVa გვთავაზობს. ამ პროგრამის ფარგლებში სკოლაში რამოდენიმე დონეზე მიმდინარეობს მუშაობა. პირველი დონე გულისხმობს ყველა მოსწავლეს. მეორე დონე გულისხმობს იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ძალადობაში, როგორც მსხვერპლი ან როგორც მოძალადე. მესამე დონე კი გულისხმობს ძალადობის შემსწრეებთან მუშაობას. ამ პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მასალების სიმრავლეზე მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, ვირტუალური თამაშების გამოყენებაზე, ტექნოლოგიების გამოყენებით ჩაგვრის პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე, პრაქტიკული ჩვევებისა და ღირებულებების მუდმივ გაუმჯობესებაზე (KiVa antibullying program).

რიკ ფილიპსი და სხვები (2008) ყველაზე მეტ ყურადღებას მანაც მოსწავლეების პოტენციალს და მათ როლს უთმობენ. მათი აზრით, მოსწავლის როლი შეუცვლელია ჩაგვრისა და ძალადობის შესაჩერებლად. ისინი წერენ, რომ პრაქტიკისა და ლიტერატურის ძირითადი ნაწილის თანახმად, უსაფრთხოება, უმთავრესად დიდების საზრუნავია. როგორც წესი, ასეთ დროს თავად მოსწავლეთა პოტენციალი უგულვებლყოფილია. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა იციან ის, რაც არ იციან დიდებმა. მოსწავლეები ადგენენ ქცევის ნორმებს, სწორედ ისინი არიან უმეტეს შემთხვევაში ინციდენტის ადგილას. აქედან გამომდინარე, ეს ავტორები უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად გვთავაზობენ სტრატეგიებს, სადაც მთავარი როლი სწორედ მოსწავლეებს ეკისრებათ.

„მშვიდობიანი სკოლის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თველმოუ და სხვები (2002) აღნიშნავენ, რომ რა მიდგომაც უნდა ავირჩიოთ სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი წარმატებისათვის აუცილებელია:

- მასწავლებლებს და ადმინისტრაციას ამ ინტერვენციისადმი მაღალი ნდობა ჰქონდეთ;
- ინტერვენცია ორიენტირებული იყოს არა პრობლემურ ბავშვზე, არამედ საერთო სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზე;
- ხელს არ უშლიდეს სასწავლო პროცესს და არ წარმოადგენდეს გარკვეულ დანამატს ისედაც დატვირთულ კურიკულუმზე;

- არ იყოს ძვირი. თავიდან უმჯობესია მცირეხნიანი ტრენინგები და შემდეგ - მუდმივი სუპერვიზორება;
- ჰქონდეს რეალისტური მიზნები.

სკოლის დონეზე ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების მუდმივად შეგროვება უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგ. ფინეთში თითოეული სკოლა რეგულარულად ატარებს მოსწავლეების გამოკითხვებს ძალადობასთან დაკავშირებით. ეს მონაცემები სხვადასხვა პროგრამის ეფექტურობის საზომი ხდება.

პოლიტიკის ალტერნატივები და რეკომენდაციები

- დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა, დაკონკრეტდეს მანდატურის სამსახურის ანგარიშვალდებულება სკოლის წინაშე.
- შეიქმნას სკოლის უსაფრთხოების ერთიანი კონცეფცია.
- სასურველია მოხდეს სკოლების შეფასება ან კატეგორიებად დაყოფა საფრთხის შემცველობის მიხედვით და ამის შესაბამისად განხორციელდეს სკოლაში უსაფრთხოების პროგრამები.
- სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აიღოს მთელმა სკოლამ და თემმა გამოკვეთილი როლითა და პასუხისმგებლობებით. დადგინდეს, ვინ ახდენს მოსწავლის ქცევის შეფასებას.
- სკოლამ ძირითადად ორიენტაცია აიღოს პროცესზე ორიენტირებულ მიდგომაზე და დანერგოს პროდუქტზე ორიენტირებული მიდგომები საჭიროებიდან გამომდინარე.
- სკოლას ჰქონდეს იმის ცოდნა და საშუალება, დანერგოს მეტი პრევენციული ღონისძიება.
- დაკონკრეტდეს, რა სახით ურთიერთობს მანდატური ანტისოციალური ქცევის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის პერსონალთან და ძალადობაში ჩართულ სამივე მხარესთან (მსხვერპლი, მოძალადე, შემსწრე).
- პრაქტიკულად დაინერგოს მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი

და მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რა ტიპის ქცევაა მიუღებელი და რას გამოიწვევს ესა თუ ის ქმედება.

- განხორციელდეს სკოლის თანამშრომლების ტრენინგი, რათა თითოეულმა მათგანმა იცოდეს, როგორ განამტკიცოს სასურველი ქცევები და თავიდან აიცილოს/მშვიდობიანად მოაგვარონ კონფლიქტები.
- ახალი სკოლების აშენებისას გათვალისწინებულ იქნას უსაფრთხო დიზაინის შერჩევა (იხ. საერთაშორისო გამოცდილება).
- სკოლის უსაფრთხოების პროგრამების შერჩევასა გათვალისწინებულ იქნას თანამშრომლების მაღალი ნდობა პროგრამების მიმართ (მაგ. შესაძლოა არ დანერგონ კონკრეტული პროგრამა, თუ მისი მომხრე არ არის პერსონალის 70% მაინც.)
- რეგულარულად ჩატარდეს სკოლების მიერ უსაფრთხოების აუდიტები ან მოსწავლეების გამოკითხვები ძალადობასთან დაკავშირებით;
- სკოლა უნდა აწარმოებდეს სტატისტიკას მასში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც ასევე ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო თემისთვის.
- მოხდეს ანონიმური საკონსულტაციო სერვისების განვითარება. შესაძლოა ეს იყოს ინტერნეტ საიტი, სადაც მოსწავლეს შეეძლება საკუთარ პრობლემებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაზიარება და რჩევების მიღება.
- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში აისახოს ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებული რუტინები და პროგრამები.
- სკოლები წახალისდენ, რათა ითანამშრომლონ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად.
- სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა პროგრამის განხორციელებასა და მისი შედეგების კვლევას სამეცნიერო ჯგუფების წახალისებისა და სკოლებში მათი მუშაობის გზების გამარტივებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Butcher, Katherine and Manning M. Lee. „Creating Safe Schools“ . *The Clearing House*. 79, No. 1 (2005): 55-60.
2. Daniel, Yvette and Bondi, Karla. „Safe Schools and Zero Tolerance: Policy, Programs and Practice in Ontario“ . *Canadian Journal of Education Administration and Policy*. 70, (2008): 1-20.
3. Phillips Rick, Linney John and Pack Chris. 2008. *Safe School Ambassadors: Harnessing Student Power to Stop Bullying and Violence*. San Francisco: Jossey-Bass.
4. Schneider Tod, Walker Hill and Sprague Jeffrey. 2000. *Safe School Design: A Handbook for Educational Leaders*. Oregon: ERIC Clearinghouse of Educational Management.
5. Sprague Jeffrey, 2007. „Creating Schoolwide Prevention and Intervention Strategies.“ Portland: Hamilton Fish Institute on School and Community Violence and Northwest Regional Educational Laboratory.
6. Stuart W. Twemlow, Fonagy Peter and Franc C. Sacco. „Feeling Safe at School“ .2002. <http://www.backoffbully.com/PDF%20files/FEELING%20SAFE%20IN%20SCHOOL.pdf>. (Accessed April 14, 2011).
7. KiVa antibullying program. „There is no Bullying in KiVa School.“ <http://www.kivakoulu.fi/>. (Accessed January 9, 2012).
8. Martin, M.O., Et.al. (2008). *TIMSS 2007 International Science Report: Findings from IEA's Trends in International Mathematics and Science Study at the Fourth and Eighth Grades*, Chestnut Hill, MA: TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College.
9. McKay, Tom. (1992). „A crime prevention through environmental design study of the Turner-Fenton Secondary School“ . Peel, ON: Peel Regional Police.
10. Mullis, I.V.S., Et. al.. (2008), *TIMSS 2007 International Mathematics Report: Findings from IEA's Trends in International Mathematics and Science Study at the Fourth and Eighth Grades*, Chestnut Hill, MA: TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College.
11. ბარაბაძე ნინო, 2010, 29 აპრილი, მანდატურების საპილოტე სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს. გაზეთი „ 24 საათი“ .

- <http://mes.gov.ge/print.php?id=816&lang=geo> (ნანახია 9 იანვარს 2012წ.)
12. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი*, <http://new.eqe.ge/uploads/zss.pdf>
 13. GORBI 2011, *დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა - საქართველო 2011*, http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=702 (ნანახია 9 იანვარს, 2012)
 14. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი 2011, *ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლისთვის*, <http://ncae.ge/index.php?m=854>, (ნანახია 8 იანვარს, 2012)
 15. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.“ 2008. http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=36&Itemid=97&lang=ka
 16. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. „დირექტორის პროფესიული სტანდარტი.“ http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8249&Itemid=99&lang=ka
 17. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულება“. 2010. <http://mandaturi.gov.ge/index.php?page=9&lang=geo>
 18. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2011. *უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე*. თბილისი: გამომცემლობა უსტარი
 19. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „გამოწვევები 2010-2011 წლებში“. 2010. <http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=მანდატურები&id=61&lang=geo>
 20. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010. *სკოლების ბრენდირება*, <http://mes.gov.ge/print.php?id=942&lang=geo>
 21. საქართველოს მთავრობა, 2011, *საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათაუნქტიანი გეგმა“ მოდერნიზაციისა და დასაქმებისთვის 2011-2015*, <http://10pointplan.gov.ge/PM-10P-Plan-short-final.pdf> (ნანახია 9 იანვარს, 2012)

22. საქართველოს პარლამენტი. ცვლილებები კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. 2010. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=368
23. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 12.11.2010, *სკოლებში ძალადობის ფაქტები შემცირდა* <http://mes.gov.ge/print.php?id=1636&lang=geo> (ნანახია 9 იანვარს, 2012)
24. ფინანსთა სამინისტრო, 2011, *2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი*, <http://www.mof.ge/4625#>
25. შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2010 წლის 12 თვეში სულ საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, http://police.ge/uploads/images/tbdan200708/saq_12_tve_2010.jpg (ნანახია 9 იანვარს 2012)
26. UNICEF, ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, 2008, http://www.unicef.org/georgia/School_Violence_geo_new_title.pdf (ნანახია 9 იანვარს, 2012)

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები

ივლისი, 2012

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

კვლევის ავტორი: **ნათია ანდლულაძე**
 განათლების სპეციალისტი: **თამარ მოსიაშვილი**
 სტატისტიკური შერჩევა: **ვანო კეჭაყმაძე**

კვლევაში მონაწილეობისთვის სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი განეული კონსულტაციისათვის მადლობას უხდის **გვეინ სლეიდს** - ტორონტოს უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის, სოციალურ და საკანონმდებლო ცენტრის მკვლევარს. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს: **მარია კირვალიძეს, ნინო ბლუაშვილს, ნინო რაჭველიშვილს, ნინო ლემონჯავას, თამუნა წაქაძეს, მანანა მახარაძეს, თამუნა ბინაძეს, ლელა გაჩეჩილაძეს, ნინო თვაურს, ნათია კაპანაძეს, თამარ ფირცხალავას, ლუიზა ლაბაძეს და მარინა ხორავას** და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის სტაჟიორს - **ანა ცხოვრებოვას**.

შესავალი

2010 წლიდან მოყოლებული, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებში უსაფრთხოების ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამ პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მანდატურის სამსახურზე და, ზოგადად, კონტროლზე ორიენტირებული პოლიტიკისთვის დამახასიათებელ ისეთ ატრიბუტებზე, როგორებიცაა ვიდეო თვალთვალი და ჩხრეკა. საგულისხმოა მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევაზე რეაგირების ფორმების გამკაცრება - მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნა, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, მოსწავლის სისტემიდან გარიცხვა და მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადამისამართება. აღსანიშნავია, რომ სკოლაში უსაფრთხოების დაცვის ეს ზომები, განსაკუთრებით კი - მოსწავლის ქცევაზე რეაგირების სიმკაცრე - დამახასიათებელია ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკისთვის.

საქართველოში სკოლაში უსაფრთხოებისა და დისციპლინის გაძლიერების დეკლარირებული მიზნით დაწყებული პოლიტიკა ნულოვანი ტოლერანტობის მახასიათებლებს ატარებს. ასეთი პოლიტიკის მთავარი ლაიტმოტივი კონტროლი და დასჯაა, განსხვავებით იმ სტრატეგიებისგან, რომლებიც ზრუნვაზე და პრევენციაზეა ორიენტირებული. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მთავარი ნიშანი ბავშვის ქცევაზე რეაგირების ფორმების რადიკალურობაა. აშშ-ში ნულოვანი ტოლერანტობა გამოიხატება დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების ისეთი ფორმებით, როგორებიცაა სკოლიდან დათხოვნა, სკოლიდან გარიცხვა, სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებაში გადამისამართება.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემთხვევებს ამერიკულ და კანადურ სისტემებში ვხვდებით. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის სკოლაში განხორციელება 1989 წელს კალიფორნიის შტატში დაიწყო, სადაც სკოლას ევალებოდა, გაერიცხა ის მოსწავლეები, რომლებსაც ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩნდებოდათ, ან რომლებიც კრიმინალური დაჯგუფებების წევრები იყვნენ. 1993 წლისთვის ნულოვანი ტოლერანტობა ნაციონალურ პოლიტიკად იქცა და, რიგ შემთხვევებში, გარიცხვას ექვემდებარებოდა სიგარეტის მოწევისა და სასწავლო პროცესისთვის ხელისშემლაში შემჩნეული მოსწავლეც. 1996-1997 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, სკოლების 96% ნულოვან ტოლერანტობას უცხადებდა

ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარებას, 87% - ალკოჰოლს, სკოლების 79% კი დროებით დათხოვნით ან გარიცხვით რეაგირება და ძალადობასა და თამბაქოს მოხმარებაზე (Skiba, 2000). 2001 წელს კანადაში ონტარიოს პროვინციამ დაიწყო ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება სკოლებში. მაგრამ 2007 წელს ტერმინი „ნულოვანი ტოლერანტობა“ მთლიანად ამოიღეს კანონმდებლობიდან და პოლიტიკის დოკუმენტებიდან.

პატრიკ ეუინგი აღიარებს, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამტარებელ სისტემებში, სკოლის ადმინისტრაცია, როგორც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ერთ-ერთი მხარდამჭერი, ხშირად ბავშვის ან მოზარდის ქცევაზე, „უკიდურესად გადაჭარბებულ ზომებს“ იღებს. საინტერესოა, რომ უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის გატარების მოკლე ისტორიის განმავლობაში საქართველოში უკვე დაფიქსირდა შემთხვევა, რომელიც, ბევრი სპეციალისტის აზრით, სკოლის მხრიდან მოზარდის ქცევაზე უსამართლო და გადაჭარბებულ რეაგირებად შეიძლება იყოს კლასიფიცირებული. მიხეილ ალექსიძე 2011 წლის 13 ოქტომბერს 53-ე სკოლიდან დირექტორის შეურაცხყოფის გამო გარიცხეს. ალექსიძის მშობლის ინფორმაციით, მისი შვილის მიღებაზე უარი ხუთმა სკოლამ განაცხადა. თავად მოსწავლე ბრალდებას დღემდე უარყოფს და აცხადებს, რომ დამნაშავე არაა. საქართველოს სახალხო დამცველმა დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა სამართლებრივი ნორმების დარღვევით დისციპლინურ დევნას.

როგორც ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ვერ შეამცირა ძალადობა სკოლებში და რამდენიმე გვერდითი ნეგატიური შედეგი გამოიღო. 2000 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის სამოქალაქო უფლებების პროექტის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა არ ეხმარება მოსწავლეს ქცევის გამოსწორებაში. იგი ინვესს უნდობლობას უფროსების მიმართ და ახდენს მტრული დამოკიდებულებების პროვოცირებას (Harvard University, Civic Rights Project, 2000). ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ანგარიშში ვკითხულობთ (2006), რომ „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვერ ზრდის სკოლის უსაფრთხოებას და არ აუმჯობესებს სკოლის კლიმატს“. იგი ახდენს მოსწავლის გაუცხოებას და იზოლირებას, აძლიერებს მოსწავლეებში შფოთვის დონეს და არღვევს უფროსებთან ჯანსაღ კავშირებს. ამით განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მენტალურ ჯანმრთელო-

ბას, აძლიერებს ან აჩქარებს მისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ შედეგებს“ (APA, 2006).

საქართველოში სკოლების უსაფრთხოების პოლიტიკაში ტერმინი „ნულოვანი ტოლერანტობის“ აფიშირება არ ხდება. ეს ტერმინი სამართლებრივ თუ პოლიტიკის დოკუმენტებში არ ფიგურირებს. მაგრამ, სხვა მხრივ, მსგავსება ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკასთან თვალსაჩინოა. ბავშვის ან მოზარდის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომებზე მკაცრი რეაგირების სახით, 2012 წლის 6 იანვარს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიიღო ბრძანება, რომლის თანახმად „სკოლა უფლებამოსილია დაწყებით და საბაზო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ ... მოსწავლე არაერთგზის, უხეშად არღვევს სკოლის შინაგანანქს“ (მუხლი 4.1.ვ). ამასთან, მოსწავლის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირობით: „მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.“ (მუხლი 4.3)¹.

მეორე სიახლე მოსწავლის „ანტისოციალური ქცევის“ გამო მის სკოლა-პანსიონატებში გაგზავნას უკავშირდება. 2012 წლის 26 ივნისს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა „სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფის დებულება“ . ექსპერტთა ჯგუფი არის „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ჯგუფი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების (რეფერალის) ღონისძიების გამოყენების შესახებ და – ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წინაშე“ (მუხლი 2.1). გადამისამართება ბრძანებაში ახსნილია, როგორც „არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონატი გაგზავნა ან სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა ან ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის განათლების ამაღლებას, კულტურულ/სპორტულ აქტივობებში ჩართვას, სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას“ . გადამისამართებაზე მიმართვას აკეთებს „სკოლა, მანდატური, არასრულწლოვნის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, უბნის ინსპექტორი, სოციალური მუშაკი“ (მუხლი 9.1)

1. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №05/6. წყარო: www.matsne.gov.ge

- მოსწავლის ანტისოციალური ქცევის დამადასტურებელი ინფორმაციით. ანტისოციალური ქცევა ბრძანებაში აღწერილია, როგორც „ქცევა, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ფსიქოსოციალურ განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და სისტემატურად ვლინდება არანაკლებ 6 თვის განმავლობაში, გარდა არასრულწლოვნის მიერ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა (მუხლი 2.4)²

საქართველოს უსაფრთხო სკოლის პოლიტიკასა და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას შორის მსგავსება ჩანს, ასევე, უსაფრთხოების დაცვის სხვა მექანიზმებშიც. აშშ სკოლები ხშირად მიმართავენ უსაფრთხოების ე.წ. კონტროლზე ორიენტირებულ საშუალებებს, როგორებიცაა ვიდეო თვალთვალი, მოსწავლის სათავსოს ჩხრეკა, მეტალის დეტექტორები და ე.წ. რესურს ოფიცრები. როგორც ჩვენი გამოკითხვიდან ვხედავთ, თბილისის სკოლების უდიდესი ნაწილი იყენებს ვიდეო თვალთვალს, ჰყავს დარაჯი და მანდატური. სკოლების მეათედზე მეტი, მოსწავლეების ინფორმაციით, იყენებს მეტალის დეტექტორს.

შესაძლოა, ასევე, ამერიკული პრაქტიკის იმიტაციას წარმოადგენდეს მანდატურის ინსტიტუტი. 2010 წლის მონაცემებით, ამერიკაში საჯარო სკოლების ნახევარზე მეტში სკოლის რესურს ოფიცრებს ვხვდებით. 2010 წლის 21 ივლისს, კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა მანდატურის სამსახურის შექმნას. 48-ე მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სკოლის მანდატურის სამსახურს (შემდგომში – სკოლის მანდატურის სამსახური), რომლის ამოცანაა სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა“³.

ნულოვანი პოლიტიკის გატარება ხშირად სამ დაშვებას ემყარება.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №122/6 2012 წლის 26 ივნისი. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1685370

3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=93022

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ამ სამი ვარაუდის ირგვლივ მსჯელობის მცდელობას.

ვარაუდი 1: სკოლაში ძალადობის გავრცელების მასშტაბი და სიმწვავე გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს. როგორც აშშ-ში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, მოზარდებს შორის ძალადობის მხოლოდ 1% ფიქსირდება სკოლებში და იმგვარი წარმოდგენა, რომ სკოლები მოზარდებს შორის ძალადობის ძირითადი კერაა, გაზვიადებულია. მეტიც, 1985 წლიდან მოყოლებული (ანუ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღებამდე), ძალადობის შემთხვევები სკოლაში მცირდებოდა ან სტაბილური რჩებოდა. საქართველოში 2006-2007 წლებში ჩატარებული კვლევების მონაცემები ამ ვარაუდის გადამოწმების საშუალებას გვაძლევს. იმ პერიოდში ჩატარებული სამი კვლევა საშუალებას გვაძლევს, სკოლებში ძალადობა შევადაროთ ოჯახში ძალადობას, ხოლო საქართველოს სკოლებში უსაფრთხოების ინდექსი - განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების სკოლების უსაფრთხოების ინდექსს. ძირითადი მიგნება ამ ვარაუდის გადამოწმებისას იყო შემდეგი:

ა) 2006 - 2007 წლებში ქვეყნის მასშტაბით 13-17 წლის ბავშვებისა და მოზარდების გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევები გაცილებით მაღალია ოჯახში.

ბ) 2006 - 2007 წლებში მეოთხე და მერვე კლასის მოსწავლეების, ასევე მათი მასწავლებლებისა და დირექტორების გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ სკოლის უსაფრთხოების ხარისხის მიხედვით, საქართველო ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების სიაშია.

ვარაუდი 2: არასასრულწლოვანი ქცევის მქონე მოსწავლეების დასჯა და მათი სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება ზრდის სკოლის უსაფრთხოებას და ქმნის უსაფრთხო გარემოს დანარჩენი მოსწავლეებისთვის. ამ ვარაუდის გადამოწმებლად წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის აშშ-სა და კანადაში არსებული გამოცდილების ირგვლივ არსებული კვლევები. ეს კვლევები საშუალებას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ვერ შეამცირა ძალადობა სკოლებში და რამდენიმე გვერდითი ნეგატიური შედეგი გამოიწვია. როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის სამოქალაქო უფლებების პროექტის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშშია აღნიშნული (2000), ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა არ ეხმარება მოსწავ-

ლეს ქცევის გამოსწორებაში. იგი იწვევს უნდობლობას უფროსების მიმართ და ახდენს მტრული დამოკიდებულებების პროვოცირებას (Harvard Civic Rights Project, 2000). 2006 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვერ ზრდის სკოლის უსაფრთხოებას და არ აუმჯობესებს სკოლის კლიმატს“. იგი ახდენს მოსწავლის გაუცხოებას და იზოლირებას, აძლიერებს მოსწავლეებში შფოთვის დონეს და აღრვევს უფროსებთან ჯანმრთელ კავშირებს. ამით განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მენტალურ ჯანმრთელობას, აძლიერებს ან აჩქარებს მისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ შედეგებს (APA, 2006).

ვარაუდი 3: კონტროლზე ორიენტირებული რეპრესიული მიდგომა საზოგადოებაში „მტკიცე“ ქმედებებზე მოთხოვნის საპასუხოდ ხორციელდება. აშშ-ში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, მშობლები პოზიტიურად არიან განწყობილნი მკაცრი დისციპლინური სასჯელების მიმართ, თუ ფიქრობენ, რომ მათი შვილი საფრთხეშია (Blankstein, 1999). მაგრამ ძალიან ნეგატიურად რეაგირებენ, როცა მიიჩნევენ, რომ სისტემა ბავშვს უსამართლოდ სჯის (A. Davis, 1999; D. Johnson, 1999). მოსწავლეების უდიდესი ნაწილი სკოლიდან დათხოვნასა და გარიცხვას არაეფექტურად და უსამართლოდ თვლის (APA, 2006).

საქართველოში ამ ვარაუდის საფუძვლიანობის შესამოწმებლად სკოლაში უსაფრთხოების პოლიტიკისადმი სკოლის თემის - მოსწავლეებისა და მშობლების - დამოკიდებულებების შესწავლის პირველი მცდელობის შედეგებს ვიყენებთ. ამ ნაწილში ვიმსჯელებთ მოსწავლეებისა და მშობლების დამოკიდებულებაზე თბილისის მასშტაბით გამოკითხული 310 მშობლის და 310 მოსწავლის, აგრეთვე, ბათუმსა და თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე.

ძირითადი მიგნებები ამ ნაწილში შემდეგია:

- მანდატურის შემოსვლის შემდეგ გაიზარდა სკოლაში უსაფრთხოება. თუმცა, ბოლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა 52% ყოფილა სკოლაში მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების, 17% - მასწავლებლის მიერ მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფის მომსწრე, 33% კი - მოსწავლეების მიერ სიგარეტის მოხმარების მომსწრე.

- მოსწავლეები და მშობლები, მანდატურის საჭიროებას სკოლაში, საშუალოზე მაღალ შეფასებას ანიჭებენ. თუმცა, უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ დარაჯისა და ვიდეო თვალთვალის საჭიროებას.
- როცა საქმე მოსწავლეებს შორის ან მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კონფლიქტის მოგვარებას ეხება, მოსწავლეებისა და მშობლების შედარებით მცირე ნაწილი ანდობს მანდატურს მედიატორის როლს. ასევე, ნაკლებად ენდობიან მანდატურს იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის დევიანტური ქცევაზე რეაგირებაა საჭირო.
- მოსწავლეები და მშობლები ზოგადად ნაკლებად ემხრობიან დასჯის მკაცრ ზომებს (გარიცხვა, ფულადი ჯარიმა, სპეც. სკოლა). დევიანტური ქცევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში რეაგირების ყველაზე მოსაწონი ფორმა მოსწავლესა და მშობელთან დირექტორის, მასწავლებლის და ფსიქოლოგის გასაუბრება აღმოჩნდა.
- სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაში ყველაზე მაღალ როლს მოსწავლეთა და მშობელთა უდიდესი ნაწილი კლასის დამრიგებელს და დირექტორს ანიჭებს.

ძალადობა და უსაფრთხოება ქართულ სკოლებში: 2006-2007 წლების კვლევის მიმონიშვა

ყველა თანხმდება იმაზე, რომ სკოლაში მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვის აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა, მნიშვნელოვანია, სწორი ინფორმაცია გვექონდეს იმაზე, თუ რამდენად მწვავედ დგას უსაფრთხოების პრობლემა, რომ რეაგირებაც შესაბამისი იყოს. სამწუხაროდ, როგორც წესი, საზოგადოების წარმოდგენა სკოლებში ძალადობის პრობლემის სიღრმესა და მასშტაბურობაზე არაეფექტიურ ცოდნაზეა დამყარებული და, შესაძლოა, მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით იყოს ფორმულირებული. როგორც აშშ-ში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, მოზარდებს შორის ძალადობის მხოლოდ 1% ფიქსირდება სკოლებში და წარმოდგენა იმაზე, რომ სკოლები მოზარდებს შორის ძალადობის ძირითადი კერაა, გაზვიადებულია. მეტიც, 1985 წლიდან მოყოლებული (ანუ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღებამდე რამდენიმე წლით ადრე),

ძალადობის შემთხვევები სკოლაში მცირდებოდა ან სტაბილური რჩებოდა (APA, 2006).

სკოლებში ძალადობის საკითხებს 2006-2007 წლებში ჩატარებული სამი კვლევა ეხება. ამ კვლევებიდან ჩანს, რომ უსაფრთხო პოლიტიკის შემოღების წინა პერიოდში საქართველოში როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები უფრო ხშირია ოჯახში და საქართველო სკოლების უსაფრთხოების ინდექსით (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და დირექტორების შეფასებით) განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სიაში ყველაზე უსაფრთხო სისტემების კატეგორიაში ხვდება. შესაძლოა, ამ კვლევებში გამოყენებული საზომები არ იძლეოდას ზუსტ სურათს, თუმცა უდავოა, რომ განსაკუთრებული განგაშის საფუძველი ამ პერიოდში არ არსებობდა.

სკოლებში ძალადობის ეროვნული კვლევა

სკოლებში ძალადობის ეროვნული კვლევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტი იყო და იგი 2007 წელს განხორციელდა. კვლევის მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძალადობის ფორმების და გავრცელების დადგენა და, შესაბამისად, სკოლაში ძალადობის პრობლემის მასშტაბის განსაზღვრა იყო. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს 93 სკოლის (თბილისის 33 და რეგიონების 60) 1300 მოსწავლე. გამოკითხულ მოსწავლეთა 77% ამბობს, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. სკოლის მოსწავლეთა უდიდეს ნაწილს სკოლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს (67%). სკოლის მოსწავლეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ გასული წლის განმავლობაში ყოფილა სკოლის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის უდიდესი ნაწილი მსუბუქ ფორმებზე მოდის. კერძოდ, თუ მოსწავლეთა 47,1% აცხადებს, რომ ყოფილა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, აქედან, ძირითადად, ფიქსირდება ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა ხელზე ან მკლავზე დარტყმა (20,5%), ყურის აწევა (17,4%), თმის მოქაჩვა (17,2%), რაიმეს ტყენინება (13,2%), თავზე ან სახეში გარტყმა: (10,3%), ხელის კვრა (9,5%). ძალიან მცირეა ძალადობის მძიმე ფორმების შემთხვევები (ბასრი საგნით დაჭრა (0,5%), რაიმე საშუაშის დაძალება (2,0%), დაბმა (0,4%). მოსწავლეთა 47,5% აცხადებს, რომ ყოფილა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი - დაყვირება: 20,2%; შეშინება: 18,2%; ცუდი ნიშნებით დამუქრება: 17,8%; უხამსი ან საწყენი სახელების დაძახება: 15,2%.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის ეროვნული კვლევა ოჯახებში. შედეგებისას ირკვევა, რომ ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის შემთხვევები სკოლაზე უფრო მეტი - ოჯახშია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, რომ - როგორც „ბოლო წლის განმავლობაში“, ასევე, „საერთოდ“ - ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფრო მაღალია ოჯახში, ვიდრე სკოლაში (ცხრილი 1).

ცხრილი 1: ძალადობის შემთხვევები სკოლასა და ოჯახში ძალადობის ტიპისა და ძალადობის ადგილის (ოჯახი და სკოლა) მიხედვით.

ძალადობის ადგილი	ფიზიკური ძალადობა (%)		ფსიქოლოგიური ძალადობა (%)	
	ბოლო წლის განმავლობაში	საერთოდ	ბოლო წლის განმავლობაში	საერთოდ
ოჯახში	54.0	72.1	59.1	70.9
სკოლაში	47.1	61.7	47.5	56.4

წყარო: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007⁴.

4. [http://www.unicef.org/georgia/Violence_Study_ENG_final\(1\).pdf](http://www.unicef.org/georgia/Violence_Study_ENG_final(1).pdf)

საერთაშორისო კვლევები

სკოლებში კლიმატისა და ძალადობის საკითხებს ფარავს, ასევე, ნიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS, 2006) და საერთაშორისო შეფასება მათემატიკასა და მეცნიერებებში (TIMSS 2007). ორივე კვლევა მოსწავლეების მიერ უსაფრთხო სკოლის აღქმას სხვადასხვა ინდიკატორის მეშვეობით იკვლევს. PIRLS 2006-ის მოსწავლეთა უსაფრთხოების ინდექსი სკოლებში დაფუძნებულია იმაზე, თუ რამდენად ეთანხმებიან გამოკითხული მოსწავლეები მოსაზრებას - „თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ სკოლაში ყოფნისას“ და ასევე, რას ფიქრობენ მათ მიერ დაფიქსირებულ ჩაგვრის (bullying), მოპარვისა და დაზიანების შემთხვევებზე, რომლებიც პირადად მათ ან მათ კლასში რომელიმე სხვა მოსწავლეს შეემთხვა კონკრეტული თვის განმავლობაში. ინდექსის მაღალ მაჩვენებელზე მოსწავლეები (მეტ-ნაკლებად) ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ; ვერ იხსენებდნენ ვერანაირ ინციდენტს, რომელიც მათ გადახდათ. ასევე, ვერ იხსენებდნენ ერთ ინციდენტზე მეტს, რომელიც მათ თანაკლასელს შეემთხვა. ინდექსის დაბალ მაჩვენებელზე მოსწავლეები (მეტ-ნაკლებად) არ ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ; იხსენებდნენ ორ ან მეტ შემთხვევას, რომელიც პირადად მათ შეემთხვათ და, ასევე, ორ ან მეტ ამბავს, რომელიც მათ თანაკლასელებს გადახდათ თავს გასული თვის განმავლობაში.

საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეულად მაღალი მაჩვენებელი აქვს: მოსწავლეების 67% უსაფრთხოების მაღალ მაჩვენებელს აფიქსირებს, 32% - საშუალოს და მხოლოდ 1% ირჩევს უსაფრთხოების დაბალ მაჩვენებელს. კვლევის მონაწილე 45 ქვეყანას შორის, საქართველოს მე-4 ადგილი უჭირავს საერთაშორისო რეიტინგში ნორვეგიის, შვედეთისა და დანიის შემდეგ.

TIMSS გაზომვის შედარებით განსხვავებულ მეთოდს იყენებს. კვლევა მოსწავლეებს გამოჰკითხავს მათი სასკოლო გამოცდილების შესახებ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ხშირად მოუპარავთ მათთვის რამე ნივთი; რამდენად ხშირად დაურტყამთ/ან უტყენიათ მათთვის სხვა მოსწავლეებს; რამდენად ხშირად აიძულებდნენ მათ სხვა მოსწავლეები, გაეკეთებინათ ის, რაც არ სურდათ; რამდენად ხშირად დასცინოდნენ ან ეძახდნენ შერქმეულ სახელებს და რამდენად ხშირად დაუტოვებიათ სხვა მოსწავლეებს კონკრეტული აქტივობის მიღმა. მოსწავლეებმა უსაფრთხო სკოლის აღქმის ინდექსის

მაღალ დონეზე ხუთივე ინდიკატორზე უპასუხეს „არა“; მაშინ, როცა მოსწავლეებმა ინდექსის დაბალ მაჩვენებელზე უპასუხეს „დიახ“ - სამ ან მეტ მოსაზრებას. მოსწავლეები პასუხითა სხვა კომბინაციებით განთავსდნენ ინდექსის საშუალო დონეზე.

უსაფრთხოების ამგვარი გაზომვის მეთოდი მნიშვნელოვანწილად განსხვავებულ სურათს იძლევა, თუმცა, მაინც პოზიტიურს, - თუ საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლებს შევადარებთ. როგორც ცხრილშია ნაჩვენები (იხილეთ ცხრილი #2), საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელთან შედარებით, როგორც მე-4, ისე მე-8 კლასელებს შორის, საქართველო უსაფრთხოების ინდექსის მაღალ საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა უფრო დიდ მაჩვენებელს აფიქსირებს, ვიდრე - უსაფრთხოების ინდექსის დაბალ საფეხურზე მყოფების. საქართველოს საერთაშორისო რანგირებაში მეორე ადგილი უჭირავს მე-8 კლასელთა უსაფრთხოების მაღალ დონეზე ყოფნით. უფროსკლასელები, უმცროს კლასელებთან შედარებით, უსაფრთხოების დონის უფრო მაღალ მაჩვენებელს აფიქსირებენ.

PIRLS დირექტორებს გამოიკითხავს სკოლის უსაფრთხოების მათეული აღქმის შესახებ, ხოლო TIMSS კი, მასწავლებლებს - მათივე სკოლებში უსაფრთხოების მათეული აღქმის შესახებ. სკოლის დირექტორების მიერ სკოლის უსაფრთხოების აღქმის მაჩვენებელი ასევე მაღალია საქართველოში. PIRLS 2006 წლის კვლევაში დირექტორების მიერ სკოლის უსაფრთხოების აღქმის ინდექსი გაიზომა მათ მიერ იმ საკლასო საფეხურის დასახელებით, რომლებზეც გარკვეულ მოსწავლეთა ქცევა სკოლაში პრობლემური ხდება. ქცევები მოიცავდა საკლასო პროცესისათვის ხელის შეშლას, გადაწერას, უნესობას, ვანდალიზმს, ქურდობას, სხვა მოსწავლეების სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფასა და კონფლიქტს მოსწავლეებს შორის. დირექტორებს თითოეული ქცევა უნდა დაეხასიათებინათ როგორც: 1. სერიოზული პრობლემა, 2 - ზომიერი პრობლემა, 3 - მეორადი პრობლემა, 4 - არარსებული პრობლემა. მოსწავლეები, რომელთა დირექტორებსაც საშუალო მაჩვენებელი 3-ზე მეტი ჰქონდათ, მიეკუთვნენ ინდექსის მაღალ მაჩვენებელს, ხოლო რომელთა დირექტორებსაც 2-სა და 4-ს შორის - საშუალო მაჩვენებელს. 2-ზე ნაკლები საშუალო მაჩვენებლის მქონე დირექტორების მოსწავლეები განისაზღვრნენ, როგორც ინდექსის დაბალ დონეზე მყოფნი.

დირექტორების კვლევის შედეგად დაფიქსირებული უსაფრთხო სკოლის მაჩვენებლის თანახმად, საქართველოში მოსწავლეთა 73%

მაღალი უსაფრთხოების დონის მქონე სკოლებში სწავლობს, 20% - საშუალო უსაფრთხოების დონის მქონეში, ხოლო 7% - დაბალი უსაფრთხოების დონის მქონე სკოლებში. საქართველოს საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელზე 13%-ით მეტი ქულა აქვს იმ მოსწავლეების პროცენტით, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან, როგორც უსაფრთხოების მაღალ დონეზე მყოფნი.

TIMSS მასწავლებლებს ეკითხებოდა მათივე სკოლაში უსაფრთხოების მათეული აღქმის შესახებ. მასწავლებლების აღქმის ინდექსი დაფუძნებულია შემდეგ სამ მოსაზრებაზე გაცემულ პასუხებზე: (1) ეს სკოლა გარემოცულია უსაფრთხო გარემოთი, (2) თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ ამ სკოლაში; და (3) ამ სკოლის დაცვის სამსახური და აღჭურვილობა შესაბამისია ნორმებთან.

მოსწავლეები მაღალ დონეზე კლასიფიცირდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ მათი მასწავლებლები ეთანხმებოდნენ ყველა ხსენებულ მოსაზრებას და - დაბალ დონეზე, თუკი მათი მასწავლებლები არც ერთ მათგანს არ ეთანხმებოდნენ. ის მოსწავლეები, რომელთა მასწავლებლებმაც კომბინირებული პასუხები გასცეს, საშუალო დონეზე განთავსდნენ.

მასწავლებელთა მიერ უსაფრთხოების აღქმაზე დაყრდნობით, მე-4 და მე-8 კლასების მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს უსაფრთხოდ გრძნობს. TIMSS-ის მასწავლებელთა გამოკითხვაში საქართველოს 43 ქვეყანას შორის მე-9 ადგილი უჭირავს მე-4 კლასის მასწავლებლების გამოკითხვის მაჩვენებლით, ხოლო მე-8 კლასის მასწავლებლების გამოკითხვის მაჩვენებლით - მე-14 ადგილი 56 ქვეყანას შორის.

ცხრილი 2: როგორ აღიქვამენ სკოლის უსაფრთხოებას მოსწავლეები, დირექტორები და მათემატიკის მასწავლებლები საქართველოს შედეგების საერთაშორისო მონაცემებთან შედარების საფუძველზე (2006 წლის PIRLS - მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო კვლევა და 2007 წლის TIMSS - წიგნიერების საერთაშორისო კვლევა)

კვლევა	მონაწილეები	სკოლების წილი უსაფრთხოების დონეების მიხედვით (%)						ქვეყნის რეიტინგი
		მაღალი		საშუალო		დაბალი		
		1	2	1	2	1	2	
PIRLS	მე-4 კლასის მოსწავლეები	67	47	32	50	1	3	4 (45-დან)
	დირექტორები	73	60	20	32	7	7	16 (45-დან)
TIMSS	მე-4 კლასის მოსწავლეები	48	42	43	40	9	18	13 (40-დან)
	მე-8 კლასის მოსწავლეები	73	51	22	37	5	12	2 (51-დან)
	მე-4 კლასის მასწავლებლები	89	80	8	15	4	5	9 (43-დან)
	მე-8 კლასის მასწავლებლები	87	77	12	18	1	5	14 (56-დან)

1: საქართველოს მაჩვენებელი, 2: საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელი

წყარო: PIRLS 2006 და TIMSS 2007

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგების მიმოხილვა აშშ გამომცდილების გაბაღით

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აშშ-ში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ვერ შეამცირა ძალადობა სკოლებში და რამდენიმე გვერდითი ნეგატიური შედეგი გამოიღო. ჰარვარდის უნივერსიტეტის სამოქალაქო უფლებების პროექტის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშში აღნიშნულია (2000), ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა არ ეხმარება მოსწავლეს ქცევის გამოსწორებაში. იგი იწვევს უნდობლობას უფროსების მიმართ და ახდენს მტრული დამოკიდებულების პროვოცირებას (Harvard Civic Rights Project, 2000). 2006 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვერ ზრდის სკოლის უსაფრთხოებას და არ აუმჯობესებს სკოლის კლიმატს“. იგი ახდენს მოსწავლის გაუცხოებას და იზოლირებას, აძლიერებს მოსწავლეებში შფოთვის დონეს და აღრევს უფროსებთან ჯანმრთელ კავშირებს. ამით განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის, აძლიერებს ან აჩქარებს მენტალური ჯანმრთელობისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ შედეგებს“ (APA, 2006).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ნაშრომი განიხილავს სკოლაში დასჯის გამოყენებას მოზარდის განვითარებასთან მიმართებაში. როგორც ანგარიშში ირწმუნებიან, სხვადასხვა დისციპლინაში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ განსაკუთრებით 15 წლამდე ასაკის მოზარდებში შეიმჩნევა ფსიქო-სოციალური მოუმნიფებლობა ოთხ სფეროში: თანატოლთა გავლენისადმი სუსტი მედეგობა (Gardner & Steinberg, 2005; Zimring, 1998), რისკისადმი დამოკიდებულება და რისკის აღქმა (Arnett, 1992; Hooper, Luciana, Conklin, & Yarger, 2004), მომავალში ორიენტაცია (Greene, 1986; Grisso et al., 2003) და იმპულსების კონტროლი (Cauffman & Steinberg, 2000; Luna, Garver, Urban, Lazar, & Sweeney, 2004). ამ ასაკში ფსიქოლოგიურ მოუმნიფებლობას ნეირომეცნიერებიდან მიღებული ემპირიული შედეგები ადასტურებს. კერძოდ, ტვინის სტრუქტურაში ამ ფუნქციებზე პასუხისმგებელი ნაწილები ბოლომდე განვითარებული არ არის (e.g., Baird & Fugelsang, 2004; Luna & Sweeney, 2004); ანუ, როცა საქმე მოზარდების ქცევის შედეგებს ეხება, ისინი მიდრეკილნი არიან უფრო დიდი რისკის განვიწყენ და ნაკლებად ადეკვატური მსჯელობისკენ. და ბოლოს, კვლევები აჩვენებს, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის განვითარების მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდის

შესაბამისი საფეხურის სკოლის მახასიათებლებთან; კერძოდ, მოზარდის ისეთ მოთხოვნილებებთან, როგორებიცაა თანატოლებთან ახლო ურთიერთობა, ავტონომიურობა, უფროსებისგან (გარდა მშობლებისა) ძლიერი მხარდაჭერა, იდენტობის შეთავსება და აკადემიური ეფექტიანობის განცდა (Eccles, 2004; Eccles & Midgley, 1989). არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ნულოვანი ტოლერანტობის სტრატეგიებმა, შეიძლება მოზარდებში უკვე არსებული გამონევეები კიდევ მეტად გამწვავონ (APA, 2006).

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მომხრეების აზრით, დევიანტური ქცევის მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება სკოლაში დანარჩენი მოსწავლეების სწავლებისთვის კეთილსაიმედო კლიმატს ქმნის (Ewing, 2000). თუმცა, როგორც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ანგარიშშია აღნიშნული, ასეთი ვარაუდი უკიდურესად ინტუიციურია და მას ემპირიული საფუძველი არ გააჩნია. როგორც კვლევები აჩვენებს, სკოლის კლიმატის თვალსაზრისითაც დაბალი შეფასება აქვთ სკოლებს, რომლებიც ხშირად მიმართავენ სკოლიდან დათხოვნისა და გარიცხვის ზომებს (Bickel & Qualls, 1980). ასეთ სკოლებში ასევე დაბალია მოსწავლეთა მოსწრება მაშინაც კი, როცა მხედველობაში ვიღებთ სკოლაში მოსწავლეების დემოგრაფიულ და სოციო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს (J. E. Davis & Jordan, 1994; Raffaele-Mendez, 2003; Skiba & Rasch, 2006).

სკოლაში უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, აშშ სკოლები იყენებენ უსაფრთხოების ტექნიკასა და უსაფრთხოების პერსონალს, ქმნიან მოსწავლეების პირად საქმეებს. თუმცა, ასევე არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ ეს ზომები სკოლაში უსაფრთხოებას ზრდის (APA, 2006). მეიერისა და ლეონეს მიერ ჩატარებულ კვლევაში, აშშ მასშტაბით 12-დან 19 წლამდე ასაკის მოსწავლეების ინტერვიუებიდან მიღებული შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სკოლის ძალადობის მოდელი. მოსწავლეებს უსვამდნენ კითხვებს სკოლის წესებსა და პროცედურებზე, ძალადობის პირად გამოცდილებასა და სკოლაში ძალადობის ფაქტების შესახებ, ნარკოტიკული ნივთიერებების ხელმისაწვდომობაზე, სკოლაში კრიმინალური დაჯგუფებების არსებობაზე, შიშზე, რომ არ გახდეს ძალადობის ობიექტი და თავდაცვის ზომებზე. ამ ანალიზში მკვლევარებმა გამოიკითხეს მოსწავლეები, რომლებიც ინტერვიუს ჩატარებამდე 5-6 თვის განმავლობაში მაინც საჯარო სკოლაში დადიოდნენ. კვლევამ აჩვენა, სხვა სკოლებთან შედარებით, სკოლები,

რომლებიც იყენებენ ფიზიკურ (მეტალის დეტექტორები, ჩაკეტილი კარი და სხვა) საშუალებებს და პერსონალზე დამყარებულ საშუალებებს (დაცვა/რესურსოფიცერი), უფრო ნაკლებად უსაფრთხონი იყვნენ. ამ სკოლებში მაღალი იყო ძალადობის შემთხვევები და მოსწავლეებში - ძალადობის შიში.

ეს კვლევები არ აჩვენებს მკაფიო მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას დისციპლინის ზომებსა და სკოლის კლიმატს, ასევე, მოსწავლეების აკადემიურ შედეგებს შორის. ბუნებრივია, სკოლა, რომელშიც მოსწავლეები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, უფრო მეტად მიმართავს დაცვის მკაცრ ზომებს. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ასეთ სკოლებში დაცვის ზემოთ აღნიშნული საშუალებები სიტუაციას არ ცვლის, ანუ, მიუხედავად ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული ზომებისა, ძალადობის შემთხვევები არ მცირდება (Skiba, 2000).

სკოლის თემის დამოკიდებულება უსაფრთხო სკოლის პოლიტიკისადმი

სკოლის თემის დამოკიდებულების შესასწავლად გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი ასევე, რაოდენობრივი მეთოდები. კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფები ჩატარდა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ბათუმსა და თბილისში. გამოიკითხა 310 მოსწავლე და 310 მშობელი თბილისის მასშტაბით¹. სავსე სამუშაოები 2012 წლის თებერვალში ჩატარდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- სკოლაში კლიმატს დადებითად აფასებენ, როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები. თუმცა, მოსწავლეების ნახევარი აცხადებს, რომ ბოლო წლის განმავლობაში ყოფილა მოსწავლეებს შორის ფიზიკური ძალადობის მომსწრე სკოლის ტერიტორიაზე, 17% კი - მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის მომსწრე. მოსწავლეების მესამედი ამბობს, რომ წინა წლის განმავლობაში შესწრებია სკოლაში მოსწავლეების მიერ სიგარეტის მოხმარების შემთხვევას და 72% ამბობს, რომ მოსწავლეები ეწეოდნენ სიგარეტს სკოლის გარეთ. ბოლო თვის განმავლობაში, მოსწავლეების 10% ყოფილა დაცინვის, 5.5% კი - ფიზიკური ძალადობის ობიექტი.

1. კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა იხილეთ ქვემოთ მოცემულ თავში

- მოსწავლეების 75% და მშობლების 80% ამბობს, რომ მანდატურების შემოსვლამდე სკოლა ნაკლებად ან გაცილებით ნაკლებად უსაფრთხო იყო. მაგრამ უსაფრთხოების დაცვის საშუალებებიდან, ყველაზე მაღალი ქულა, საჭიროების თვალსაზრისით, დარაჯს და ვიდო თვალთვალს ერგო. უფრო დაბალი, თუმცა, საშუალოზე მაღალი შეფასება აქვს მანდატურის საჭიროებას. მანდატურების მუშაობას დადებითად აფასებენ როგორც მშობლები, ასევე, მოსწავლეები. თუმცა, ორივე კატეგორიაში (მშობლები და მოსწავლეები) 33% ნეიტრალურ პოზიციას იჭერს.
- მოსწავლეების 70%-ს ამა თუ იმ სახის სასჯელი მიუღია დისციპლინური გადაცდომების გამო. მათი 87% ფიქრობს, რომ სასჯელი უსამართლო ან ძირითადად, უსამართლო იყო.
- მოსწავლეებიც და მშობლებიც დაბალ შეფასებას აძლევენ სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენებას (მოსწავლის სპეციალურ სკოლაში გაგზავნა და სკოლიდან გარიცხვა). რთული ქცევის მქონე მოსწავლეების ქცევაზე რეაგირების სცენარებიდან (მათ შორის იყო ისეთი სცენარი, რომელიც მანდატურის მშობელთან და ბავშვთან გასაუბრებას ითვალისწინებს), მშობლები და მოსწავლეები უპირატესობას ისეთ სცენარს ანიჭებენ, რომელიც მოსწავლესთან და მის მშობელთან პედაგოგის, დირექტორის და ფსიქოლოგის გასაუბრებას გულისხმობს.
- მანდატურის, როგორც მედიატორის, როლის შემსრულებლისადმი ნდობა დაბალია, როგორც მოსწავლეებში, ისე მშობლებში. მოსწავლეებს შორის და მოსწავლესა და მასწავლებლებს შორის კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრაში უპირატესობას მოსწავლეებიც და მშობლებიც არ ანიჭებენ მანდატურს. მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში მოსწავლეების 15% მასწავლებლის, 32% საერთო მეგობრის, 5% - კი მშობლის ჩართვას ამჯობინებენ მანდატურის ჩართვას. მანდატურის ჩართვას მოსწავლეების 40% ემხრობა. დაახლოებით იგივე სურათია მშობლებშიც. ორ ბავშვს შორის ჩხუბის შემთხვევაში, მშობლების 37% ამბობს, რომ უმჯობესია მანდატურის ჩართვა. მშობლების 32% - მასწავლებლის, 20% - ბავშვების საერთო მეგობრის, 6% კი - მშობლის ჩართვას ანიჭებს უპირატესობას. კიდევ უფრო ნაკლებია იმ მოსწავლეებისა და მშობლების წილი, რომლებიც მანდატურს ანდობდნენ მედიაციას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კონფლიქტის დროს პრობლემის გა-

დასაჭრელად (27% - მოსწავლეებში და 13% - მშობლებში). დანარჩენები ამ როლს დამრიგებელს, დირექტორს და მშობელს ანდობენ. მოსწავლეების 7% და მშობლების 4% უშუალოდ განათლების სამინისტროს ჩართავენ.

- სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაში რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი როგორც მოსწავლეებში, ასევე, მშობლებში, კლასის დამრიგებელს და დირექტორს ანიჭებს გადამწყვეტ როლს, რიგით მასწავლებლებთან, მანდატურთან და სკოლის ფსიქოლოგთან შედარებით.
- მანდატურისადმი დამოკიდებულება (საჭიროება და როლი უსაფრთხო გარემოს შექმნაში) მშობლებში განსხვავდება განათლების დონისა და ზოგადი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო დაბალ შეფასებას ანიჭებენ მანდატურის როლსა და საჭიროებას. ასევე, მანდატურის როლისა და საჭიროების შეფასება დადებითად კორელირებს ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის, სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხისა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის ხარისხის შეფასებასთან. მოსწავლეებს შორის დამოკიდებულებაში განსხვავებები ფიქსირდება ასაკის, მშობლის განათლების და ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის შეფასების მიხედვით.

ამ და სხვა მიგნებებს უფრო დანვრლებით ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში განვიხილავთ.

უსაფრთხოების დაცვის ზომები სკოლაში

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ სკოლას ჰყავს მანდატური (98% მოსწავლე და 98% მშობელი), დარაჯი (96% მოსწავლე და 95% მშობელი), აქვს ვიდეოკამერები სკოლის შენობაში. რესპონდენტთა მცირე ნაწილი ამბობს, რომ სკოლაში არის მეტა-ლის დეტექტორი (მოსწავლეთა 12% და მშობელთა 10%).

ცხრილი 3: უსაფრთხოების ზომები გავრცელების სიხშირის მიხედვით

უსაფრთხოების დაცვის რომელ საშუალებებს იყენებს სკოლა	მოსწავლე (%)	მშობელი (%)
მანდატური	97.7	98.4
ვიდეოკამერები სკოლის შენობაში	96.4	89.4
დარაჯი	96.1	94.8
ვიდეოკამერები სკოლის ეზოში	68.9	57.4
მეტალის დეტექტორი	12.3	9.7

ძალადობის შემთხვევები სკოლაში და სკოლის გარეთ

კვლევაში მონაწილე მოსწავლეების მცირე ნაწილი ამბობს, რომ ყოფილა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის ობიექტი სკოლაში ან სკოლის გარეთ. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები უფრო ხშირად სკოლაში ხდება, ვიდრე სკოლის გარეთ. ყველაზე ხშირი სიტყვიერი შეურაცხყოფის და დაცინვის შემთხვევებია როგორც სკოლაში (9.1%), ასევე, სკოლის გარეთ (5.5%). ეს შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ მოსწავლეები თანატოლებთან ყველაზე მეტ დროს სკოლაში ატარებენ და სკოლის გარეთ უფრო ნაკლებად ხვდებიან თანატოლებს ან სასკოლო ასაკის იმ ბავშვებს და მოზარდებს, ვისგანაც ძალადობის საფრთხე მეტია.

ორი წელია მანდატურია და კარგი ის არის, რომ გაცდენები შემცირდა. ძალადობის ფაქტები სკოლაში არც მანამდე ხდებოდა და არც ახლა ხდება.

არსენი. 15 წლის. ბათუმი

ცხრილი 4: ძალადობის შემთხვევები სკოლასა და სკოლის გარეთ

წინა სემესტრის განმავლობაში, სკოლაში შეგემთხვა თუ არა რომელიმე ამათგან?	სკოლაში (%)	სკოლის გარეთ (%)
სხვა მოსწავლემ დამცინა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა	9.1	5.5
მასწავლებელმა დამცინა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა	5.5	
სხვა მოსწავლემ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა	5.2	3.9
რალაც მომპარეს	3.2	1.3
მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა	2.6	
სხვა მოსწავლემ ფული ან სხვა ნივთი წამართვა	1.9	0

ბშირია შემთხვევები, როცა მოსწავლეები ხდებიან ძალადობის მონემები სკოლაში ან სკოლის გარეთ. მაგალითისთვის, გამოკითხული მოსწავლეების ნახევარზე მეტი (52%) აცხადებს, რომ ბოლო წლის განმავლობაში ყოფილა შემსწრე შემთხვევებისა, როცა მოსწავლეებმა ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სკოლაში და დაახლოებით იგივე ნაწილი (49%) ამბობს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის მომსწრეები გამხდარან ქუჩაში, უბანში, ეზოში ან სადარბაზოში. მოსწავლეების ერთი მესამედი ყოფილა მონმე, როცა მოსწავლეები სკოლაში ეწეოდნენ სიგარეტს და 72% ამბობს, რომ ყოფილან ასეთი ქცევის მომსწრე სკოლის გარეთ.

ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, რომ ბუნებრივია, ხანდახან ვჩხუბობთ კიდეც. სკოლაში აღარ ხდება, მაგრამ ქუჩაში ხდება უფრო მეტი. ადრე სკოლაში თუ ჩხუბობდნენ ბავშვები, მასწავლებლები აშველებდნენ და იქვე გვარდებოდა პრობლემა. ახლა ქუჩაში ჩხუბობენ ისე, რომ უფროსები ვერ ხედავენ და რომ დაიჭრას ბავშვი, ისე მოკვდება, ვერავინ გაიგებს. მე არ ვამბობ, რომ პრობლემა არ არსებობდა. მაგრამ ამ პრობლემას მანდატური ვერ აგვარებს.

ირაკლი. 16 წლის. თბილისის სპეციალიზებული პროფილის სკოლის წარჩინებული მოსწავლე

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამოკითხულთაგან ორი მოსწავლე შეესწრო სკოლაში დაჭრის შემთხვევას და მოსწავლეების 5% შეესწრო ასეთ შემთხვევას სკოლის გარეთ.

სიგარეტსაც ვენეოდით ტუალეტში. ახლა ნაკლები ენევა სიგარეტს სკოლაში. მაგრამ გარეთ, რომ გადაიხომ ენევიან მაინც. ანუ, ეს მოწვევის პრობლემას არ ჭრის.

გიორგი. 16 წლის. თბილისის ერთ-ერთი სპეციალიზებული პროფილის სკოლის წარჩინებული მოსწავლე

მოსწავლეების 18% ამბობს, რომ ყოფილა მომსწრე, როცა მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სხვა მოსწავლეს.

ცხრილი 5: მოსწავლე, როგორც ძალადობის თვითმხილველი სკოლასა და სკოლის გარეთ

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ყოფილხართ თუ არა მომსწრე, როცა:	სკოლაში %	სკოლის გარეთ %
მოსწავლეებმა სკოლაში ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს	52.1	48.9
მოსწავლეები სკოლაში სიგარეტს ეწეოდნენ	32.7	71.6
მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოსწავლეს	17.8	-
მოსწავლეებმა ერთმანეთს ნივთი ან ფული ძალით წაართვეს სკოლაში	6.5	6.1

მშობლების უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაუგიათ მოზარდებს შორის მკვლევლობის (79%), მოზარდებს შორის ფიზიკური დაპირისპირების (74%) შემთხვევების შესახებ. ფიქსირდება შემთხვევები, როცა გამოკითხული მშობლები აცხადებენ, როცა მსხვერპლი ან დაპირისპირების მონაწილე ოჯახის წევრი, ნათესავი ან ნაცნობი იყო. თუმცა, მათი უდიდესი ნაწილისთვის (95%) მოზარდების მკვლევლობის შესახებ ინფორმაციის პირველადი წყარო მედია საშუალებებია.

ცხრილი 6: მოზარდებს შორის ძალადობის შემთხვევები და ინფორმაციის პირველადი წყარო

ძალადობის შემთხვევები	ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამიგია	ინფორმაციის პირველადი წყარო მედია იყო
მოზარდებს შორის მკვლევლობის შესახებ	79%	95%
მოზარდებს შორის არაფაქტალური ფიზიკური დაპირისპირების შესახებ	74%	84%

მანდატურის უფლებები და მოვალეობები რესპონდენტების წარმოდგენით

როგორც მშობლებში, ასევე, მოსწავლეებში დაბალია მანდატურის მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი. მოსწავლეების ნახევარი და მშობელთა 37% ფიქრობს, რომ მანდატურის მოვალეობაში სკოლის შინაგანანგის შემუშავება შედის. მოსწავლეთა 47% მიიჩნევს, რომ მანდატურს უფლება აქვს, მოსწავლე სკოლიდან გარიცხოს და 35% ფიქრობს, რომ მანდატურს მასწავლებლის მოხსნა შეუძლია. გამოკითხული მოსწავლეების მეათედზე მეტი თვლის, რომ მანდატურის უფლებებში დირექტორის მოხსნაც შედის.

გრძნობ, რომ გარემო უსაფრთხო არ არის შენთვის, მასწავლებლისთვის ეს არის გარემო, სადაც მოსწავლე გრძნობს, რომ შენ უფრო გეშინია მანდატურის. მოსწავლისგან ისიც კი მსმენია, მანდატურები თქვენ გაკონტროლებენო.

ნატო, საჯარო სკოლის მასწავლებელი. ბათუმი

ცხრილი 7: მანდატურის უფლებებსა და მოვალეობებზე მოსწავლეებისა და მშობლების წარმოდგენები

მანდატურის უფლებები და მოვალეობები	მოსწავლე (%)	მშობელი (%)
სკოლაში წესრიგის დაცვა	98.1	98.4
სკოლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი	86.7	90.6
სკოლის შიდა წესების შესრულების კონტროლი	89.3	75.2
მოსწავლის გაჩხრეკა	63.1	65.8
დირექტორის დანიშვნა	4.9	3.9
დირექტორის მოხსნა	12.0	5.8
მასწავლებლის მოხსნა	34.6	9.7
მასწავლებლის დანიშვნა	8.4	5.8
მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა	47.2	13.2
მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნა	59.9	20.0
მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევება	52.4	21.0
სკოლის შიდა წესების შემუშავება	49.2	37.4

სამართლიანობა

როგორც მშობლების ასევე, მოსწავლეების აზრით, სიტუაციაში, სადაც ერთსა და იმავე დანაშაულში ორი სხვადასხვა ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეს ამხელენ სკოლაში, სადაც მანდატურია, უმანდატურო სკოლასთან შედარებით, უფრო მაღალია შანსი იმისა, რომ ორივე მოსწავლეს გარიცხავენ. მაგრამ სკოლაში, რომელშიც მანდატური არაა, მოსწავლეებისა და მშობლების აზრით, ხელმოკლე მოსწავლის გარიცხვის შანსი უფრო მაღალია, ვიდრე შეძლებული მოსწავლის.

ცხრილი 8: “დაეუშვათ, ორ მოსწავლეს - ერთს შეძლებული ოჯახიდან, მეორეს კი - ხელმოკლე ოჯახიდან - სხვადასხვა სიტუაციაში უპოვეს დანა. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვ, მითხარი, რა მოხდებოდა ამის შემდეგ?”

შესაძლო სცენარები	მოსწავლე (%)		მშობელი (%)	
	სკოლა, სადაც მანდატურია	სკოლა, სადაც მანდატური არ არის	სკოლა, სადაც მანდატურია	სკოლა, სადაც მანდატური არ არის
შეძლებული ბავშვის გარიცხვის შანსი უფრო დიდია	0.6	2.9	0.6	0.3
ხელმოკლე ბავშვის გარიცხვის შანსი უფრო დიდია	8.7	23.3	11.0	23.5
ორივეს თანაბარი შანსი აქვს გარიცხვის	76.1	51.1	62.6	37.7
არც ერთს არ გარიცხავენ	11.0	17.8	20.0	28.4
არ ვიცი	0	0	5.2	9.0
უპასუხოდ დატოვა	3.6	4.9	0.6	1.0

მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, მოსწავლეების 40%-ის აზრით, საკითხი ყველაზე სამართლიანად გადაწყდებოდა მანდატურის ჩარევის, 32%-ის აზრით კი - საერთო მეგობრის ჩარევის შემთხვევაში. მხოლოდ 15% აზრით გადაწყდებოდა საკითხი ყველაზე სამართლიანად მასწავლებლის ჩარევის შემთხვევაში. მოსწავლეების ნაწილი მიემხრო ქუჩის ავტორიტეტების ჩართვას (4%). მშობლების 37%, ასევე, ფიქრობს, რომ უმჯობესია მანდატურის ჩარევა. მშობლების 33% ნდობას მასწავლებლებს უცხადებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი შესაძლო სცენარიდან - სკოლაში მანდატური არის და სკოლაში მანდატური არ არის - როგორც მოსწავლეების, ასევე, მშობლების აზრით, ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეს გარიცხავენ უფრო დიდია სკოლაში, სადაც მანდატური არის.

ცხრილი 9: დაეუშვათ, ორი ბავშვი ჩხუბობს სკოლაში. შენი აზრით, ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რომელ შემთხვევაში გადაწყდებოდა მოსწავლეებს შორის დავა ყველაზე სამართლიანად?

	მოსწავლე %	მშობელი %
თუ ბავშვები ჩართავენ მანდატურს	39.5	37.1
თუ ბავშვები ჩართავენ მასწავლებელს	14.6	32.9
თუ ბავშვები ჩართავენ საერთო მეგობარს	32.0	19.7
თუ ბავშვები ჩართავენ მშობელს	5.2	6.1
თუ ბავშვები ჩართავენ ქუჩის ავტორიტეტს	3.9	-
უპასუხო	4.9	4.2

ისეთ სიტუაციაში, როცა მასწავლებელი უსამართლოდ ექცევა მოსწავლეს, მოსწავლეების 27% მანდატურის, 26% - დამრიგებლის ჩართვის, 21% კი - დირექტორის ჩართვის შემთხვევაში წინასწარმეტყველებს პრობლემის ყველაზე სამართლიანად გადაწყვეტას. მშობლების უფრო დიდი ნაწილი დამრიგებლის (41%) ან დირექტორის (30%) ჩართვას არჩევს და უფრო მცირე ნაწილი ანდობს საკითხს მანდატურს (13%). მოსწავლეების 7% და მშობლების 4% საკითხის გადასაჭრელად სამინისტროს აირჩევენ.

თორნიკე: სანამ ქართველებს თვითშეგნება და კულტურა არ გვექნება, მანამდე არაფერი გვეშეუფლება. და ასე თვითშეგნება არ გამოგვიშავდება.

არსენი: ვისაც არ მოჰყვა თვითშეგნება, ვიღაცამ უნდა აჩვენოს ეს.

თორნიკე: პოლიტიციელმა და პრობაციის მინისტრმა უნდა აჩვენოს ეს?

ამონარიდი მოსწავლეების ფოკუსჯგუფიდან ბათუმში

ცხრილი 10: დავუშვათ, მასწავლებელი უსამართლოდ მოექცა მოსწავლეს. ბარათის გამოყენებით, გთხოვ, მითხარი, ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში გადაწყდებოდა პრობლემა ყველაზე სამართლიანად?

შესაძლო სცენარები	მოსწავლე %	მშობელი %
თუ ჩართავენ მანდატურს	26.9	12.6
თუ ჩართავენ დამრიგებელს	25.6	41
თუ ჩართავენ დირექტორს	21.4	29.7
თუ ჩართავენ მშობელს	13.3	10
თუ ჩართავენ განათლების სამინისტროს	7.4	3.9
უპასუხო	5.5	3

საინტერესოა, რომ 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს - საერთოდ არ ვეთანხმები და 10 ნიშნავს - სრულიად ვეთანხმები, როგორც მშობლები, ასევე, მოსწავლეები დაბალ შეფასებას აძლევენ მანდატურის მიერ მასწავლებელთან შედარებით დავების უფრო სამართლიანად გადაწყვეტის შესაძლებლობას. მშობლების შეფასება უფრო დაბალია, ვიდრე მოსწავლეებისა.

ჩვენი სახელმწიფო მანდატურს გზავნის სკოლაში, რომ პირველივე კლასიდან დაშინებული იზრდებოდეს ადამიანი. ამისთვის აკეთებენ ამას. დაშინებული და მორჩილი თაობა სჭირდებათ. ყველაფერი კონტროლისთვის კეთდება. იმას ვერ ხვდებიან, რომ ასე ადამიანები არ იცვლებიან. არ შეიძლება ადამიანს ასე შეუზღუდო თავისუფლება. შიშით ბავშვების გაზრდა არ შეიძლება, თორემ გამოვლენ შემინებულიები.

გიორგი, 16 წლის.

ცხრილი 11: მანდატურისადმი დამოკიდებულება მშობლებსა და მოსწავლეებში

	მშობელი	მოსწავლე
რამდენად საჭიროა მანდატური	7.9	7.5
მანდატური გვეხმარება კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებაში	6.6	6.7
მანდატური ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ საკუთარი შეცდომებიდან	5.7	6.1
მანდატური ეხმარება მასწავლებლებს, უფრო კარგად რომ ასწავლონ	3.3	3.6
მანდატური მოსწავლეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს	5.2	5.3
მანდატური მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს	4.6	4.9
მასწავლებლებს არ უნდა მივანდოთ წესრიგი და დისციპლინა სკოლებში	2.6	3.5
წესრიგის დამყარება მანდატურს უფრო კარგად შეუძლია, ვიდრე მასწავლებელს	5.8	7.3
მანდატურს დავების გადაწყვეტა უფრო სამართლიანად შეუძლია, ვიდრე მასწავლებელს	4.7	5.8

შენიშვნა: დებულებები რესპონდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთახები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“

დისციპლინის დარღვევა და სასჯელი

გამოკითხული მოსწავლეების 71% ამბობს, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე სხვადასხვა სახის სასჯელი მიუღია. რეაგირების ყველაზე ხშირი ფორმა გაფრთხილებაა. გამოკითხულ მოსწავლეთა 13% ამბობს, რომ მის მიერ დისციპლინის წესების დარღვევის შედეგად დაწერეს ოქმი, 10% ამბობს, რომ მიიღო მკაცრი გაფრთხილება, 6,5% - დაატოვებინეს გაკვეთილი, 3,2 %- დაავალეს სკოლისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება. დაფიქსირდა სკოლიდან გარიცხვის ერთი და ფულადი ჯარიმის გადახდის ერთი შემთხვევა.

ცხრილი 12: დისციპლინის დარღვევის შედეგად მოსწავლეების მიერ მიღებული სასჯელი

სასჯელის ფორმა	%
მიიღე გაფრთხილება	35.6
დანერეს ოქმი	13.3
მიიღე მკაცრი გაფრთხილება	10
დაგატოვებინეს გაკვეთილი	6.5
დაგავალეს სკოლისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება	3.2
დროებით დაგითხოვეს სკოლიდან	1.9
მშობელს გადაახდევინეს ჯარიმა	0.3
გაგრიცხეს სკოლიდან	0.3

მოსწავლეების უდიდესი ნაწილი მათ მიერ განხორციელებულ სასჯელს უსამართლოდ მიიჩნევს. 87% იმ მოსწავლეებისა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დაისაჯა, ფიქრობს, რომ სკოლის მიერ მის მიმართ განხორციელებული დასჯის ზომები უსამართლო იყო, ან უფრო უსამართლო იყო, ვიდრე სამართლიანი. 10% მიიჩნევს, რომ სასჯელი სამართლიანი ან მეტწილად სამართლიანი იყო.

ივანე: ერთი კატეგორია ბავშვის - არც სწავლობს და ზედმეტად აქტიურია. რეპლიკები, კომენტარები სწავლის პროცესის მიმდინარეობას უშლის ხელს. მეორე - სწავლობს ცუდ ნიშნებზე.

არსენი: ორივე უნდა გაირიცხოს.

თორნიკე: შენ რა, გენოციდს აწყობ? საქართველოს შემთხვევაში ყველამ შეიძლება არ უნდა ჩააბაროს უმაღლესში, მაგრამ სკოლა უნდა დაამთავრებინო ბავშვს.

არსენი: ჩვენთან იყო ჩუმი, არავის ხელს არ უშლიდა, მარა არც სწავლობდა. გადავიდა სპეციალურ სკოლაში, სადაც მისი დონე გაიზრდა სწავლის.

ივანე: წყნარი ბავშვები მიდიან სამტრედიის სკოლაში. ისე, ვარ ნამყოფი, მამაჩემმა წამიყვანა. იქ ისეთი სიტუაცია იყო, ციხე მეგონა. ციხე კი არა, უარესია. გალიასავით იყო რალაც და შიგ იყო 3 თუ 4 ბავშვი ჩაკეტილი. რომ მივედი, რა კარგი ტანსაცმელი გაცვიაო. ის მასწავლებლები თითქოს ფსიქოლოგები უნდა ყოფილიყვნენ. იქ რომ ბავშვი მივა, რა უნდა გამოსწორდეს. გალიას გლეჯდა.

ამონარიდი მოსწავლეების ფოკუს ჯგუფიდან ბათუმში.

ცხრილი 13: შენი აზრით, რამდენად სამართლიანი იყო სკოლის მიერ შენი მიმართ განხორციელებული დასჯის ზომები?

	%
სამართლიანი იყო	6.0
უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე უსამართლო	4.3
უფრო უსამართლო იყო, ვიდრე სამართლიანი	19.8
უსამართლო იყო	69.0

ზოგადად, როგორც მშობლებისთვის, ასევე, მოსწავლეებისთვის ნაკლებად მისაღებია სასჯელის მკაცრი ფორმები. ჰიპოთეტურ სიტუაციაში, როცა სკოლაში მოსწავლე „ხშირად ერთვება ჩხუბში, აზიანებს სკოლის ქონებას და მასწავლებლებს ხელს უშლის გაკვეთილის ჩატარებაში“, მოსწავლეებისა და მშობლების უდიდესი ნაწილი დაბალ შეფასებას აძლევს სასჯელით რეაგირების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა - სკოლიდან გარიცხვა, ფულადი ჯარიმა და სპეციალიზებულ სკოლაში გადაყვანა. ყველაზე მაღალი შეფასება პრობლემის გადაჭრის იმ სცენარმა მიიღო, როცა მოსწავლეს და მის მშობელს დაელაპარაკება პედაგოგი, დირექტორი და ფსიქოლოგი.

ცხრილი 14: დავუშვათ, სკოლაში ერთი მოსწავლე ხშირად ერთვება ჩხუბში, აზიანებს სკოლის ქონებას და მასწავლებლებს ხელს უშლის გაკვეთილის ჩატარებაში. სკოლა ფიქრობს რეაგირების რამდენიმე შესაძლო ვარიანტზე. რამდენად ეთანხმები აქ ჩამოთვლილ დებულებებს?

მოსწავლის ქცევაზე რეაგირების შესაძლო სცენარები	მოსწავლე		მშობელი	
	N	საშუალო	N	საშუალო
მოსწავლე უნდა გარიცხოს სკოლიდან	299	5.9	308	3.3
მოსწავლე უნდა გაიგზავნოს სპეციალურ სკოლაში, სადაც მსგავსი პრობლემის მქონე მოსწავლეებთან ერთად ისწავლის	299	5.9	302	4.5

მოსწავლის ქცევაზე რეაგირების შესაძლო სცენარები	მოსწავლე		მშობელი	
	N	საშუალო	N	საშუალო
მოსწავლეს და მის მშობლებს მანდატური უნდა დაელაპარაკოს	302	7.4	309	7.2
მოსწავლეს და მის მშობლებს უნდა დაელაპარაკოს პედაგოგი, დირექტორი და ფსიქოლოგი	302	8.5	309	9.5
მშობელს უნდა გადაახდევინონ ფულადი ჯარიმა	303	3.1	305	4.5

შენიშვნა: დებულებები რესპონდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთახები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“ .

როგორ აფასებენ მანდატურის მიერ შესრულებულ სამუშაოს

მოსწავლეებისა და მშობლების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს მანდატურის მუშაობას. კერძოდ, მოსწავლეების 54% და მშობლების 60% მანდატურის მიერ შესრულებულ სამუშაოს დადებითად აფასებს. მოსწავლეების 35% და მშობლების 34% ნეიტრალურ პოზიციას იჭერს და მოსწავლეების 3% და მშობლების 3,6% ნეგატიურ შეფასებას აძლევს მანდატურის მუშაობას.

ცხრილი 15: მანდატურს ბევრი მოვალეობის შესრულება უწევს სკოლაში. ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვ მითხარი, როგორ შეაფასებ მანდატურის მუშაობას?

	მოსწავლე %	მშობელი %
ძალიან ცუდად	1.0	1.3
ცუდად	2.9	2.3
არც ცუდად და არც კარგად	34.6	33.9
კარგად	43.7	52.3
ძალიან კარგად	10.7	7.7
არ ვიცი	1.9	
უპასუხო	9.4	2.6

რამდენად შეცვალა მანდატურმა სკოლაში გარემო

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ მანდატურის სკოლაში შემოსვლამდე სკოლა ნაკლებად უსაფრთხო იყო. მოსწავლეთა მხოლოდ 19% და მშობელთა 9% აცხადებს, რომ არაფერი შეცვლილა, ან სკოლა მანამდე უფრო უსაფრთხო იყო.

ცხრილი 16: მანდატურების სკოლაში შემოსვლის შემდეგ, რამდენად შეიცვალა უსაფრთხოება სკოლაში?

	მოსწავლე %	მშობელი %
მანამდე გაცილებით უფრო უსაფრთხო იყო	1.6	2.6
მანამდე უფრო უსაფრთხო იყო	0.6	6.8
არ შეცვლილა	19.1	8.7
მანამდე ნაკლებად უსაფრთხო იყო	53.1	47.1
მანამდე გაცილებით ნაკლებად უსაფრთხო იყო	23.0	34.2
უპასუხო	2.6	0.6

სასურველი სცენარები

მიუხედავად მანდატურის მიერ შესრულებული სამუშაოს მაღალი შეფასებისა და, ასევე, მანდატურის სკოლაში შესვლის შემდეგ უსაფრთხოების გაზრდისა, როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები მანდატურზე მაღალ შეფასებას სკოლაში უსაფრთხოების დაცვისთვის დარაჯს და ვიდეო კამერებს ანიჭებენ. ყველაზე ხშირად დაბალ შეფასებას იღებს მეტალის დეტექტორი და ჩხრეკა. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების დაცვის ამ ინსტრუმენტების პრიორიტეტიზაცია მშობლებსა და მოსწავლეებში მსგავსია.

დღეს რეფორმა უნდა დაწყებულიყო არა მანდატურით, არამედ დირექციით და მასწავლებლით. სადაც დირექცია ძლიერია, იქ მანდატური საჭირო აღარაა. ამისთვის უნდა ებრძოლა განათლების სამინისტროს.

ნანა, ბათუმი. ორი მოსწავლის დედა

ცხრილი 17: ამ ბარათის გამოყენებით, სადაც „1“ ნიშნავს „საერთოდ არ არის საჭირო“ და „10“ ნიშნავს „ძალიან საჭიროა“, აქ ჩამოთვლილთაგან თითოეული რამდენად საჭიროა, ან არ არის საჭირო სკოლაში უსაფრთხოების დასაცავად?

	მოსწავლე		მშობელი	
	N	საშუალო	N	საშუალო
მანდატური	306	7.5	307	7.9
დარაჯი	306	8.8	308	9.3
მეტალის დეტექტორი	283	5.9	280	7.1
ვიდეო კამერები სკოლის შენობაში	306	8.0	308	9.2
ვიდეო კამერები სკოლის ეზოში	304	7.7	299	9.2
ჩხრეკა	299	4.4	293	5.4

შენიშვნა: დებულებები რესპონდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთახმები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“

მე თანახმა ვარ, რომ მანდატური იყოს სკოლაში. მაგრამ არ მინდა, ჩემი ბავშვი სკოლაში იმიტომ დადიოდეს, რომ ეშინოდეს, ოქმი არ დაუნერონ. ცოდნის მიღება უნდა უნდოდეს. არ მინდა სკოლაში წასვლის სურვილი მანდატურის საქმე გახდეს.

ლევანი, 38 წლის. ორი შვილის მამა. ბათუმი


ასევე, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მანდატურის როლს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაში. როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების უდიდესი ნაწილის აზრით, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ყველაზე მნიშვნელოვანი - კლასის დამრიგებელი და დირექტორია. როგორც

ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, მშობლების 42% და მოსწავლეების 40% ემხრობა იმ აზრს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან) დამრიგებლის როლია. დანარჩენილი 41% მშობლებისა და 31% მოსწავლეებისა, პირველ ადგილზე დირექტორს აყენებს. მოსწავლეების 18% და მშობლების 9% პირველ ადგილზე მანდატურს აყენებს.

ჩემი შვილის კლასში 40 ბავშვიც ყოფილა, მაგრამ არიან მასწავლებელი, რომლებიც მართავენ კლასს. ჩემს დროსაც იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ აკავებდნენ კლასს.

ლალი. საბაზო საფეხურის
მოსწავლის მშობელი. თბილისი

ცხრილი 18: პრიორიტეტიზაცია: ვინ არის ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად? (1 - ყველაზე მნიშვნელოვანი, 5 - ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი)



მანდატურისადმი დამოკიდებულებაზე მოქმედი ფაქტორი

თვისებრივ ნაწილში (ფოკუს ჯგუფებში ბათუმსა და თბილისში) მკვეთრი განსხვავებები გამოიკვეთა მანდატურის საჭიროებისა და როლისადმი - სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის თვალსაზ-

რისით. ამიტომ, გამოკითხვის შედეგები შევადარეთ რესპონდენტების დემოგრაფიული, სოცო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ზოგადი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. მშობლებში ეს ცვლადები იყო:


- სქესი და ასაკი.
- პოლიტიკური შეხედულებები: დემოკრატიულობის ხარისხი ქვეყანაში, მთავრობის როლი, სკოლის დამოუკიდებლობის ხარისხი, კანონის უზენაესობა და სხვა.
- დასაქმება და სამუშაო ადგილი (სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორი).
- ოჯახის შემოსავლები, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა და პირადი შემოსავლები.

მოსწავლეებში დამოკიდებულებები შევადარეთ ასაკისა და სქესის, მშობლის განათლების, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის, მშობლის დასაქმების და სამუშაო ადგილის, საქართველოში დემოკრატიულობის ხარისხის შეფასების, სკოლის კლიმატის შეფასებისა და ძალადობის ბლოკში დაფიქსირებული პასუხების მიხედვით (ძალადობის ობიექტი ან ძალადობის მონმე).

მშობლებზე მოქმედი ფაქტორები

ზრდასრული რესპონდენტების დამოკიდებულებები განსხვავდება მათ მიერ მიღწეული განათლების დონის მიხედვით. ზოგადად, უმაღლესი განათლების მქონე ჯგუფში უფრო დიდია წილი იმ რესპონდენტებისა, რომლებიც თვლიან, რომ განათლების რეფორმა „სწორი“ ან „ძირითადად სწორი“ მიმართულებით მიდის. შესაბამისად, საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტების ჯგუფთან შედარებით, ნაკლებია წილი ისეთი რესპონდენტებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ განათლების რეფორმა არასწორი ან სრულიად არასწორი მიმართულებით მიდის.

ცხრილი 19: განათლების რეფორმის მიმართულების შეფასება მშობლის მიერ მიღწეული განათლების დონის მიხედვით



მშობლები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება ან სამეცნიერო ხარისხი, საშუალოდ უფრო დაბალ შეფასებას აძლევენ მანდატურის საჭიროებას სკოლაში, მთავრობისგან სკოლის დამოუკიდებლობას, მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანას, ასევე, ისეთ დებულებებს, როგორებიცაა „წესრიგის დამყარება მანდატურს უფრო კარგად შეუძლია, ვიდრე მასწავლებელს“, „მანდატური ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე“ და ა.შ.

ცხრილი 20: დამოკიდებულებები უსაფრთხოების საკითხებისადმი მშობლებში მათ მიერ მიღწეული განათლების დონის მიხედვით

	უმაღლეს-ზე დაბალი	უმაღ-ლესი	სულ
რამდენად დამოუკიდებელია სკოლა მთავრობისგან?	5.1	4.1	4.4
რამდენად საჭიროა მანდატური	8.8	7.5	7.9
წესრიგის დამყარება მანდატურს უფრო კარგად შეუძლია, ვიდრე მასწავლებელს	6.6	5.5	5.8
მოსწავლეები წესებს იცავენ იმიტომ, რომ დასჯის ემინათ	7.9	7	7.2
მანდატური გვეხმარება კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებაში	7.4	6.3	6.6
მანდატური ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე	6.5	5.4	5.7
მანდატურს დავების გადაწყვეტა უფრო სამართლიანად შეუძლია, ვიდრე მასწავლებელს	5.7	4.3	4.7
მანდატური ეხმარება მასწავლებლებს, უკეთესად რომ ასწავლონ			3.3
მანდატური მოსწავლეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს	6.1	4.8	5.2
მანდატური მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს	5.2	4.3	4.6
მასწავლებლებს არ უნდა მივანდოთ წესრიგი და დისციპლინა სკოლებში			2.6

შენიშვნა: დებულებები რესპონდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“

ერთის მხრივ, მშობლების მანდატურის საჭიროებისადმი დამოკიდებულებასა და მეორე მხრივ, დასაქმების სტატუსს, ოჯახის ეკონომიკურ მდომარეობას და რესპონდენტის პირად შემოსავლებს შორის კავშირი არ დადგინდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მშობლების დამოკიდებულება მანდატურის სამსახურის საჭიროებისადმი მშობლების დასაქმების სტატუსისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით არ განსხვავდება.

აღსანიშნავია, რომ მშობლის განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა მოსწავლეების შემთხვევაშიც. როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში, მოსწავლეები, რომელთა მშობლებს აქვთ უმაღლესი განათლება, საშუალოდ უფრო დაბალ შეფასებას აძლევენ მანდატურის საჭიროებას სკოლაში, ვიდრე ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებს არ აქვთ უმაღლესი განათლება.

მშობლების დამოკიდებულება მანდატურისადმი კავშირშია მათ ზოგად პოლიტიკურ შეხედულებებთან. ზრდასრულ რესპონდენტებს, რომლებსაც განსხვავებული პოზიციები აქვთ მანდატურის როლთან დაკავშირებით, ასევე განსხვავებული აზრი აქვთ საქართველოში დემოკრატიულობის ხარისხზე. ჯგუფი, რომელიც პირველ ან მეორე ადგილზე აყენებს მანდატურს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის თვალსაზრისით, ასევე, უფრო მაღალ ქულას ანიჭებს დღევანდელ საქართველოში დემოკრატიის ხარისხს იმ ჯგუფთან შედარებით, რომელიც მანდატურს მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილზე აყენებს. ასევე, ჯგუფი, რომელიც მანდატურს პირველ ან მეორე ადგილს ანიჭებს, უფრო მეტად ეთანხმება, რომ „საქართველოში საზოგადოებას კანონი მართავს“, „დანაშაულისთვის მიღებული სასჯელი სამართლიანია“, და რომ „მთავრობა ყოველთვის უნდა ჩაერიოს და დასაჯოს“.

ცხრილი 21: კავშირი მანდატურის როლისადმი დამოკიდებულებასა და ზოგად პოლიტიკურ დამოკიდებულებებს შორის

რამდენად მნიშვნელოვანია მანდატური სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად? (1- ყველაზე მნიშვნელოვანი, 5- ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი)	1 ან 2 ადგილზე	მე-3, მე-4 ან მე-5 ადგილზე	სულ
რამდენად ეთანხმებით, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა?	7.1	5.8	6.1
რამდენად ეთანხმებით, რომ მთავრობა ყოველთვის უნდა ჩაერიოს და დასაჯოს?	7.9	7.1	7.3
ზოგადად საქართველოში დანაშაულისთვის მიღებული სასჯელი სამართლიანია	6.3	5.0	5.3
საქართველოში საზოგადოებას კანონი მართავს	7.9	6.7	7.0
სასჯელალსრულებითი სისტემა მთავრობისგან დამოუკიდებელია	4.9	3.8	4.0

შენიშვნა: დებულებები რესპოდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთახები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთახები“

მოსწავლეებზე მოქმედი ფაქტორები

მოსწავლის მიერ მანდატურის სკოლაში საჭიროების სხვა განმსაზღვრელი ფაქტორებია მოსწავლის ასაკი და სქესი. მანდატურის საჭიროებას უფრო მაღალ ქულებს ანიჭებენ უფრო პატარა ასაკის მოსწავლეები. გოგონები, საშუალოდ, უფრო მაღალ ქულას ანიჭებენ მანდატურის საჭიროებას სკოლაში.

მანდატურის საჭიროების შეფასება მოსწავლეებში ასევე კორელირებს მოსწავლეების მიერ დემოკრატიულობის ხარისხის შეფასე-

ბასთან. მოსწავლეები, რომლებიც უფრო მაღალ ქულებს ანიჭებენ საქართველოში დემოკრატიის ხარისხს, ასევე, მაღალ ქულებს ანიჭებენ მანდატურის საჭიროებას სკოლაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეები, რომლებსაც თავად ჰქონდათ მასწავლებლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის გამოცდილება, ან იყვნენ მომსწრე, როცა მასწავლებელმა სხვა მოსწავლეს შეურაცხყოფა მიაყენა, უფრო დაბალ ქულას ანიჭებენ მანდატურის საჭიროებას სკოლაში.

საინტერესოა, რომ საპირისპირო შედეგი მივიღეთ მოსწავლეებს შორის ძალადობის შემთხვევაში. როცა მოსწავლე იყო სხვა მოსწავლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, ან იყო მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების მომსწრე სკოლაში (წინა სემესტრის განმავლობაში), მაღალ ქულას ანიჭებენ მანდატურის საჭიროებას.

აღსანიშნავია, რომ მშობლების დამოკიდებულება მანდატურის საჭიროებასთან დაკავშირებით არ კორელირებს მოსწავლეების დამოკიდებულებასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ საკითხზე მშობლის მოსაზრებასა და მოსწავლის მოსაზრებას შორის კავშირი არ დადგინდა.

ცხრილი 22: კავშირი მანდატურის საჭიროებისადმი დამოკიდებულება-სა და მოსწავლის მახასიათებლებსა და სხვა დამოკიდებულებებს შორის

მახასიათებელი		მანდატური საჭიროა (1-10)
მშობლის განათლება	უმაღლესზე დაბალი	8.1
	უმაღლესი	7.4
მოსწავლის სქესი	ბიჭი	7
	გოგო	8.1
დებულება: მიყვარს სკოლაში სიარული	საერთოდ არ ვეთანხმები	2.7
	არ ვეთანხმები	3.6
	ვეთანხმები	7.1
	სრულიად ვეთანხმები	8.4
ჩემს სკოლაში მოსწავლეები ერთმანეთზე ზრუნავენ	საერთოდ არ ვეთანხმები	6.8
	არ ვეთანხმები	6.7
	ვეთანხმები	7.5
	სრულიად ვეთანხმები	8
სხვა მოსწავლემ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა	არა	7.5
	კი	8.2
მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა	არა	7.6
	კი	4.9
მომსწრე, როცა მასწავლებელმა მიაყენა შეურაცხყოფა მოსწავლეს	არა	7.6
	კი	7.2

შენიშვნა: დებულებები რესპონდენტებმა შეაფასეს 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“ და 10 ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“ .

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა შეიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოვიყენეთ შემთხვევითი წესით შერჩეული 310 მშობელი და 310 მოსწავლე თბილისში. თვისებრივ კომპონენტში ჩატარდა ფოკუსჯგუფები თბილისსა და ბათუმში. ქვემოთ იხილეთ თითოეული კომპონენტის აღწერა.

მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემთა შეგროვებისთვის გამოვიყენეთ პირისპირ ინტერვიუების მეთოდი. შესაბამისად, ინტერვიუებმა გამოიყენეს წინასწარ მომზადებული კითხვარი დახურული კითხვებით და ინტერვიუს ჩატარება მკაფიო ინსტრუქციებით. ინსტრუმენტმა გაიარა წინასწარი პილოტირება დაახლოებით 30 მოსწავლესთან და 30 მშობელთან.

გენერალური ერთობლიობა

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენს თბილისში არსებული ყველა ოჯახი, რომელსაც 12-დან 18 წლის ჩათვლით სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავს.

შერჩევის ჩარჩო

შერჩევისას ჩვენ ვისარგებლეთ ბოლო, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში გამოყენებული ამომრჩევლების ბაზით. ეს ბაზა შეიცავს თბილისში მცხოვრები ყველა ადამიანის შესახებ ინფორმაციას საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ცხრილი: მოსახლეობის სტრატეგიკაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით

კოდი	მუნიციპალიტეტის დასახელება	N	%
1	მთაწმინდა, ვერის მუნიციპალიტეტი	44689	4,6
2	ვაკე, ბაგევის მუნიციპალიტეტი	45993	4,8
3	ვაჟა-ფშაველას კვარტლების და ნუცუბიძის პლატოების მუნიციპალიტეტი	48173	5,0
4	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძის მუნიციპალიტეტი	40031	4,1
5	ვეძისის, ყაზბეგის, გოთუას, საბურთალოს მუნიციპალიტეტი	45237	4,7
6	დიღმის, ვაშლიჯვრის მუნიციპალიტეტი	36662	3,8
7	კრწანისის მუნიციპალიტეტი	42784	4,4
8	ზემო ავლაბრის, მეტრომშენის მუნიციპალიტეტი	39902	4,1
9	ნავთლულის მუნიციპალიტეტი	28525	3,0
10	ვაზისუბნის მუნიციპალიტეტი	41869	4,3
11	ვარკეთილის მუნიციპალიტეტი	52446	5,4
12	მე-3 მასივის მუნიციპალიტეტი	42141	4,4
13	ლილო, ორხევის მუნიციპალიტეტი	26883	2,8
14	ქვემო სამგორის მუნიციპალიტეტი	25255	2,6
15	ჩუღურეთის, ვერა- აღმაშენებლის და ავლაბრის მუნიციპალიტეტი	56041	5,8
16	დიდუბის მუნიციპალიტეტი	42693	4,4
17	დიღმის მუნიციპალიტეტი	27399	2,8
18	ნაძალადევი, ლოტკინის მუნიციპალიტეტი	29448	3,0
19	ნაძალადევის მუნიციპალიტეტი	28984	3,0
20	სანზონის მუნიციპალიტეტი	32984	3,4
21	თემქის მუნიციპალიტეტი	39535	4,1
22	ავჭალის მუნიციპალიტეტი	43319	4,5
23	გლდანის ლუნი მიკრორაიონების მუნიციპალიტეტი	41295	4,3
24	გლდანის კენტი მიკრორაიონების მუნიციპალიტეტი	44399	4,6
25	მუხიანის მუნიციპალიტეტი	19550	2,0
		966237	100,0

თუ ცხრილის მიხედვით 300 ანკეტას გადავანალიზებთ სტრატეგიაში მოსახლეობის პროპორციულად, მივიღებთ შემდეგი სახის განაწილებას:

კოდი	მუნიციპალიტეტის დასახელება	%	n
1	მთაწმინდა, ვერის მუნიციპალიტეტი	4,6	14
2	ვაკე, ბაგების მუნიციპალიტეტი	4,8	14
3	ვაჟა-ფშაველას კვარტლების და ნუცუბიძის პლატოების მუნიციპალიტეტი	5,0	15
4	კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძის მუნიციპალიტეტი	4,1	12
5	ვეძისის, ყაზბეგის, გოთუას, საბურთალოს მუნიციპალიტეტი	4,7	14
6	დიღმის, ვაშლიჯვრის მუნიციპალიტეტი	3,8	11
7	კრწანისის მუნიციპალიტეტი	4,4	13
8	ზემო ავლაბრის, მეტრომშენის მუნიციპალიტეტი	4,1	12
9	ნავთლუღის მუნიციპალიტეტი	3,0	9
10	ვაზისუბნის მუნიციპალიტეტი	4,3	13
11	ვარკეთილის მუნიციპალიტეტი	5,4	16
12	მე-3 მასივის მუნიციპალიტეტი	4,4	13
13	ლილო, ორხევის მუნიციპალიტეტი	2,8	8
14	ქვემო სამგორის მუნიციპალიტეტი	2,6	8
15	ჩუღურეთის, ვერა- აღმაშენებლის და ავლაბრის მუნიციპალიტეტი	5,8	17
16	დიდუბის მუნიციპალიტეტი	4,4	13
17	დიღმის მუნიციპალიტეტი	2,8	9
18	ნაძალადევი,ლოტკინის მუნიციპალიტეტი	3,0	9
19	ნაძალადევის მუნიციპალიტეტი	3,0	10
20	სანზონის მუნიციპალიტეტი	3,4	10
21	თემქის მუნიციპალიტეტი	4,1	12
22	ავჭალის მუნიციპალიტეტი	4,5	13
23	გლდანის ლუნი მიკრორაიონების მუნიციპალიტეტი	4,3	15
24	გლდანის კენტი მიკრორაიონების მუნიციპალიტეტი	4,6	14
25	მუხიანის მუნიციპალიტეტი	2,0	6
		100,0	300

შერჩევის პროცედურა

თითოეულ სტრატაში მოხდა საარჩევნო უბნების (PSU) რაოდენობის განსაზღვრა შემდეგი პირობით: თითო საარჩევნო უბანში (PSU) ჩატარდა 5 ინტერვიუ („დიზაინ ეფექტის“ სიმცირის გამო). ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია თითოეულ სტრატაში შერჩეული უბნების რაოდენობა.

ცხრილი: შერჩეული უბნების რაოდენობა სტრატების მიხედვით

მუნიციპალიტეტის დასახელება	ანკეტების რაოდენობა	PSU შიგა მოსაკითხი რესპოდენტების რიცხვი	შერჩეული PSU რაოდენობა
მთაწმინდა, ვერის მუნიციპალიტეტი	14	5	3
ვაკე, ბაგების მუნიციპალიტეტი	14	5	3
ვაჟა-ფშაველას კვარტლების და ნუცუბიძის პლატოების მუნიციპალიტეტი	15	5	3
კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძის მუნიციპალიტეტი	12	5	2
ვეძისის, ყაზბეგის, გოთუას, საბურთალოს მუნიციპალიტეტი	14	5	3
დიღმის, ვაშლიჯვრის მუნიციპალიტეტი	11	5	2
კრწანისის მუნიციპალიტეტი	13	5	3
ზემო ავლაბრის, მეტრომშენის მუნიციპალიტეტი	12	5	2
ნავთლულის მუნიციპალიტეტი	9	5	2
ვაზისუბნის მუნიციპალიტეტი	13	5	3

შერჩევის ამ ეტაპზე მოხდა კონკრეტული PSU-ის შერჩევა. ეს პროცედურა განხორციელდა სისტემური შერჩევის მეთოდით CT/PSU-ს სარჩევნო სიიდან. შერჩეულ PSU-ში მოხდა საწყისი წერტილების შერჩევა სპეციალური მონაცემთა ბაზიდან, სადაც რეგისტრირებულია ქალაქის მოსახლეობის ყველა ქუჩა და ქუჩის ნომერი. შერჩევის ობიექტი იყო კონკრეტული მისამართი.

კონკრეტული ოჯახის შერჩევა თითოეულ PSU-ში (შერჩევის უბანში) განხორციელდა შემდეგი პრინციპით: ინტერვიუერი მიდის მიცემულ მისამართზე. თუ მისამართზე მცხოვრები ოჯახი აკმაყოფილებს შერჩევის მოთხოვნას (ოჯახში არის სკოლის მოსწავლე), მაშინ გამოიკითხავს ამ ოჯახში სკოლის მოსწავლეს და სკოლის საკითხებში ყველაზე ინფორმირებულ ოჯახის წევრს. თუ ოჯახში ორზე მეტი მოსწავლეა, მაშინ - უფრო მაღალი კლასის მოსწავლეს. ინტერვიუს დამთავრების შემდეგ, გამოსაკითხი ოჯახის შერჩევა ხდება ბიჯით - ინტერვიუერი ტოვებს მე-10 ოჯახს და ირჩევს მე-11 ოჯახს (იგულისხმება მარჯვენა მხარეს მცხოვრები მეზობლები). იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული ოჯახი ვერ აკმაყოფილებს შერჩევის მოთხოვნას, მაშინ ინტერვიუერი აგრძელებს ბიჯით სიარულს, სანამ არ ნახავს საჭირო ოჯახს. თუ შერჩეულ ოჯახში რესპონდენტი არ იმყოფება სახლში, ინტერვიუერი ვალდებულია, 3-ჯერ მიუბრუნდეს ამ ოჯახს. როგორც კი ინტერვიუერი შეასრულებს PSU-ში გასაკეთებელ ყველა ანკეტას (5 ანკეტა), გადადის შემდეგ PSU-ში. იმავე PSU-ში მეტ ანკეტას არ აკეთებს.

ჩვენ მიერ გამოყენებული სტრატეგიციური შერჩევა ამცირებს კვლევის შერჩევის ცდომილებას. სტრატა წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან გარემოს. შერჩევის ცდომილება დამოკიდებულია არამართო გამოკითხული ანკეტების რიცხვზე, არამედ რესპონდენტების შესასწავლი საკითხისადმი დამოკიდებულების ერთგვაროვნებაზეც. ამიტომ, თუ ჩვენ დავიცავთ სტრატების მიხედვით პროპორციებს, ამით შერჩევითი ერთობლიობა ხდება გენერალური ერთობლიობის წარმომადგენლობითი და, ამავე დროს, უზრუნველყოფს შერჩევის ცდომილების შემცირებას.

$$\sigma^2_{\text{strat}} = \sum_{i=1}^K V_i \sigma^2_{i \text{ strat}} \quad \text{პირობის გამო}$$

$$\sigma^2_{i \text{ strat}} < \sigma^2 \Rightarrow \sigma^2_{\text{strat}} < \sigma^2$$

და თუ რამდენად ამცირებს სტრატეგიცირებული შერჩევა ცდომილებას, დამოკიდებულია სტრატეგების ერთგვაროვნების ხარისხზე. ამ სტრატეგიცირებული შერჩევის შემთხვევაში მოსალოდნელი მაქსიმალური ცდომილება არის:

$$e_{\text{strat}} < \frac{1}{2} \frac{1}{\sqrt{n}} = \frac{1}{2} \frac{1}{\sqrt{310}} = 2,8\%$$

სტრატეგში შ შერჩევის მეთოდის ახსნა

არასებობს რამოდენიმე მიდგომა:

PPS. ბაზაში, საიდანაც ჩვენ ვაპირებთ კლასტერების შერჩევას, თითოეული კლასტერი უნდა იყოს მოთავსებული ამ კლასტერის მოცულობის (კლასტერში შემავალი ადამიანების რიცხვი. ოჯახი, თუ ის შედგება მაგალითად 6 წევრისაგან ბაზაში იქნება 6 ჯერ, ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს შერჩევის შედეგად ოჯახების სტრუქტურის რეპრეზენტაციულ განაწილებას) პროპორციულად.

ზემოაღნიშნული ბაზიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ვირჩევთ ცხრილი №3-ში მოთავსებულ კლასტერებს, ყოველი სტრატეგისათვის.

არსებობს შემთხვევითი შერჩევის ორი მეთოდი:

- მარტივი შემთხვევითი შერჩევა: ბაზიდან სრულიად შემთხვევითი პრინციპით ვიღებთ ჩვენთვის საჭირო კლასტერების რიცხვს.
- სისტემატიური შემთხვევითი შერჩევა: ვალაგებთ მონაცემებს PSU მიხედვით. ვყოფთ სტრატაში რესპონდენტების რიცხვს შესარჩევ PSU რიცხვზე, ამით ვიღებთ ბიჯს – d. შემდეგ, ვირჩევთ შემთხვევით ციფრს ინტერვალში [0,d]. შესაბამისად, ვიღებთ პირველ შერჩეულ PSU, ხოლო შემდეგი PSU, რომელიც მოხვდება შერჩევაში, იქნება d ბიჯით დაშორებული წინა PSU-დან და ა.შ მივიღებთ სისტემური შერჩევის გამოყენებით საჭირო რაოდენობა კლასტერებს.
- წმინდა თეორიული თვალსაზრისით, ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა კლასტერების შერჩევის მარტივი შემთხვევითი შერჩევა. რადგანაც სტრატაში შესარჩევი კლასტერების რიცხვი მცირეა,

მოსალოდნელია მივიღოთ დიდი გადახრა „დიდ რიცხვთა კანონიდან“. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე შემთხვევების დროს სისტემატური შერჩევა უკეთეს შედეგს გვაძლევს. ანუ, ამ შერჩევის შემთხვევაში კვლევა უფრო წარმომადგენლობითია გენერალური ერთობლიობის, ვიდრე მარტივი შემთხვევითი შერჩევისას (უფრო წარმომადგენლობითი ნიშნავს, რომ შერჩევაში მოხვედრილი რესპოდენტების გეოგრაფიული განაწილება ახლოა რეალურ განაწილებასთან). ამიტომ ჩვენ ვიყენებთ კლასტერების სისტემატურ შემთხვევით შერჩევას.

დიზაინ ეფექტის გათვალისწინება კვლევაში

K_i კლასტერების რიცხვი i -იურ სტრატაში

n_i გამოსაკითხი რესპოდენტების რიცხვი i -ურ სტრატაში.

$\bar{n}_i = 5$ შ-ში გამოკითხული რესპოდენტების რიცხვი

$\frac{n_i S_{xB}^2}{n_i - k}$ ჯგუფთაშიგნითა წაუნაცვლებელი დისპერსია i -სტრატისათვის

$\frac{K_i S_{xw}^2}{K_i - 1}$ ჯგუფთაშორისი დისპერსია i -სტრატისათვის
 $S_{i0,x}^2$ i -სტრატის ვარიაცია მარტივი შემთხვევითი შერჩევისათვის

$\sigma_{\bar{n}}^2 = \frac{S_{i0,x}^2}{n_i} \left(1 - \frac{n_i}{N_i} \right)$ შერჩევის ცდომილება i -სტრატაში.

$\hat{n}_i \approx \frac{1}{S_{i0,x}^2} \frac{K-1}{n_i - \bar{n}_i} \frac{n_i}{K} \left(\left(\frac{K_i S_{xw}^2}{K_i - 1} \right) - \left(\frac{n_i S_{xB}^2}{n_i - k} \right) / n_i / K_i \right) - 1 \leq \hat{n}_i \leq +1$ „ho“ კოეფიციენტი

i -ურ სტრატაში.

$Deff_i = \frac{\sigma_{\bar{n}}^2}{\sigma_{\bar{n}}^2} = (1 + \hat{n}_i (\bar{n}_i - 1))$ „დიზაინ ეფექტის“ მნიშვნელობა i -ურ სტრატაში.

$$j_i^2 = \text{Var}(\bar{x}_i) = \text{Deff}_i \times j_{\text{წ}}^2 = \text{Deff}_i \times j_{\text{წ}}^2 = j_{\text{წ}}^2 (1 + \bar{n}_i (\bar{n}_i - 1))$$
 i-სტრატაში

ცდომილება კლასტერული შერჩევის შემთხვევაში

წინა კვლევების გამოცდილებაზე დაყრდნობით, PSU-ში 5 ანკეტის გამოკითხვის შემთხვევაში დიზაინ ეფექტის სავარაუდო მნიშვნელობა 1.45 ტოლია და ყველა სტრატისათვის თითქმის ერთნაირია. ხოლო დიზაინ ეფექტის გათვალისწინებით, მოსალოდნელი მაქსიმალური ცდომილება ტოლია:

$$j_{\text{strat_cl}} < j_{\text{strat_cl}} \sqrt{\text{Deff}_i} = 4,1\%$$

ფოკუსჯგუფები

კვლევის ფარგლებში, ჩატარდა, ფოკუსჯგუფები მასწავლებლებთან, მშობლებთან და საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან თბილისსა და ბათუმში.

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფები ჩატარდა თბილისსა და ბათუმში. თბილისში ჩატარდა ერთი ფოკუსჯგუფი საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. ბათუმში ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი საშუალო და საბაზო საფეხურების მოსწავლეებთან. თითოეულ ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 5-დან 10-მდე მოსწავლემ.

მშობლებთან ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი. აქედან ერთი - ბათუმში (6 მშობელი), ერთიც - თბილისში (5 მშობელი).

მასწავლებლებთან ჩატარდა 2 ფოკუსჯგუფი - ბათუმსა და თბილისში. თითოეულ ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო 6-მა მასწავლებელმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. American Psychological Association Zero Tolerance Task Force (2008) Are Zero Tolerance Policies Effective in the Schools? American Psychologist
2. Black S. (2004) Safe Schools Don't Need Zero Tolerance. Education Digest: Essential Readings Condensed for Quick Review, v70 n2 p27-31 Oct 2004
3. Bracy N. L. (2010) Student Perceptions of High-Security School Environments
4. Youth Society published online 20 April <http://yas.sagepub.com/content/early/2010/04/15/0044118X10365082>
5. Daniel Y. and Karla B. (2008) Safe Schools and Zero Tolerance: Policy, Program and Practice in Ontario. Canadian Journal of Educational Administration and Policy, Issue #70, February 28, 2008.
6. Harvard Civil Rights Project (2000). Opportunities Suspended: A Devastating Consequence of Zero Tolerance and School Discipline Policies. Report from National Summit on Zero Tolerance. Available from <http://civilrightsproject.ucla.edu/research/k-12-education/school-discipline/opportunities-suspended-the-devastating-consequences-of-zero-tolerance-and-school-discipline-policies/crp-opportunities-suspended-zero-tolerance-2000.pdf>
7. Mayer M.J & Leone P.E. (1999). A Structural Analysis of School Violence and Disruption: Implications for Creating Safer Schools. EDUCATION AND TREATMENT OF CHILDREN Vol. 22, No. 3, AUGUST 1999
8. Skiba, R. J., Peterson, R. L., & Williams, T. (1997). Office referrals and suspension: Disciplinary intervention in middle schools. Education and Treatment of Children, 20, 295–316.
9. Skiba R. J. (2000) Zero Tolerance, Zero Evidence: An Analysis of School Disciplinary Practice. Indiana Education Polic Center

კლასის მართვა

სოფიო გორგოძე

შესავალი

რას გულისხმობს კლასის მართვა და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?

იმ პედაგოგიურ უნარებს შორის, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ საგნის კარგი სპეციალისტი წარმატებული მასწავლებელი იყოს, კლასის მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, დისციპლინური დარღვევების რაოდენობას და ზოგადად, მასწავლებლის ეფექტურობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორსაც, სწორედ კლასის მართვა წარმოადგენს. ამას ყველა კვლევა ადასტურებს, რომელიც მასწავლებლის ეფექტურობაზე ჩატარებულია (მარზანო და სხვები, 2003).

თუ მასწავლებელი არ არის სათანადოდ მომზადებული და არ შეუძლია კლასის ეფექტური მართვა, ამან შესაძლოა განაპირობოს მოსწავლეთა დაბალი მოსწრება, და რთულად სამართავი ქცევის გაძლიერება. განსაკუთრებით ეს ეხება სარისკო ქცევის მოსწავლეებს.

ამიტომ, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა დამხმარე ლიტერატურისა და პროფესიული განვითარების ტრენინგების საფუძველზე შეიმუშაონ კლასის მართვის სტრატეგიები, პრაქტიკის შედეგად დახვეწონ იგი და გამოცდილება გაუზიარონ სხვა მასწავლებლებს.

მაინც რას გულისხმობს კლასის მართვა?

კლასის მართვა გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის მართვას მოიცავს, რაც ეფექტური და უსაფრთხო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფადაა საჭირო. იგი გულისხმობს კლასში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, სადაც მოსწავლეები მოტივირებული იქნებიან ისწავლონ, განსხვავებული შესაძლებლობის მიუხედავად სიამოვნებით ითანამშრომლონ, შეძლონ კონფლიქტის თავიდან არიდება, მისი მოგვარება საკლასო ოთახში თუ მის გარეთ და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი.

კლასში მასწავლებლები ძირითადად ორი მიმართულებით მუშა-

ობენ: პირველი თუ რა უნდა ასწავლონ და მეორე როგორ უნდა მართონ სასწავლო პროცესი. ადრე პედაგოგიკაში სწავლება და სასწავლო პროცესის მართვა ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე განიხილებოდა. მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა კლასის მართვის ერთერთი მთავარი ნაწილი იყო. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებდა მოსწავლეთა აღრიცხვით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა სწავლება. თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სწავლებას ვერ განვიხილავთ კლასის მართვისაგან დამოუკიდებლად. კლასის მართვა სწავლებასთანაა კავშირში. იგი მოიცავს ყველაფერს რაც უკავშირდება საკლასო ოთახში სასწავლო პროცესის ეფექტურობას, სწავლებისათვის ხელისშემცობი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას (ევერტსონი, 2011). მაგალითად, მოსწავლეების მიერ კითხვების დასმა, ქცევის წესების ჩამოყალიბება, ოთახის დეკორაცია და ასე შემდეგ.

კლასის მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია საგაკვეთილო დროის მართვა. თუ მასწავლებელი დროს ეფექტურად ვერ ანაწილებს, მოსწავლეთა ქცევის მართვა და სასწავლო მიზნების მიღწევა რთულდება. (დანვრილებით ამ საკითხის შესახებ იხილეთ სტატია „გაკვეთილის დროის მართვა „ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2008 წელს გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში -სასწავლო და პროფესიული გარემო).

კლასის მართვა არ გულისხმობს მოსწავლეების გაკონტროლებას და მათ იძულებას გაკვეთილზე წყნარად იყვნენ. კლასის მართვა და დისციპლინა ხშირად სინონიმებად იხმარება, თუმცაღა დისციპლინას ხშირად უარყოფითი კონოტაცია აქვს და მასწავლებლის მიერ მოსწავლის არასასურველი ქცევის პრევენცია/აღკვეთაზეა მიმართული. კლასის მართვა კი იმ სტრატეგიების ერთობლიობაა, რასაც მასწავლებელი იყენებს უსაფრთხო და პროდუქტიული სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის.


შესაძლებელია კლასში ისეთი გარემო გექონდეს, სადაც მოქმედებს წესები და პროცედურები, კარგადაა მოწყობილი ფიზიკური სივრცე (ფიზიკური სივრცის მოწყობის შესახებ იხილეთ სიმონ ჯანაშიას სტატია „სკოლის გარემოს მართვა“ ამავე სახელმძღვანელოში), თუმცა ასეთ კლასში მოსწავლეები შესაძლებელია ვერ სწავლობდნენ. ასეთ შემთხვევაში ამ კლასს კარგად მართულს ვერ დავარქმევთ. კლასის ეფექტური მართვა მოიცავს ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეები მოტივირებული არიან ისწავლონ და მიაღწიონ წარმატებას. კლასის მართვა საკმაოდ რთული ხელოვნებაა, მასწავ-

ლებლისგან ერთდროულად ოც-ოცდაათ მოსწავლესთან მუშობას და უამრავი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს, როგორცაა მოსწავლის განვითარების დონე, სასწავლო და ფიზიკური გარემო, წესები და პროცედურები, საკლასო აქტივობები, მოსწავლეთა თანამშრომლობა, კლასის მართვის სტილი (კლასის მართვის სტილის შესახებ იხილეთ მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო-სასწავლო და პროფესიული გარემო, თბილისი, 2008).

არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებსაც ხშირად განიხილავენ კლასის მართვის კონტექსტში, მათ შორისაა: 1. უილიამ გლასერის არჩევანის თეორია, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქცევა ჩვენი არჩევანია და მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლის ქცევა შეცვალოს, უბრალოდ შეუძლია მოსწავლეებს ინფორმაცია მიანოდოს და დაეხმაროს მოსწავლეებს გააზრებული არჩევანის გაკეთებაში, რომლის საფუძველზე მოსწავლეები თავად გააკეთებენ არჩევანს შეცვალონ თუ არა ქცევა. 2. ბ. სკინერის ქცევის მართვის თეორია (ბიჰევიორიზმი) რომლის მიხედვით მოსწავლის ქცევის მოდიფიკაცია შესაძლებელია მიზანმიმართული წვრთნით, თუკი ადეკვატური სტიმულების (ნახალისების/დასჯის) სისტემას გამოვიყენებთ. 3. ალფრედ ადლერის და რუდოლფ დრეიკურსის თეორია, რომლის მიხედვითაც ყველა ცუდ ქცევას საფუძვლად უდევს ბავშვის არასწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, როგორ მოიპოვოს სტატუსი და გავლენა. მოსწავლის ცუდ ქცევას ინვევს ყურადღების მიქცევის, ძალაუფლების შეგრძნების, შურისძიების სურვილი და უმწეობის განცდა. გამხნეება და არა ჯილდო, ლოგიკური შედეგი და არა დასჯა არის ამ თეორიის მთავარი სტრატეგიები.

კლასის მართვის კომპონენტები

ფროინისა და ივერსონის(1999) მიხედვით კლასის მართვა სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს: შინაარსის მართვა, ქცევის მართვა და ურთიერთობების მართვა.



შინაარსის მართვა გულისხმობს სასწავლო გეგმით შესასწავლი მასალის, სივრცის, აღჭურვილობის და გაკვეთილის მიმდინარეობის მართვას. მასწავლებელს ამისათვის სჭირდება:

- სწავლების მართვის უნარი;
- ჯგუფის მართვის უნარები (ყურადღების მიპყრობა, პასუხისმგებლობის გაღვივება, მოტივაციის გაღვივება/შენარჩუნება);
- სწავლებასთან დაკავშირებული დისციპლინის პრობლემების გადაჭრის უნარი (პროექტების გვიან ჩაბარება, გამოცდის შიში, საუბარი ნებართვის გარეშე, პლაგიარიზმი, დაგვიანება/გაცდენები, სიტყვიერი მითითებების არშესრულება, დაგვიანებული ან არასრული დავალებები.ა.შ.)

ქცევის მართვა გულისხმობს მასწავლებლის უნარებს მოაგვაროს კლასში დისციპლინის პრობლემები. ამისათვის მასწავლებელი აღნიშნავს მოსწავლის მიერ გამოვლენილ პასუხისმგებლობას, შენიშვნას იძლევა უპასუხისმგებლო საქციელისათვის, იყენებს დადებით და უარყოფით განმტკიცებას და.ა.შ.

ურთიერთობების მართვა გულისხმობს კლასში სოციალური სისტემის მართვას. ყველა სკოლის კულტურა უნიკალურია და მასზე გავლენას ახდენს თემის კულტურა. მასწავლებელმა უნდა იცოდეს კლასის, როგორც სოციალური სისტემის სპეციფიკა და ინტერპერსონალური ურთიერთობების მართვა სკოლის კულტურის გათვალისწინებით;

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ეფექტურად შეძლონ სამივე კომპონენტის ეფექტური მართვა, მნიშვნელოვანია :

- დაამკვიდრონ სასკოლო თუ საკლასო წესები და პროცედურები;
- იმუშაონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე;
- შეიმუშაონ დისციპლინის დარღვევის პრევენციული/აღმკვეთი სტრატეგიები;
- დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

ქვემოთ თითოეულ პუნქტს განვიხილავთ დეტალურად.

1. წესები და პროცედურები

სასკოლო და საკლასო წესებისა და პროცედურების არსებობა სასწავლო პროცესის მონესრიგებასა და მოსწავლეთა ქცევითი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანას უწყობს ხელს.

წესები და პროცედურები მაშინაა ეფექტური, როცა მოსწავლეები გაიაზრებენ და დაეთანხმებიან მის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, იზრდება მოსწავლეების პასუხისმგებლობა, მათ უჩნდებათ სურვილი არა მხოლოდ თავად დაიცვან წესები, არამედ თანატოლებსაც სთხოვენ მათ დაცვას.

მასწავლებლებმა თავს არ უნდა მოახვიონ მოსწავლეებს მათ მიერ შემუშავებული წესები და პროცედურები. ისინი უნდა შემუშავდეს მათთან ერთად ან შესაძლებელია განიხილონ უკვე შემუშავებული წესები, გაითვალისწინონ მოსწავლეთა შეხედულებები და მათთან ერთად ჩამოაყალიბონ საბოლოო ვერსია. ასეთი მიდგომა ხაზს უსვამს იმასაც, რომ მასწავლებელს კლასის მართვის დემოკრატიული სტილი აქვს არჩეული, რაც დადებითად მოქმედებს პოზიტიური საკლასო გარემოს ჩამოყალიბებაზე.

წესები და პროცედურები შეიძლება ეხებოდეს მოსწავლეთა ქცევას, გაკვეთილის მსვლელობას, კითხვა-პასუხის ორგანიზებას და.ა.შ.

გთავაზობთ იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც, მასწავლებლები და მოსწავლეები ყველაზე ხშირად ადგენენ წესებსა და პროცედურებს:

- კლასში შესვლა;
- გაკვეთლზე ყოველდღე მოსატანი ნივთები;
- დაგვიანება;
- გაკვეთილის გაცდენა და გაცდენილის ანაზღაურება/დავალების შესრულება;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ჯგუფში მუშაობა;
- კითხვის დასმა/დახმარების თხოვნა;
- მოულოდნელი ავადმყოფობა;
- დავალების ჩანიშვნა/ჩაბარება;

- გაკვეთილიდან გათავისუფლება;
- ტელეფონის გამოყენება;
- საპირფარეშოში გასვლა;
- საკლასო ოთახის მონესრიგება გაკვეთილის შემდეგ;
- მასწავლებლის საუბრის დროს წყნარად მოსმენა;
- თანატოლების და მასწავლებლის პატივისცემა.

წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბებისას სასურველია მოსწავლეებთან ერთად ზუსტად ახსნათ თუ რას გულისხმობს თითოეული მათგანი. მაგალითად, რას გულისხმობს პატივი ვცეთ ერთმანეთს? თუ „პატივი ვცეთ ერთმანეთს“ გულისხმობს, ერთმანეთის მოსმენას შეგიძლიათ ასევე დაწეროთ; რას ნიშნავს გაკვეთილზე წყნარად ყოფნა (შეიძლება თუ არა წყნარად საუბარი გაკვეთილთან დაკავშირებულ საკითხზე?). თუ „იყავი პასუხისმგებლიანი“ გულისხმობს, რომ მოსწავლემ ყველა ნივთი თან უნდა იქონიოს და დავალება ყოველთვის შესრულებული ჰქონდეს, სჯობს ესეც დავაკონკრეტოთ.

მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე წესი გოგა მასწავლებლის პრაქტიკიდან:

საშინაო დავალების ჩაბარება: საშინაო დავალებას მაბარებთ გაკვეთილის დასაწყისში, დადეთ დავალება თქვენს მერხზე, რათა ჩამოვიარო და ავკრიფო საკლასო მუშაობის დროს. დაგვიანებული დავალებები არ მიიღება.

საკლასო ოთახის დატოვება: საკლასო ოთახს მოსწავლეები არ ტოვებენ მიუხედავად ზარის დარეკვისა, თუ ყველას არ აქვს დავალება ჩანიშნული. როცა ყველა მოსწავლე დავალებას ჩაინიშნავს და მასწავლებელი ნიშანს მისცემს მოსწავლეებს, მათ შეუძლიათ დატოვონ ოთახი.

დაგვიანება: ზარის დარეკვიდან ერთი წუთის განმავლობაში მერხებთან უნდა ისხდეთ თუკი დაგვიანებით შემოხვალთ წყნარად დასხედით, მე ჩავინიშნავ დაგვიანებას. ერთი სემესტრის განმავლობაში გეპატივბათ ორჯერ დაგვიანება, მესამეჯერ დაგვიანების შემთხვევაში შევატყობინებ მშობელს. განმეორების შემთხვევაში დარჩებით სკოლის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ ნახევარი დღით.

გაცდენილი გაკვეთილის დავალებების ჩაბარება: თუკი გაკვეთილს გააცდენთ, შემდეგ გაკვეთილზე წინა დავალებებს ათავსებთ ყუთში, რომელსაც აწერია „გაცდენილი დღის დავალებები“, ხოლო მეორე ყუთიდან, რომელსაც აწერია „გაცდენილ დღეს მიცემული დავალებები“ იღებთ იმ დღეს მიცემული დავალებების ინსტრუქციებს, რომელსაც შეასრულებთ და მეორე დღეს დებთ მერხზე ახალ დავალებასთან ერთად რომ მასწავლებელმა ის აკრიფოს.

თანატოლების და მასწავლებლის პატივისცემა: პატივი ეცით ერთმანეთს, უსმინეთ მასწავლებელის და თქვენი თანატოლის საუბარს. თუკი გამოთქმულ მოსაზრებებს არ ეთანხმებით, ეცადეთ თქვენი აზრი ყოველგვარი აგრესიის გარეშე დააფიქსიროთ.

საჭირო ნივთების სკოლაში მოტანა: კლასში ყოველთვის უნდა გქონდეთ რვეული, საწერკალამი, ფანქარი და საშლელი. თავად შეგიძლიათ გადანყვიტოთ სახელმძღვანელოს მოიტანთ თუ არა, კლასში სახელმძღვანელოს მოტანა არ არის აუცილებელი.

ეცადეთ პროცედურები და წესები პოზიტიურად განეროთ. მაგალითად: ნაცვლად იმისა რომ დანეროთ „მოსწავლეები მერხებთან უნდა ისხდნენ როცა მასწავლებელი კარებს დაკეტავს“, დანერეთ „იმ დროისთვის როცა მასწავლებელი კარს დაკეტავს“. „მოსწავლეები არ უნდა დადიოდნენ კლასში და იყვნენ მომზადებულიები გაკვეთილისთვის.“

ასევე, თუ შესაძლებელია დანერეთ რა შედეგი მოყვება ამა თუ იმ წესის დარღვევას. მაგალითად, თუ მოსწავლე არ მოამზადებს დავალებას და არ დადებს მერხზე როგორ რეაგირებს მასწავლებელი. თუკი დაგვიანებით მოვა მოსწავლე რა ხდება ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ზემოთ მოცემულ მაგალითშია დაკონკრეტებული.

ბავშვებს დაურიგეთ წესებისა და პროცედურების ქსეროასლი, ან გააკარით ოთახში. წესებისა და პროცედურების გრძელი ჩამონათვალი შესაძლებელია არაეფექტური იყოს. მოსწავლეებთან ერთად გამოყავით რა არის გაკვეთილის ნორმალურად წარმართვისათვის ყველაზე პრიორიტეტული.

დანყებით და მაღალ კლასებში შემუშავებული წესები და პროცედურები ერთმანეთისგან განსხვავდება სწავლების დანყებით საფეხურზე წესები და პროცედურები მაღალ კლასებთან შედარებით ნაკლები უნდა იყოს.

ნესები და პროცედურები მშობლებისათვისაც საინტერესოა(მაგ. დაგვიანების, გაცდენის შესახებ) გაუგზავნეთ ჩამონათვალი მოსწავლეთა მშობლებს ან გააცანით ისინი მშობელთა კრებაზე.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ყველა მოსწავლე ყველაფერს მაშინვე ვერ დაიმასხვრებს და წესებს ზედმინევნივ ვერ დაიცავს. შესაძლოა მათ თავიდან ხშირად დასჭირდეთ შეხსენება. ზოგიერთი წესი თავად შეახსენეთ ზეპირად (მაგ. ნივთების მოტანასთან დაკავშირებით), ან სხვა მოსწავლეს სთხოვეთ შეახსენოს წესების დამრღვევ მოსწავლეს თუ რაშია პრობლემა და რა წესს არღვევს ის.

გარდა ამისა, ეფექტურია წესებთან დაკავშირებით მოსწავლეებს მისცეთ საშინაო დავალება, მაგალითად სთხოვეთ დაწერონ თავიანთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ერთი მოსწავლე პატივს სცემს სხვა მოსწავლეს.

2. მოტივაციის ამაღლება

მოტივაციაზე საუბრისას, როგორც წესი, რაღაცის კეთების სურვილს ვგულისხმობთ. მოსწავლეებთან მიმართებაში კი, ძირითადად სწავლის სურვილზეა საუბარი. უკვე 60 წელზე მეტია ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ არსებობს ორი ტიპის მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი (კოვინგტონი, 2000). თუ მოსწავლეს დაავალეს შექსპირის ერთი ტრაგედიის წაკითხვა, მაგრამ მას შემდეგ რაც ეს ტრაგედია წაკითხა დაინტერესდა და მისი პიესების უმეტესობა წაკითხა, იგი შინაგანადაა მოტივირებული. მას თავად სურს ეს გააკეთოს, სიამოვნებას ანიჭებს შექსპირის კითხვა.

თუმცა, მოსწავლე, რომელიც ისტორიის გაკვეთილის სწავლისას იყენებს არა მხოლოდ მისი კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს არამედ სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, შესაძლოა გარეგანი მოტივაცია ქონდეს და ჯილდოს გამო აკეთებდეს ამას, თუ მან იცის, რომ მასწავლებელი მას განსაკუთრებით შეაქებს მშობელთა კრებაზე, მშობლები კი, ამის გამო აუცილებლად დაასაჩუქრებენ.

რანდალ სპრიკი(2006), რომელიც საბაზო კლასებში დისციპლინის საკითხებზე წერს, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის მკაფიოდ გამოიჯვინის წინააღმდეგია და ამბობს, რომ ქცევების უმრავლესობას

განაპირობებს ორივე ტიპის მოტივაცია: შინაგანი და გარეგანი. მაგალითად, თუკი მოსწავლე ბევრს კითხულობს ამას შეიძლება სიამოვნებისთვის აკეთებდეს, მაგრამ გარდა ამისა იგი სიამოვნებს იმ კომპლიმენტებითაც, რომელთაც ასეთი „ნაკითხობის“ გამო მიიღებს. ანუ, თუკი შექსპირის კითხვის მაგალითს დავუბრუნდებით, შესაძლებელია მოსწავლეს სიამოვნებს შექსპირის კითხვა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მშობლებისაგან შექებას და მასწავლებლისგან მისი ნაკითხობის აღნიშვნას ელის. მეორე მხრივ, ისტორიის სახელმძღვანელოების მაგალითიც, იგივენაირად შეიძლება გავიგოთ. შესაძლებელია მოსწავლეს შინაგანად მოსწონს და სიამოვნებს ისტორიის მრავალი წყაროდან შესწავლა.

შესაბამისად, მასწავლებლები უნდა ეცადონ მოსწავლეებში გააღვიძონ, როგორც შინაგანი (მაგალითად, საინტერესოდ ჩატარებული გაკვეთილით აღუძრან სწავლის სურვილი) ასევე, გარეგანი (მაგალითად შექება, რაიმე ჯილდოს დაწესება) მოტივაცია.

თუმცა მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ თუკი მოსწავლის მოტივაციის აღძვრისას, მოსწავლეს არ აქვს მოლოდინი რომ იგი წარმატებული იქნება ან მას არაფრად უღირს ის რაც წარმატების შემთხვევაში ხვდება წილად, მაშინ მისი მოტივაციის გასაზრდელად გამოყენებული ტექნიკა არ იმუშავებს.

წარმოვიდგინოთ, რომ დათო ანი მასწავლებლის მოსწავლეა. დათოს აკადემიური მოსწრება სულ უფრო უარესდება. ანი მასწავლებელმა იცის, რომ ტარდება ფეხბურთში შეჯიბრი სკოლებს შორის და დათოს ძალიან უნდა შეჯიბრში მონაწილეობის მიღება. მასწავლებელი დათოს დაპირდა, რომ თუ კარგად ისწავლის, მას შეჯიბრში მონაწილეობის საშუალება ექნება. დათო ამ შანსს კარგი სწავლის სანაცვლოდ მიიღებს. თუმცა, თუკი დათოს არ აქვს იმის მოლოდინი, რომ მონდომების შემთხვევაში დაძლევს შესასწავლ მასალას, მიუხედავად იმისა, რომ მისაღები ჯილდო -შეჯიბრში ჩართვა (გარეგანი მოტივატორი) ძალიან უნდა, მას არ ექნება კარგად სწავლის მოტივაცია.

მეორეს მხრივ, ანი მასწავლებლის სხვა მოსწავლეს- გიორგის სჯერა, რომ მონდომების შემთხვევაში შეძლებს კარგად სწავლას, მაგრამ ფეხბურთის შეჯიბრებაში ჩართვა, ან თუნდაც მასწავლებლის ან მშობლების შექება ამაღ არ უღირს. ამ შემთხვევაში მისი მოტივაცია ისწავლოს არ ამაღლდება.

შესაბამისად, მასწავლებელმა ეს ორი ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს. მან უნდა გაიაზროს რამდენად უღირს მოსწავლეს ძალისხმევის გაღება იმისათვის, რომ მიაღწიოს შედეგს და რამდენად აქვს მოლოდინი, რომ ძალისხმევა წარმატებას მოუტანს(სპრიკი, 2006).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია, ის რაც ერთ მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს შესაძლოა სხვა მოსწავლეს პირიქით, მოტივაციას უხშობდეს. სწორედ ამიტომ მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ მოსწავლეებს, რათა სწორად შეარჩიოს სამოტივაციო სტრატეგიები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდა მათი გამოცდილებებისა და ინტერესების შესწავლითაა შესაძლებელი. ყოველ მოსწავლეს კონკრეტული ინტერესები და გამოცდილება გააჩნია, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ცურვა, მოგზაურობა, ცხოველების სიყვარული, ოჯახური პრობლემები, ავადმყოფობის გადატანა, მოხალისეობა, დ.ა.შ. მასწავლებლებს შეუძლიათ ამ გამოცდილებებთან და ინტერესებთან დააკავშირონ სასწავლო საკითხები, რაც მათ მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს.

გაზარდეთ მოსწავლეთა მოტივაცია მათი აქტიურობის სტიმულირებით

სწავლების პროდუქტიულობა იზრდება, როდესაც მოსწავლეები თავად არიან აქტიური სასწავლო პროცესის განმავლობაში. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ცხომ ამას გულისხმობს: მოსწავლე აქტიურია გაკვეთილზე, მასწავლებელი კი მხოლოდ გზის მაჩვენებელი. როდესაც მოსწავლეს გაკვეთილზე ვუქმნით პირობებს, რომ თავად იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე, მისი სწავლის მოტივაცია იზრდება. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად გთავაზობთ რამდენიმე რჩევას(სპრიკი, 2006):

- ნუ ისაუბრებთ ბევრს, შეამცირეთ სალექციო მეთოდის გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა, ნუ მისცემთ მოსწავლეებს მოდუნების საშუალებას;
- დასვით კითხვები, მოაწყვეთ დისკუსიები და განხილვები;
- გამოიყენეთ გონებრივი იერიში;

- მოსწავლეები ამუშავებენ წყვილებსა და ჯგუფებში;
- მიეცით მოსწავლეებს მცირე მოცულობის დამოუკიდებელი სამუშაო;
- გააკეთებენ დაწერვით როლურ თამაშებს და სიტუაციური ამოცანები;
- გამოიყენებენ სასწავლო ვიზუალური თვალსაჩინოებები (სპრიკი, 2006).

3. დისციპლინის დარღვევის პრევენციული/აღმკვეთი სტრატეგიები

მოსწავლეთა ქცევის წარმატებულად მართვა გაცილებით მარტივია, როდესაც მასწავლებელი კარგად იცნობს ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. განვითარების თეორიების შესახებ გამოცემული სახელმძღვანელოები დაეხმარება მასწავლებელს ამ კუთხით ცოდნის გამდიდრებაში. მოსწავლეთა ქცევის გამომწვევი მიზეზის ახსნა, ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების გამოკვლევა და იმის გარკვევა რა განამტკიცებს ან შეუშლის ხელს ამ ქცევას გეხმარებათ არასასურველი ქცევის აღკვეთასა და სასურველი ქცევის შენარჩუნებაში.

როდესაც მოსწავლე ცუდად იქცევა, მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს რა არის ამ ქცევის მიზეზი. ასეთი მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს:

- მასწავლებელმა ნათლად არ განსაზღვრა რა არის მისი მოლოდინი და რა ტიპის ქცევაა ნახალისებული გაკვეთილზე, მათ არ იციან როგორ მოიქცნენ.
- მოსწავლეს ყურადღების დეფიციტი აქვს და ვერ აცნობიერებს, რომ ის კონკრეტულ მომენტში ცუდად იქცევა.
- მოსწავლეს შეიძლება სიამოვნებდეს იმ ძალაუფლების შეგრძნება, რასაც მასწავლებელთან წინააღმდეგობისას განიცდის.
- მოსწავლე ცდილობს საკლასო დავალების შესრულებას

თავი აარიდოს, ან დამალოს, რომ არ იცის გაკვეთილი, ამ მიზნით ის ყურადღებას იქცევს ცუდი ქცევით.

კარგად სწავლასა და პასუხისმგებლობიან საქციელსაც აქვს თავისი მიზეზი. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც აღწერს დათოს ქცევას სხვადასხვა პირობებში:

1. დათო არ სწავლობს, მუდმივად ცუდად იქცევა, გაკვეთილის ჩაშლას ცდილობს და მასწავლებელი მას კლასიდან აგდებს. დათოს ქცევის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ დათომ გაკვეთილი არ იცის, უნდა გაკვეთილიდან გააგდონ. ამით არ გამჟღავნდება, ის რომ დათო მოუმზადებელი მოვიდა სკოლაში, ამასთან ერთად ამ გზით მას სურს მეტი ყურადღების მიქცევა, რომ კლასელების თვალში უფრო „მაგარი“ გამოჩნდეს.
2. დათომ გადანყვიტა კარგად ისწავლოს, კლასში აქტიურია და კარგ ნიშნებს იღებს. ის კლასელების, მასწავლებლებისა და მშობლების ყურადღებას იქცევს. ამ შემთხვევაში მას აქვს მიზეზი კარგი საქციელი შეინარჩუნოს, გააგრძელოს კარგად სწავლა, რომ ისევ და ისევ ყურადღების ცენტრში მოექცეს და შედეგებით ისიამოვნოს.
3. თუ დათო გადანყვიტს კარგად ისწავლოს, ის იაქტიურებს, მაგრამ იმის გამო, რომ არ აქვს შესაბამისი აკადემიური საფუძველი, ის ისეთ შედეგებს ვერ მიაღწევს, რომ მასწავლებლების, თანაკლასელებისა და მშობლების აღფრთოვანება გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში შესაძლოა მისი ქცევა ისევ გაუარესდეს, რადგან პრობლემური ქცევის დროს გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებდა. დათოს ქცევა და მისი მცდელობა „გამოსწორდეს“ დიდი ალბათობით არ შენარჩუნდება და ისევ გააგრძელებს გაკვეთილის ჩაშლის მცდელობებს.

როდესაც მასწავლებელი გაარკვევს ბავშვის ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, ამის შემდეგ ქცევის მოდიფიცირება შესაძლებელია. მასწავლებლის რეაქციას შეუძლია მოსწავლის მოტივირება, ან პირიქით.

მასწავლებლის შესაძლო რეაქციები

თუკი ყურადღების მიქცევა სურს მოსწავლეს და ამიტომ არღვევს დისციპლინას, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, იგნორირება ეფექტური რეაქციაა ამ დროს, რადგან რაც მეტად მიაქცევთ ყურადღებას, მოსწავლე თავის მიზანს მიღწეულად ჩათვლის, სავარაუდოდ მისი ქცევა არ გაუმჯობესდება, პირიქით შეიძლება კიდევ გაუარესდეს. თავდაპირველად სჯობს მასწავლებელმა მოსწავლეს შენიშვნა მისცეს, იმისათვის, რომ სხვა მოსწავლეები მიხვდნენ ამ საქციელის მიუღებლობას. დისციპლინის დამრღვევი მოსწავლე კი მიხვდება, რომ მის საქციელს ყურადღებას არ მიაქცევენ.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს მოსწავლის კარგ საქციელს და არა ცუდს. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ ყურადღებას კარგი ქცევით დაიმსახურებს. როცა მოსწავლე იცავს წესების, სწორედ მაშინ მიაქციეთ მას ყურადღება. შეაქეთ და აღნიშნეთ მისი კარგი საქციელი, ან მიდით მასთან და ჰკითხეთ, რა-იმე კითხვები ხომ არ აქვს (სპრიკი, 2006).

ზოგჯერ როცა მასწავლების მხრიდან დისციპლინის დამრღვევი იმ მოსწავლის ქცევის იგნორირება ხდება, რომელიც ამ გზით ყურადღების მიქცევას ცდილობს, ამან შეიძლება უარესი შედეგი გამოიღოს ანუ მოსწავლემ კიდევ უფრო უხეშად დაარღვიოს დისციპლინა. თუ მასწავლებელი არჩეულ სტრატეგიას მიყვება და მოსწავლეს ყურადღებას მხოლოდ მაშინ მიაქცევს, როცა კარგად იქცევა, მაშინ მისი მოთმინება შედეგს მოიტანს. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლის მიერ არჩეული სტრატეგია მაინც უშედეგო აღმოჩნდება, მაშინ მან უნდა გადახედოს მას, რადგან შესაძლოა მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევას სხვა მიზეზი ჰქონდეს.

შესაძლოა მოსწავლე ყურადღების მიქცევის გამო კი არ იქცევა ცუდად, არამედ, უბრალოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ საქციელს, ამ შემთხვევაში იგნორირება გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მას უნდა მიუთითოს წესებზე და დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში რომ ცუდად იქცევა. ეს უნდა გააკეთოს ყოველ ჯერზე როცა მოსწავლე ცუდად მოიქცევა (სპრიკი, 2006).

როცა მოსწავლე ზედმეტად აგრესიულ ქცევას ავლენს (სხვა მოსწავლის ლანძღვა ან ცემა) იგნორირება არასწორი სტრატეგიაა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მას უნდა მიუთითოს წესებზე და მათი დაცვა მოსთხოვოს. ფიზიკური დაპირისპირების შემთხ-

ვევაში კი გააშველოს მოსწავლეები ან მოიხმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან ის პირი, რომელიც მას დაეხმარება კონფლიქტის აღმოფხვრაში.

თუ მოსწავლე ცდილობს მასწავლებელთან კამათით მოსწავლეების თვალში ძალაუფლების მოპოვებას, მასწავლებელი უნდა ეცადოს არ აყვეს მოსწავლეს და არ ჩაებას კამათში. მისი კომენტარები მასწავლებელმა პირად შეურაცხყოფად არ უნდა მიიღოს და ემოციებს არ უნდა აყვეს. სასურველია მასწავლებელმა აღნიშნოს, რომ კარგია, როცა მოსწავლე ფიქრობს კონკრეტულ საკითხზე და ცდილობს დამოუკიდებელ დასკვნებამდე მივიდეს... ანუ აღიაროს მოსწავლის მხრიდან არგუმენტების გამოთქმის ლეგიტიმურობა.

თუ მოსწავლე ცდილობს თავი აარიდოს საკლასო სამუშაოს შესრულებას, გამოძახებას ან დავალების არქონის დაფიქსირებას, ისე გააკეთეთ რომ მოსწავლემ ამ მიზანს არ მიაღწიოს. მაგალითად ნუ გაუშვებთ კლასიდან, რადგან შესაძლოა ეს სწორედ ის არის რაც მოსწავლეს სურს და რის გამოც ცუდად იქცევა.

ცუდი ქცევისას მოსწავლეს დიდი ყურადღება არ დაუთმოთ, მოკლედ და სწრაფად აუხსენით, რატომაა მისი ქცევა მიუღებელი და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას. ნურასდროს ჩაებმებით მოსწავლესთან სიტყვიერ პაექრობაში.

მასწავლებლები ხშირად ჩივიან, რომ როდესაც ისინი უარყოფითი ქცევის იგნორირებას ახდენენ და ცდილობენ ყურადღება დადებით ქცევას მიაქციონ, ზოგჯერ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოსწავლემ დადებითი ქცევა საერთოდ არ გამოავლინოს.. ეს განსაკუთრებით ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე ბავშვებს ახასიათებთ. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მეორე გაკვეთილამდეც რომ მოუწიოს მასწავლებელს ლოდინმა, მაინც მეტად შედეგიანია დადებით ქცევაზე რეაგირება და უარყოფითი ქცევის იგნორირება (მათერი და გოლდსტაინი 2001).

გთავაზობთ არასასურველი ქცევის პრევენცია/აღკვეთის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სტრატეგიებს (სპრიკი 2006):

წლის დასაწყისშივე შეიმუშავეთ ქცევის წესები

იმისათვის, რომ კლასის მართვა მარტივად წარიმართოს, მნიშვნელოვანია წლის დასაწყისშივე შეიმუშაოთ ქცევის წესები და გააცნოთ ისინი მოსწავლეებს. მოსწავლეებს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ეცოდინებათ რას გულისხმობს საკლასო ოთახში მისაღები

ქცევა და რას უნდა ელოდონ თქვენგან კონკრეტული მიუღებელი ქცევის განხორციელების შემთხვევაში.

მაღალი მოლოდინი

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათგან სანიმუშო ქცევას და კარგად სწავლას მოელოთ. თქვენი მოლოდინი ხშირად გამოხატეთ სიტყვიერად. მაგალითად, „გაკვეთილის ახსნის, საკლასო სამუშაოს შესრულების, დისკუსიის დროს დარწმუნებული ვარ, რომ შეეცდებით წყნარად იყოთ და ერთმანეთს მოუსმინოთ.“

მოსწავლესთან მიახლოება

თუკი მოსწავლე საუბრობს, ან ქცევის წესებს არღვევს, მასწავლებელს შეუძლია უბრალოდ მასთან ახლოს მივიდეს. მოსწავლე იგრძნობს რომ მასწავლებელი მისი საქციელით დაინტერესდა და მიუახლოვდა იგი აღარ დაარღვევს ქცევის წესებს. შესაძლებელია თვალთ კონტაქტის საშუალებითაც ამონუროთ ეს პრობლემა.

სიტყვიერი შენიშვნა

თუ მიახლოებამ არ გაჭრა და მოსწავლეებმა ისევ გააგრძელეს საუბარი განსაკუთრებული ყურადღების გარეშე შეგიძლიათ გაკვეთილთან დაკავშირებული კითხვა დაუსვათ. ან უთხრათ, რომ თუ რაიმეს თქმა სურთ ხელი ასწიონ. შეეცადეთ შენიშვნა ისე მისცეთ, რომ მთელი კლასის ყურადღება ნაკლებად მიიქციოთ და მცირე სასწავლო დრო დახარჯოთ.

მოსწავლესთან ერთად ქცევის განხილვა

თუკი მოსწავლის საქციელი მეტ ახსნა-განმარტებას საჭიროებს, საერთო განხილვა მაშინვე არ წამოიწყოთ, როდესაც გაკვეთილი დასრულდება მიდით მოსწავლესთან და მასთან ერთად განიხილეთ ეს საკითხი. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი შენიშვნა ქცევაზე უნდა იყოს აქცენტირებული და იარლიყს არ აკრავდეს მოსწავლეს. მაგ:

„ნინო, ნუ ხარ უზრდელი.“ ასეთი კომენტარის გაკეთება მასწავლებლის მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა, პიროვნული თვისებების შეფასების ნაცვლად მასწავლებელმა ქცევაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, ამ შემთხვევაში სჯობს მასწავლებელმა მოსწავლეს უთხრას „ნინო, უკვე არაერთი უპატივცემულო კომენტარი გააკეთე თანატოლების მიმართ“.

დაუკავშირდით მოსწავლის მშობლებს

მოსწავლის მშობლების ჩართვა მნიშვნელოვანია ცუდი ქცევის გამოვლენის ადრეულ ეტაპზე. დაელაპარაკეთ მოსწავლის მშობელს მათი შვილის საქციელის შესახებ, ოღონდ ეცადეთ არ განსაჯოთ მოსწავლე, დაარწმუნეთ მშობელი რომ მისი პარტნიორი ხართ და აპირებთ პრობლემის ერთად მოგვარებას. მოსწავლის მშობლებს ესაუბრეთ მათი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეზე. მხოლოდ ცუდ ყოფა-ქცევაზე ყურადღების გაამახვილებით შესაძლოა მშობელს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ თქვენ გსურთ მან შვილი დასაჯოს ცუდი საქციელისთვის.

განმუხტეთ სიტუაცია იუმორით

იუმორი და არა სარკაზმი, ბევრ სიტუაციაში გამოსავლად შეიძლება იქცეს. მოსწავლის საქციელზე იუმორით პასუხი განმუხტავს სიტუაციას, მაგრამ ასევე უნდა დარწმუნდეთ, რომ იუმორი არ აღიქმება მოსწავლის მხრიდან როგორც მათი ცუდი საქციელის ნახალისება. დაელაპარაკეთ მოსწავლეს ამის შესახებ გაკვეთილის შემდეგ.

ყოველთვის დაიცავით წესები

მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის ერთნაირად იცავდეთ წესებს, თუკი ერთ შემთხვევაში ცუდ ქცევაზე თვალს დახუჭავთ და მეორე შემთხვევაში მაშინვე გააკეთებთ რეაგირებას, მოსწავლეები თქვენდამი პატივიცემას დაკარგავენ. მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ რას შეიძლება ელოდონ თქვენგან.

ახსენით მარტივად

ხშირად არასასურველი ქცევა, მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის არაეფექტური კომუნიკაციის შედეგია. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ რა უნდა ისწავლონ და როგორ მოიქცნენ კლასში. ეცადეთ მარტივად ახსნათ დავალების შინაარსი, კონკრეტული ინსტრუქციები მიეცით მოსწავლეებს დავალებების შესასრულებლად და მათ კითხვებზე ამომწურავად გაეცით პასუხი.

რა ხდება მაშინ როცა არასასურველი ქცევა მიუხედავად ზემოთ მოყვანილი სტრატეგიების გამოყენებისა მაინც გრძელდება? ასეთ შემთხვევაში მასწავლებლები სხვა დამატებით ზომებს მიმართავენ, მაგალითად:

ქულის დაკლება და პრივილეგიის წართმევა

თუ სკოლის შინაგანანგისათვის გათვალისწინებულია მოსწავლეთა შეფასება ყოფაქცევაში, მასწავლებელმა შეიძლება ყოფაქცევაში დააკლოს ქულები მოსწავლეს ან შეუზღუდოს უკვე მოპოვებული რაიმე პრივილეგია.

ასევე ეფექტურია გაფრთხილების ფორმულა: „ თუ ამას და ამას არ გააკეთებ, მაშინ მოხდება ესა და ეს.“ გაფრთხილება განსაკუთრებით კარგად მუშაობს პრივილეგიების შეზღუდვასთან კომბინაციაში. მაგ. „ თუ სხვებს არ აცლი საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას, შენ არ მოგეცემა უფლება საკუთარი წარადგინო.“

მოსწავლის დატოვება გაკვეთილის შემდეგ

კიდევ ერთი სტრატეგია რასაც მასწავლებლები ხშირად მიმართავენ არის მოსწავლის დატოვება გაკვეთილების შემდეგ. მოსწავლე შეიძლება დაეტოვოს ბიბლიოთეკაში რათა მოამზადოს მომდევნო დღის გაკვეთილები. მოსწავლემ უნდა იცოდეს რამდენი საათი უნდა დარჩეს ბიბლიოთეკაში. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლე მართო არ უნდა დატოვოს, იქ აუცილებლად იყოს მეთვალყურე, რომელიც მას ყურადღებას მიაქცევს.

ასევე კარგი იქნება დატოვებულ მოსწავლეს ვთხოვთ რეფლექსია გააკეთოს იმაზე თუ რატომ არის ამ ვითარებაში. მაგ. შეიძლება ვთხოვთ აღწეროს ის ვითარება, რომლის გამოც დაისაჯა და რამ განაპირობა ის შეცდომა, რომელიც მან დაუშვა.

მოსწავლისთვის სასარგებლო საქმის დავალება

დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მოსწავლის იძულება გააკეთოს სასარგებლო საქმე. დარჩეს გაკვეთილების შემდეგ, დაალაგოს საკლასო ოთახი, დერეფანი, ან მიეხმაროს სკოლის სამეურნეო სამსახურს

საქმიანობაში. იმისათვის, რომ მოსწავლის თვითშეფასება არ დაცეს, თუ მისი სურვილიც იქნება, შეიძლება დათმობაზე წახვიდეთ და მას ოთახი ან დერეფანი მაშინ დააღებინოთ, როდესაც სხვა მოსწავლეები არ უყურებენ. ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლე სკოლასთან და გაკვეთილთან დაკავშირებულ საკუთარ საქმეში დაიხმაროს.

ადმინისტრაციის ჩართვა კლასის მართვაში

თუ მოსწავლის ქცევას ველარ აკონტროლებთ, სკოლას შინაგანაწესით ექნება განსაზღვრული ვინ შეიძლება ჩაერთოს ქცევის მართვისა და პრობლემის მოგვარების პროცესში. ეს შეიძლება იყოს სკოლის მანდატური, ფსიქოლოგი, დირექტორი ან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელი.

ქცევის მართვის სტრატეგიები სასურველია ასახული იყოს შინაგანაწესში, რაც გულისხმობს, რომ ის შეთანხმებულია, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე სამეურვეო საბჭოსთან.

ქცევის მართვის ზოგიერთი მიღწევა

ამ ქვეთავში უფრო დეტალურად განვიხილავთ ქცევის მართვის მოდელს, რომელიც ეფუძნება ფსიქოლოგიურ კვლევებს და ქცევის სტიმულების მეშვეობით მართვას ეხება. განვიხილავთ დადებით და უარყოფით განმტკიცებას, ქცევის გაქრობის და დასჯის სტრატეგიებს.

დადებითი განმტკიცება

დადებითი განმტკიცება გულისხმობს ქცევის განმტკიცებას და მომავალში ამ ქცევის გამეორების ალბათობის ზრდას, რაიმე სარგებელის, ჯილდოს, შექების შედეგად. მაგალითად, თუკი მოსწავლეს შევაქებთ იმის გამო, რომ მან კარგად მოამზადა გაკვეთილი, ალბათობა იმისა, რომ იგი მომავალშიც კარგად მოამზადებს გაკვეთილს იზრდება.

მოსწავლეების შექება ზრდის მათი მხრიდან სასწავლო მოტივაციის, ამალლებას, თუმცა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ როგორ უნდა შევაქოთ მოსწავლე. ასეთი ტიპის შექება „ათიანი ლალის, მშვენივრად გაართვა თავი დავალებას“- ერთი შეხედვით მოსწავლეთა

მოტივაციას უნდა ზრდიდეს, მაგრამ სინამდვილეში, არ ცვლის მათ ქცევას, რადგან არ შეიცავს მოსწავლეებისათვის ღირებულ ინფორმაციას. მასში არაა ასახული კონკრეტულად რა გააკეთა მოსწავლემ კარგად. კვლევებით დასტურდება, რომ ზოგადი ხასიათის შექება არაა ეფექტური, შექება ეფექტურია მაშინ, როცა კონკრეტულ ქცევას ეხება. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ კვლევებით დასტურდება, რომ ბიჰევიორისტული მიდგომები ძლიერია, როდესაც კოგნიტივისტურ/კონსტრუქტივისტულ მიდგომებთან ერთად ვიყენებთ. ანუ როდესაც კონკრეტულად ვუთითებთ რა გააკეთა კარგად, ამ დროს უბრალოდ ქცევის განპირობება კი არ ხდება მარტივი სტიმულით(შექებით), არამედ სწავლის უნარების გამომუშავებაც, რაც მოსწავლეს საკუთარი ქცევის გაცნობიერებაში ეხმარება. მაგალითად ,, ნიკოლოზ, ძალიან კარგად შეასრულე დავალება, მე ამით ძალიან ვამაყობ,“ ზოგადი შექების მაგალითია. თუკი კონკრეტულ მოსწავლეს ეტყვი ,,ყოჩაღ ნიკოლოზ, რა ლამაზად დანერე ასოები“, ან ,,ყოჩაღ ლალი, შენ საკმაოდ კარგად გააკრიტიკე სახელმძღვანელოში მოყვანილი არგუმენტი, განსაკუთრებით მომეწონა, როცა იმაზე გაამახვილე ყურადღება თუ რატომ არ გამომდინარეობდა არგუმენტის დასკვნა მისი წინაპირობებიდან.“ ეს უკვე კონკრეტული შექების მაგალითია.

როდესაც მოსწავლეებს ვუკონკრეტებთ რისთვის დაიმსახურეს შექება, ისინი უკეთ ხვდებიან თუ რა არის ღირებული მასწავლებლისთვის.

მართალია, კლასის წინაშე შექება ხშირად სასიამოვნოა მოსწავლეებისათვის, მაგრამ ცალკე, პირადად შექება უფრო მეტად მნიშვნელოვანია. ეცადეთ მოსწავლეს პირისპირ უთხრათ მისი მიღწევების შესახებ.

შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ უფრო დახვეწილი შექების სტილი, ღიმილი, თავის დაქნევა, მოსწავლის მერხთან ახლოს მისვლა და თქმა, რომ მისი ყოველთვის გჯეროდათ, და ა.შ.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯილდო და შექება გაცილებით ეფექტურია, როდესაც მათ არარეგულარული ხასიათი აქვთ. ეცადეთ შექება არ გააუფერულოთ. მხოლოდ მაშინ შეაქეთ, როცა მოსწავლეები ნამდვილად იმსახურებენ ამას და უფრო მეტს აკეთებენ ვიდრე მათგან მოელოთ. ცხადია, ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოსწავლის ცუდი ქცევის შესაცვლელად , გსურთ მცირედ გაუმჯობესებაზეც გქონდეთ დადებითი გამოხმაურება.

გთავაზობთ ეფექტური და არაეფექტური შექების მახასიათებლებს, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლებასა და მოსწავლეთა მოსწრებაზე.

ეფექტური შექება	არაეფექტური შექება
1. შექება არის ზუსტად გამიზნული მოსწავლის კონკრეტული აკადემიური წარმატების ან სასიამოვნო ქცევის აღსანიშნავად	1. შექება არის შემთხვევით წამოსროლილი, კონკრეტულად არ ამახვილებს ყურადღებას რეალურ მიღწევაზე
2. შექება აკონკრეტებს მოსწავლის მიღწევის კონკრეტულ ასპექტს, რომელიც შექებას იმსახურებს	2. შექება ზოგადია და არ აკონკრეტებს წარმატებას
3. შექება გულწრფელადაა ნათქვამი და სხეულის ენითაცაა გამოხატული, რაც მას დამაჯერებლობას მატებს	3. უემოციოდაა ნათქვამი და ზერელე ფრაზებისგან შედგება
4. შექება ასახავს მოსწავლის ძალისხმევას, პროგრესსა და მიღწევას, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით.	4. შექება სხვებთან შედარების საფუძველზეა გაკეთებული და ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის ძალისხმევაზე და მიღწევაზე.
5. შექება მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას მათი ცოდნის, უნარების გაუმჯობესების შესახებ	5. შექება მოსწავლეებს არ აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი მიღწევების შესახებ
6. შექება ეხმარება მოსწავლეებს უკეთ შეაფასონ სწავლისთვის საჭირო უნარები და მიღწევები.	6. მოსწავლე საკუთარ თავს სხვებთან შედარებით აფასებს.
7. მოსწავლის წარმატებას უკავშირებს მის გულმოდგინებას, შრომისმოყვარეობას და გულისხმობს რომ მსგავსი მიღწევები მომავალშიც მოსალოდნელია.	7. მოსწავლის წარმატებას უკავშირებს მხოლოდ მის შესაძლებლობას, შემთხვევითობას/ გამართლებას ან მარტივ დაჯალებას.
8. ახალისებს მოსწავლეს აღიაროს საკუთარი მიღწევა და იგრძნოს შინაგანი კმაყოფილება.	8. სტიმულს აძლევს მოსწავლეს, წარმატებას გარე ფაქტორების (მასწავლებლის სიამოვნება, შეჯიბრის მოგება და ა.შ) გამო მიაღწიოს .

კიზლიკი, ბობი. „კლასის მართვა, მოსწავლეთა ქცევის მართვა.

უარყოფითი განმტკიცება

უარყოფითი განმტკიცება არ არის დასჯა. უარყოფითი განმტკიცება ისევე, როგორც დადებითი განმტკიცება, გულისხმობს მოსწავლის ქცევის განმტკიცებას და მომავალში ამ ქცევის გამეორების ალბათობას ზრდს. თუმცა დადებითი განმტკიცებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მოსწავლის მიზანია არა რაიმე სასიამოვნო შედეგის მიღება (შექება, ჯილდო), არამედ არასასიამოვნო შედეგის თავიდან აცილება (მაგ. ტესტი, ოთახის დალაგება).

მაგალითად, თუ მასწავლებელი მოსწავლეს დაპირდება, რომ იგი გამოცდას აღარ ჩააბარებს, თუ ყოველ გაკვეთილზე მომზადებული მოვა და სანიმუშოდ მოიქცევა, გამოცდა ამ შემთხვევაში არასასიამოვნო შედეგი, ანუ უარყოფითი განმამტკიცებელია. ამ შემთხვევაში მოსწავლე კარგი საქციელით თავიდან ირიდებს მისთვის უარყოფით შედეგს.

მოვიყვანოთ ორი მაგალითი:

ელენემ დავალება კარგად შეასრულა, მასწავლებელი ეუბნება „ელენე, რადგან დღეს კარგად შეასრულე დავალება, გაკვეთილების შემდეგ დარჩენა და მისი განმეორებით შესრულება აღარ მოგიწევს...“ ანუ მასწავლებელმა არასასურველი შედეგი აარიდა ელენეს მისი კარგი ქცევის სანაცვლოდ.

ლევანი ხშირად იგვიანებს გაკვეთილზე, ყოველი დაგვიანებისას მასწავლებელი მას კლასის წინაშე საყვედურს ეუბნება. თუ მასწავლებელი მას შეაქებს გაკვეთილზე დროულად მოსვლისთვის ეს უკვე იქნება უარყოფითი განმტკიცების მაგალითი. რაც უფრო ხშირად შეაქებს მასწავლებელი, სავარაუდოდ მოსწავლე ეცდება ადრე მოვიდეს და არ დაიგვიანოს.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა უფრო მეტად უნდა გამოიყენონ დადებითი განმტკიცება. უარყოფითი განმტკიცება მოკლევადიან სტრატეგიად გამოდგება და გრძელვადიანი შედეგისათვის არ არის განკუთვნილი.

ქცევის გაქრობა

თუკი დადებითი და უარყოფითი განმტკიცება ამა თუ იმ ქცევას აძლიერებს, დასჯისა და ქცევის გაქრობის სტრატეგია ასუსტებს ამა თუ იმ ქცევას ან აქრობს მას.

ქცევის გაქრობის სტრატეგიას, მასწავლებლები მიმართავენ რათა შეძლონ კლასში უარყოფითი ქცევის გამოვლინების მაქსიმალურ

რად შემცირება. ხშირად ქცევის გაქრობას დაგეგმილ იგნორირებასაც უწოდებენ (ევერტსონი და ვაინსტაინი, 2006).

წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლე სვამს შეკითხვებს, რაც გაკვეთილს არ უკავშირდება, მაგალითად „როდის უნდა მოვანყოთ შეჯიბრი ფრენბურთში?“ ან „რომელ საათზე გვაქვს დღეს სადილი?“ თუ მასწავლებელი ამ კითხვებს რაიმე ფორმით ყურადღებას მიაქცევს, ეს ქცევა უფრო განმტკიცდება და მოსწავლე განაგრძობს ასეთი კითხვების დასმას. თუნდაც უბრალო კომენტარი მასწავლებლის მხრიდან იმის შესახებ, რომ „ახლა ამის დრო არ არის“ შეინარჩუნებს ამ ქცევას. ამ შემთხვევაში უკეთესია ყურადღება არ მივაქციოთ მოსწავლის მიერ დასმულ კითხვას. ამავე დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს გაკვეთილთან დაკავშირებულ კითხვებს, რათა განამტკიცოს ამ ტიპის კითხვების დასმა არარელევანტური კითხვების საწინააღმდეგოდ.

ამ სტრატეგიის გამოყენებისას, ყურადღებით უნდა ვიყოთ. თუ მოსწავლის მიერ დასმული კითხვა ან კომენტარი სხვა მოსწავლეების ყურადღებას იპყრობს, მაშინ მასწავლებელმა კიდევაც რომ არ მიაქციოს ყურადღება მისი ქცევა მაინც განმტკიცდება. ამ შემთხვევაში იგნორირება არ გამოდგება და მასწავლებელს დასჭირდება უფრო აქტიური სწავლების პროცესის ორგანიზება და ამ პროცესში ჩართულობისათვის პოზიტიური განმამტკიცებლების გამოყენება.

დასჯა

მიუხედავად იმისა, რომ დასჯის გამოყენებამდე ქცევის დადებითი და უარყოფითი განმამტკიცებლებისა და ქცევის გაქრობის სტრატეგიის გამოყენებაა რეკომენდებული, ზოგიერთი ქცევის აღმოსაფხვრელად დასჯა (თუმცა არა ფიზიკური დასჯა) მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს.

ზოგჯერ დასჯას განიხილავენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც საყვედურს, გაკიცხვას ან ფიზიკურ დასჯას. თუმცა დასჯის ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც მოსწავლეს ვართმევთ იმ პრივილეგიას რაც მან მოიპოვა. მაგალითად, თუ მოსწავლემ კარგი ქცევისათვის 30 წუთი კომიუტერთან თამაშის უფლება დაიმსახურა, ცუდი ქცევისათვის, მას მოპოვებული ჯილდოდან რამდენიმე წუთი გამოაკლდება (მნიშვნელოვანია რომ მთლიანად არ წავარვათ ეს დრო).

რაც შეეხება ფიზიკურ დასჯას, სკოლებსა და მასწავლებლებს კა-

ნონით ეკრძალებათ მოსწავლის ფიზიკური დასჯა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური დასჯა შეიძლება მოკლევადიან შედეგს იძლეოდეს, გრძელვადიან პერსპექტივაში იგი პრობლემას არ აგვარებს. მოსწავლეები გააგრძელებენ ცუდად მოქცევას, როდესაც ის ვინც ამგვარად სჯის, ახლოს არ იქნება. გარდა ამისა, ამგვარი დასჯით მოსწავლეებს ცუდ მაგალითს ვაძლევთ და მათ ადვილად შეიძლება გავუჩინოთ შურისძიების სურვილი.

გთავაზობთ ცხრილს სადაც განხილულია თითოეული სტრატეგიის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ასუსტებს ან აძლიერებს ამა თუ იმ ქცევას:

სტრატეგია	გამოვლენილი ქცევა	ქცევის შედეგი	სავარაუდო ეფექტი ქცევაზე მომავალში
1	2	3	4
დადებითი განმტკიცება	ქეთი მითითების გარეშე მეცადინეობს მათემატიკას	ქეთის მშობლები მას აქებენ	ქეთი მომავალშიც გააგრძელებს მათემატიკის მეცადინეობას მითითების გარეშე
დადებითი განმტკიცება	თენგო წყნარად ზის და მუშაობს	მასწავლებელი მას კარგი ყოფაქცევისთვის განკუთვნილ მწვანე ბარათს აძლევს	თენგო მომავალშიც გააგრძელებს წყნარად მუშაობას
უარყოფითი განმტკიცება	იასონი წუნუნებს, რომ უფროსი ბიჭები მას სულ სცემენ და ამიტომ სკოლაში წასვლა არ უნდა	იასონის მშობლები მას ნებას რთავენ სახლში დარჩეს	იასონი მომავალშიც სახლში დარჩება და გააცდენს სკოლას
უარყოფითი განმტკიცება	ბელა ჩივის, რომ თავი სტკივა მაშინ როცა დავალება უნდა დანეროს	ბელას ნებას რთავენ დაიძინოს დავალების შესრულების ნაცვლად	ბელა მომავალშიც მოიმიზეზებს თავის ტკივილს, ყოველთვის როცა დავალების დანერის დრო მოვა
ქცევის გაქრობა	გიორგი თამაშის შემდეგ სკოლის ბაღს ასუფთავებს	მას არაფერ აქცევს ყურადღებას	გიორგი მომავალში აღარ ასუფთავებს სკოლის ბაღს

1	2	3	4
ქცევის გაქრობა	ანა დათოს სკამზე წყალს ასხამს	ამას არავინ აქცევს ყურადღებას, ქცევა იგნორირებულია	ანა მომავალში აღარ დაასხამს დათოს სკამზე წყალს
დასჯა	მართა სკამის მისაყუდებელზე ზის	მართას საყვედურობენ ყოველთვის როცა სკამის მისაყუდებელზე ჯდება	მართა აღარ დაჯდება სკამის მისაყუდებელზე
დასჯა	თემო თეოს კიკინაზე საღებავს უსვამს	მასწავლებელი თემოს ჯოხს წამოართყვამს	თემო მომავალში აღარ წაუსვამს თეოს საღებავს

ადაპტირებულია შედეგი წყაროდან: უოკერი, ჯ.ე და ში ტ. მ. ქცევის მართვა: პრაქტიკული მიდგომა განათლების სპეციალისტებისათვის. ნიუ იორკი: მაკმილანი. 1991.

ცხრილში მოცემული ბოლო შემთხვევა აღწერს ფიზიკურ დასჯას. ნუ გამოიყენებთ დასჯის ამ ფორმას. ბავშვებს ასეთი ტიპის დასჯით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტკივილს აყენებთ. შესაბამისად, ისინი თქვენს მიმართ აგრესიით განწყობიან. ასევე ისინი ისწავლიან, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა ურთიერთობის მოგვარების ჩვეული ფორმაა და თავადაც გამოიყენებენ სხვებთან მიმართებაში. მასწავლებელი ფიზიკური დასჯით თავად აძლევს მაგალითს მოსწავლეებს, როგორი ქცევა შეიძლება იყოს მისაღები. ფიზიკური დასჯა აკანონებს ძალადობას და იგი უარყოფითად მოქმედებს კლასის კლიმატზე, რომელიც ურთიერთპატივისცემითა და თანამშრომლობით უნდა იყოს გამსჭვალული. ზოგადად, კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც ამ გზით ცდილობენ პრობლემების მოგვარებას უფრო ნერვიული, იმპულსური და ნაკლებად ყურადღებიანი არიან (კანგელოსი, 2007).

ზოგჯერ მასწავლებელს შეიძლება მოუწიოს ფიზიკური ძალადობა მოსწავლეების გაკონტროლების ან თავის დაცვის მიზნით, ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს დასჯასთან.

მაგალითად: მასწავლებელი ხედავს რომ დერეფანში ორი მოსწავ-

ლე ერთმანეთს დაუზოგავად სცემს, ის დაუყოვნებლივ ერევა და ძალით აშველებს მათ. მას შემდეგ რაც მოსწავლის მუშტი თავადაც ხვდება, ცდილობს თავის დაცვის მიზნით ძალის გამოყენებით გააკავოს. ეს არ ჩაითვლება ფიზიკურ დასჯად. თუ მასწავლებელი კონფლიქტის ამონურვის შემდეგ სცემდა მოსწავლეს ან რაიმე სახის ფიზიკურ ტკივილს მიაყენებდა, ეს აქტი ფიზიკურ ძალადობად ჩაითვლება (კანგელოსი, 2007)

მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა

მოსწავლეებთან ურთიერთობა

მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარება, მასწავლებლის ქცევა და მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება კლასის მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული მოსწავლეთა მოტივაცია და კლასში სასურველი ქცევა. ხშირად ხდება, რომ მოსწავლე ერთ მასწავლებელთან კარგად იქცევა, სხვა მასწავლებელთან კი ცუდად. ამ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა შესაძლოა მასწავლებლის ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილება იყოს. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ ურჩ და აგრესიულ, არამედ მორცხვ და პასიურ მოსწავლეებსაც, უნდა შეძლოს მათთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარება.

კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიურ მოსწრებას დიდწილად განსაზღვრავს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა (ტომასი, 2000).

სამართლიანობა და წესების მუდმივად დაცვა ზრდის მასწავლებლის მიმართ მოსწავლეთა პატივისცემას. როდესაც, ადექვატური მცდელობის მიუხედავად არასასურველი ქცევა მეორდება, მასწავლებლები ამას პირად შეურაცხყოფად იღებენ და მოსწავლეს ადანაშაულებენ. ეს საკითხისადმი არასწორი მიდგომაა.

მასწავლებელმა ყველა მოსწავლის მიმართ უნდა გამოიჩინოს ერთნაირი ინტერესი და ყურადღება. ყველა მოსწავლეს სჭირდება დაფასება. სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია, როცა კლასში რამდენიმე მოსწავლე გამოკვეთილია, როგორც მასწავლებლის „ფავორიტი“.

ზოგჯერ მასწავლებლები მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად ბევრ დათმობაზე მიდიან. მოსწავლეებს იმდენად უმეგობრდებიან, რომ მათ შორის ზღვარი იშლება. მოსწავლეები მასწავლებლის პატივისცემას კარგავენ. არ არის აუცილებელი, თითოეული მათგანის მეგობარი გახდეთ. მოსწავლეებს გარკვეული კონტროლი სჭირდებათ მასწავლებლის მხრიდან, ეს სულაც არ ნიშნავს რომ კლასის მართვის ავტორიტარული სტილი აირჩიოთ. უბრალოდ, იყავით თანმიმდევრული თქვენს მოთხოვნებში, დააფასეთ ყველა მოსწავლე და ეცადეთ მოსწავლეს გაუჩინოთ შეგრძნება რომ, მათი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია.

ეფექტური კომუნიკაციისათვის, აუცილებელია მოსწავლეებს მისცეთ უკუკავშირი, კარგი საქციელისთვის. ხშირად შეაქოთ ისინი და აუხსნათ რას მოელოთ მათგან.

მოსწავლესთან კარგი ურთიერთობის დამყარება პირველივე დღიდან უნდა დაიწყოს. მათ ინტერესებში გარკვევა და მზრუნველობა, მოსწავლეებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.

გვთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეებთან თანამშრომლობას:

- პერსონალური მისალმება, შემოსვლისას ყველას სახელებით მიესალმეთ.
- მათი განწყობის გასარკვევად დასვით შეკითხვები;
- კითხვები მათ ცხოვრებაზე სკოლის გარეთ. გამონახეთ დრო, რომ გაესაუბროთ მოსწავლეებს კლასის გარეთ მომხდარ ამბებზე.
- მათი პრობლემების და ამბების მოსმენა. კარგია მოსწავლეებს გაუჩინდეთ შეგრძნება, რომ თქვენ გაინტერესებთ რა ხდება მათ ცხოვრებაში საკლასო ოთახისა და აკადემიური მოსწრების მიღმა, როგორია მათი პირადი ინტერესები და საქმიანობები;
- სასადილოში მათთან ერთად სადილი;
- დაბადების დღის მილოცვა;
- მათი ჰობისა და განსაკუთრებული ინტერესების გამოკვლევა;

- ღონისძებებზე ერთობლივი დასწრება (სპორტული შეჯიბრება, სპექტაკლი, ფილმი)
- ისტორიის მოყოლა საკუთარი ცხოვრებიდან;
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებს სწამდეთ, რომ მათი უნარები და შესაძლებლობები ღირებული და დაფასებულია. მასწავლებელმა უნდა წახალისოს დადებითი საუბარი მოსწავლეებთან, კერძოდ:
 - უთხარით, რომ შეუძლიათ წარმატების მიღწევა;
 - აღნიშნეთ მათი ახალი დადებითი ქცევები და გამომუშავებული უნარები;
 - მათი წარმატებები აღნიშნეთ სხვა მოსწავლეებთან ერთად;
 - პრობლემური დღის შემდეგ იმედი გამოთქვით, რომ ხვალ უკეთესი დღე იქნება.

მშობლებთან ურთიერთობა

მშობელი მასწავლებლისათვის მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს პრობლემური ქცევის პრევენცია/აღკვეთის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, უფრო ხშირ შემთხვევებში მშობლების როლი უგულვებელყოფილია, ან მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ როცა სიტუაცია განსაკუთრებით რთულდება.

მშობლებთან ურთიერთობა დამატებით დროსა და ენერჯიას მოითხოვს, თუმცა მშობლებთან ეფექტური თანამშრომლობა სერიოზული ქცევითი პრობლემების თავიდან აცილების შესანიშნავი საშუალებაა.

მშობლებთან თანამშრომლობისთვის სასურველია სკოლის ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა შეიმუშაონ პროცედურები, რომელიც ასახული იქნება სკოლის შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესმა შეიძლება ასახოს მშობლებთან შეხვედრის პერიოდულობა, მათთან გასახილველი სფეროების ნუსხა, შეხვედრის ფორმატი და შეხვედრაში მონაწილე ადამიანები.

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც დაგეხმარებათ მშობლებთან ეფექტურ თანამშრომლობაში.

მშობლების ინფორმირება

მშობლები თქვენს მოკავშირეებად რომ აქციოთ, მნიშვნელოვანია მათი მუდმივი ინფორმირება. მშობლებს ყოველთვის აინტერესებთ როგორ იქცევა და როგორი აკადემიური მოსწრება აქვთ მათ შვილებს.

მათი ინფორმირებისათვის შეგიძლიათ დაგეგმოთ სხვადასხვა ღონისძიებები: სასწავლო წლის დასაწყისში გაიცანით ყველა მშობელი და გააცანით მათ თქვენი გეგმები და მუშაობის წესები, მიაწოდეთ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

წინასწარ დაგეგმეთ, როგორ აპირებთ მშობლების ინფორმირებას. ზოგიერთი მასწავლებელი კვირის ბოლოს მშობლებს უგზავნის შეტყობინებას შვილის შეფასებისა და კვირის განმავლობაში მისი ქცევის შესახებ. ურთიერთობის ეს ფორმა ეფექტურია რადგან:

-თავიდან აგარიდებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მშობელი მხოლოდ მაშინ იღებს ინფორმაციას შვილის შესახებ, როდესაც სიტუაცია გამწვავებულია.

მშობლები ძალიან დაკავებულები არიან და ხშირად ვერ ახერხებენ სკოლაში მოსვლას. შვილის ქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ თქვენს შეტყობინებას ან სატელეფონო ზარს მშობლები მხოლოდ პრობლემურ სიტუაციებში არ უნდა იღებდნენ.

ნუ აიძულებთ მშობელს თავდაცვის პოზიცია აირჩიოს

მშობელთან პრობლემის მოსაგვარებლად დაკავშირებისას დაიმახსოვრეთ, რომ კრიტიკა მშობლისთვის არ არის მარტივი მისაღები. ადვილი შესაძლებელია, რომ მშობელმა შვილის პოზიცია დაიკაოს და ეცადოს შვილი დაიცვას და მასწავლებლის საქციელში ეძიოს მისი შვილის ცუდი ქცევის მიზეზი. ამიტომ კარგად აუხსენით მშობელს, რისთვის დაიბარეთ და რატომ არის მნიშვნელოვანი შეხვედრა თავად მოსწავლისათვის. ეცადეთ გამონახოთ რაიმე დადებითი მათი შვილის ქცევაში და მხოლოდ არასასიამოვნო პრობლემებზე არ ესაუბროთ. მაგალითად, შეგიძლიათ მშობელს უთხრათ, რომ ძალიან აფასებთ, რომ მათმა შვილმა გაიაზრა რამდენად არასასიამოვნო იყო მისი ქცევა. ასევე, მიაწოდეთ კომენტარი კონკრეტულ ქცევაზე და არა ზოგადად იმის შესახებ თუ როგორ „თავხედობს“ ან „უზრდელად“ იქცევა მათი შვილი.

პრობლემური ქცევის აღსაკვეთად დაიხმარეთ მშობელი

მას შემდეგ, რაც მშობელი ინფორმირებულია, სცადეთ ჩართოთ ის მოსწავლის ცუდი ქცევის აღკვეთაში, რაიმე კონკრეტული დავალება მიეცით. მაგალითად, თუ ცუდი ქცევა არ შეწყდება, მშობელს შეუძლია შვილს კომპიუტერთან თამაშის ან ტელევიზორის ყურების დრო შეუზღუდოს. გარდა ამისა, როდესაც ბავშვი ხვდება, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთი გუნდი არიან, უფრო დიდი შანსია რომ შეწყვიტოს ცუდი ქცევა.

დაგეგმეთ ღონისძიებები მშობლებთან ერთად

მშობლებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად მნიშვნელოვანია დაგეგმოთ რაიმე ღონისძიება მათთან ერთად. ეს შეიძლება იყოს ექსკურსია, ან სადღესასწაულო კონცერტი, მუზეუმში სტუმრობა დ.ა.შ. შეგიძლიათ მოხალისე მშობლები ჩართოთ სხვა ტიპის საქმიანობაშიც, მაგალითად სთხოვოთ დაგეხმაროთ სკოლის მონესრიგებაში, დერეფანში მორიგეობაში დ. ა.შ. ასევე კარგი იქნება თუ მშობელს მისცემთ შესაძლებლობას დაგესწროთ კაკვეთილზე.

შემოქმედებითად მიუღეით კლასის მართვას

მასწავლებლები თავად ქმნიან ორიგინალურ სტრატეგიებს და მათ პირად წარმატებულ გამოცდილებებს საჯაროდ უზიარებენ ყველას. ზემოთ ვახსენეთ, რომ კლასის მართვასთან რამდენიმე თეორიაა დაკავშირებული, თუმცა ყველა მათგანი დეტალურად არ გაგვიხილავს. იმედია, აქ მოცემული მაგალითები, მასწავლებლებს დაეხმარება კლასის მართვის საკუთარი ეფექტური თეორია შექმნან. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ კლასის მართვა არ არის თვითმიზანი. მთავარია მოსწავლეების მოტივაცია ამაღლდეს და მათ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ.

მაგალითად, ერთ-ერთმა მასწავლებელმა დაწყებით კლასებში ასეთ რამ მოიფიქრა: როდესაც ბავშვები ხმაურობენ იგი ანიშნებს მოსწავლეს, რომელიც ხმაურობს ფეხზე ადგეს, ამ მოსწავლეს შეუძლია დაჯდეს როგორც კი დაინახავს სხვა მოსწავლეს, რომელიც ხმაურობს, თუმცა როგორც წესი ბავშვები მაშინვე ჩუმდებიან რათა ფეხზე დადგომა არ მოუწიოთ.

დაბალ კლასებში ხმაურის შესამცირებლად შესაძლებელია ფუმფულა სათამაშოს გამოყენება. საუბარი არ შეიძლება თუ სათამაშოს არ გესვრიან, მასწავლებელი ესვრის ვისაც სურს საუბარი ან ვისაც კითხვას უსვამს, შემდეგ კონკრეტული მოსწავლე ესვრის სათამაშოს სხვა მოსწავლეს დ.ა.შ.

კიდევ ერთი სტრატეგია ფუმფულა სათამაშოს გამოყენებით: დანყებით საფეხურზე, კლასში არის სათამაშო, მაგალითად ძაღლი, რომელიც კარგავს ან იღებს საჩუქრებს(ძვალს, პატარა ბურთს დ.ა.შ.) იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ბავშვები. გაკვეთილის/დღის ბოლოს მასწავლებელი და ბავშვები ერთად აჯამებენ იმას, თუ რატომ მიიღო ან დაკარგა სათამაშომ ესა თუ ის საჩუქარი.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ადასტურებს, რომ კლასის ეფექტური მართვა პრაქტიკისა და სწავლის შედეგია, უნდა აღინიშნოს რომ ყველა კლასი უნიკალურია. ყველა მასწავლებელს მეტნაკლებად განსხვავებული პრობლემების გადაჭრა უხდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია სტრატეგია მასწავლებელმა შეარჩიოს საჭიროებიდან გამომდინარე და თავად განსაზღვროს თუ რა იმუშავებს მის კლასში და რა ვერა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლასის მართვის უნარები მასწავლებელს მხოლოდ რამდენიმე წლიანი პრაქტიკის შემდეგ უყალიბდება. საქმე იმაშია, რომ კლასის ეფექტური მართვა გულისხმობს არა მხოლოდ პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ უნარებს, არამედ, თეორიულ ცოდნას, თანმიმდევრულობასა და ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნას საკლასო ოთახში. კლასის მართვა მრავალი სტრატეგიის გამოცდას და შეცდომებზე სწავლასაც გულისხმობს, რაც საკმაოდ რთულია, სწორედ ამიტომ არის მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პროფესიონალ მასწავლებლებზე მოთხოვნა სულ უფრო მზარდი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Cangelosi, James S. Classroom Management Strategies. Gaining and Maintaining Students' Cooperation. New Jersey: John Wiley & Sons, 2007.
- Covington, Martin. „, Intrinsic versus Extrinsic Motivation in Schools: A Reconciliation,“ Current Directions in Psychological Science 9 (2000): 22-25.
- Evertson, Carolyn and Carol Simon Weinstein. Handbook of Classroom Management: Research, Practice, and Contemporary Issues. New Jersey: Lawrence Erlbaum Associates, 2006.
- Jones, Vernon F., and Louise Jones. Responsible Classroom Discipline. Boston: Allyn and Bacon, 1981.
- Marzano, Robert, Jana S. Marzano, and Debra J. Pickering. Classroom Management that Works : Research-based Strategies for Every Teacher. Alexandria: Association for Supervision and Curriculum Development, 2003.
- Mather, Nancy and Sam Goldstein. Learning Disabilities and Challenging Behaviors: A Guide to Intervention and Classroom Management. 2001. Baltimore. Paul H. Brookes.
- Sprick, Randall S. Discipline in the Secondary Classroom: Positive Approach to Behavior Management. San Francisco: Jossey-Bass, 2006.
- Thomas, David. Lives on the Boundary. The Presence of Others. Ed. Marilyn Moller. Boston: Bedford/St. Martin's. 2000.
- Midlarsky, Susan. „Measuring Teacher Quality: Classroom Management vs. Content.“ http://susanmidlarsky.com/blog/blog_files/measuring_teacher_quality.php. Accessed March 15, 2012.
- Froyen, Len and Annette Iverson. Schoolwide and Classroom Management: The Reflective Educator Leader. Upper Saddle River, N.J.: Prentice-Hall. 1999 .
- Green, Elisabeth. „Building a Better Teacher.“ March 2, 2010. http://www.nytimes.com/2010/03/07/magazine/07Teachers-t.html?_r=1. Accessed March 13.
- Classroom Teacher Resources. „Parent-Teacher Communication and

Positive Classroom Discipline“ . <http://www.classroom-teacher-resources.com/classroom-discipline-escalation-involving-parents-1.html#ixzz1qDIDbs4X>. Accessed March 13.

Tassell, Gene. „Classroom Management“ . Practical Classroom Applications of Current Brain Research. http://www.brains.org/classroom_management.htm. Accessed March 13.

National Education Association. „Classroom Management. „ <http://www.nea.org/tools/ClassroomManagement.html>. Accessed March 18.

Wagner K.J. „Routines and Procedures for Managaing Your Classroom“ . Education Oasis. <http://www.educationoasis.com/instruction/cm/routines.htm>. Accessed March 18..

Kizlik, Bob. „Classroom Management, Management of Student Conduct, Effective Praise Guidelines, and a Few Things to Know about ESOL Thrown in for Go Measure“ . 2012. <http://www.adprima.com/managing.htm>. Accessed March 19.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სასწავლო და პროფესიული გარემო. თბილისი, მპგც: 2008.

მოსწავლაზე ორიენტირებული სასკოლო ფიზიკური გარემო

სიმონ ჯანაშია

სასკოლო გარემოს მნიშვნელობა

გავლენა სწავლაზე

სასკოლო ფიზიკურ გარემოს შეუძლია გავლენა იქონიოს მოსწავლეების დამოკიდებულებაზე სწავლის მიმართ. სასკოლო გარემო მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღიარებულია აკადემიური წარმატებები, რაც მოტივაციის ეფექტური წყაროა.

სასკოლო გარემოს სწორი მონყობა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის გარემოს, სადაც სწავლა და განვითარება კომფორტულ, უსაფრთხო და აკადემიურად მდიდარ სივრცეში ხდება. გარემოზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხელმისაწვდომია რესურსები მოსწავლისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ერთადერთი რესურსი არ არის, რომელსაც მოსწავლე შეიძლება იყენებდეს. მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ის ერთი შეხედვით აკადემიურად უსარგებლო გარემო (კორიდორები, ეზოები და სხვ.), რომელიც სინამდვილეში ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის, აგრეთვე, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ინფორმაციის ეფექტურად გაცვლას. მნიშვნელოვანია ისეთი სივრცის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობით და გამოცდილებით სწავლებას.

სკოლა საკუთარი ფიზიკური გარემოს მონყობით გარკვეულწილად უნდა შეესაბამებოდეს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიას. სკოლების უმეტესობაში დღეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გავრცელებულია მიდგომა, რომელიც განათლების ქარხნულ მოდელს ეფუძნება. ამ მოდელის მიხედვით, მოსწავლე სკოლის პროდუქტია, საკლასო ოთახები კი ის ინსტრუმენტები - „დაზგები“, რომელთა გამოყენებითაც ეს სტანდარტული პროდუქტები იქმნება. სტანდარტული საკლასო ოთახები, ამ ოთახებში მერხების სტანდარტული განლაგება, სტანდარტულად შერჩეული პლაკატები, სკოლის ფოი-

ეები, სტანდარტული შესვენებების განრიგი და სტანდარტული მონოდებები სკოლის კედლებიდან მოსწავლეებს ნაკლებად აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავი სასკოლო საზოგადოების სრულყოფილი წევრებად, ინდივიდებად იგრძნონ.

გავლენა ქცევაზე

სკოლის გარემოს მონყობამ შესაძლოა გარკვეული არასასურველი ქცევები შეზღუდოს. ინფრასტრუქტურის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება მოსწავლეების უსაფრთხოების ზრდა არასწორი ქცევების (კორიდორებში სირბილი, ძალადობა, ვანდალიზმი და ა.შ.) პრევენციის გზით.

სასკოლო გარემომ შესაძლოა გავლენა იქონიოს სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, რაც თავისთავად კავშირშია პოზიტიური ქცევების განმტკიცებასთან. სკოლის ტერიტორიაზე ღირებულებების შემცველი სიმბოლური გზავნილები მოსწავლეებს შესაძლოა გარკვეული ქცევის ფორმებისთვის განაწყობდეს.

ფიზიკური გარემო შესაძლოა ხელს უწყობდეს ემოციური სტაბილურობის მიღწევას მოსწავლეებში. სასიამოვნო, თბილი და უსაფრთხო გარემო მოსწავლეებს სხვებისა და სკოლის ინფრასტრუქტურის მიმართ დადებითად განაწყობს.

გავლენა ჯანმრთელობაზე

სკოლაში არსებულ ფიზიკურ გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლეების ჯანმრთელობაზე. სწორად დაგეგმილი და გამოყენებული ინფრასტრუქტურის პირობებში, მოსწავლეები უფრო იშვიათად ავადდებიან, ნაკლებად გრძნობენ შეუძლოდ თავს და ნაკლებად ზიანდებიან სკოლაში ყოფნის დროს. არასასურველი გაცდენები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს აკადემიურ მიღწევებზე.

გავლენა სკოლის განვითარებასა და წარმატებაზე

სკოლის გარემოს კეთილგანწყობა მოსწავლეების მიმართ მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ სკოლადამთავრებულებს სკოლის განვითარებაში ჩართვა მოუნდეთ. სასკოლო გარემო მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის მასწავლებლებისთვის და სკოლის ადმინისტრაციისთვის - კომფორტული და სასიამოვნო სამუშაო

პირობების შექმნის თვალსაზრისით. ეს კი ხშირად განაპირობებს მასწავლებლების მზადყოფნას, მეტი დრო გაატარონ სკოლაში და მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ მეტი დრო დაუთმონ. ასევე, უკეთეს ფიზიკურ გარემოში მასწავლებლები შესაძლოა მეტი სიამოვნებით რჩებოდნენ სკოლაში პროფესიული განვითარებისთვის.

სასკოლო გარემოს მოწყობის ძირითადი პრინციპები

სისტემურობა

გარემოს მოწყობის ერთი რომელიმე ელემენტი ცალკე აღებულიად არ ახდენს გავლენას მოსწავლეზე. ყოველივე უნდა განვიხილოთ, როგორც დიდი სისტემის ნაწილი. მაგალითად, კორიდორში მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა უკავშირდება ღირებულებების დამკვიდრებას, მოსწავლეების ინდივიდუალიზმის აღიარებას, კორიდორების განათებას, სასწავლო გეგმას, მასწავლებლების დამოკიდებულებას მოსწავლეების ნამუშევრების მიმართ, მშობლების დაინტერესებას სასკოლო ცხოვრებით და სხვ. ამიტომ გარემოს მოწყობისას უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რას გამოიწვევს ჩვენი ქმედება სისტემის თვალსაზრისით.

მოსწავლეებზე გავლენა შესაძლოა უმცირეს დეტალსაც ჰქონდეს. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, რასთანაც მოსწავლეებს აქვთ ყოველდღიური შეხება, კედელზე ამოკანრული ნაწერიდან დაწყებული, სკოლის შენობაში ოთახების განლაგებით დამთავრებული. გარემოს გავლენა აქვს იმაზე, თუ როგორ მოძრაობენ მოსწავლეები და მასწავლებლები, რას ხედავენ ისინი, როგორ გრძნობენ თავს სკოლაში და რას აკეთებენ თავად. ხანდახან იმ ფაქტორსაც, რომ მოსწავლეები რალაცას ვერ ხედავენ, დიდი გავლენა აქვს მათზე. მაგალითად, როდესაც მოსწავლეები ვერ ხედავენ რაიმეს ისეთს, რაც სკოლის ისტორიაზე მიუთითებს, შესაძლოა, ამ ფაქტორმა ზოგიერთ მათგანში სკოლის მიმართ პატივისცემის გრძნობა შეამციროს. სწორედ ამის გამო, ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას სკოლაში უნდა დაფიქრდნენ, თუ რამდენად ექნება ამ გადანყვეტილებას გავლენა მოსწავლეებზე. მაგალითად, შეიძლება დავსვათ კითხვები: კორიდორების რემონტისას რა ფერის უნდა იყოს კედლები? ორივე კედელი ერთი ფერის იყოს თუ შესაძლებელია სხვადასხვა კედელი სხვადასხვა ფერის იყოს იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება კედლის მიღმა?

ინკლუზიურობა

მნიშვნელოვანია, რომ გარემოს მოწყობაში მოსწავლეებიც ჩაერთონ. ამით მათში სკოლის მიმართ კუთვნილების გრძნობას გავაჩენთ. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, რომ გარკვეული ცვლილებები შეიტანონ იმ სივრცეში, რომელშიც ცხოვრების საკმაოდ დიდ ნაწილს ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ მათგანს უჭირს, სასკოლო გარემოს ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი. ამის გარდა, სასკოლო გარემო აუცილებლად უნდა იყოს ადაპტირებული სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეებისთვის. ეს გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი სივრცეების ხელმისაწვდომობას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებისთვისაც გადაადგილება რთულია და რომლებიც, შესაძლოა, სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებს იყენებდნენ.

ღირებულებებზე ორიენტირება

სასკოლო ფიზიკური გარემო შედგება ყველა იმ სივრცისგან, რომელშიც მოსწავლე გარკვეულ დროს ატარებს. ყველა ეს სივრცე ერთგვარი ექსპლიციტური (გამოხატული) ან იმპლიციტური (შინაგანად არსებული) გზავნილის მატარებელია. მაგალითად, სამასწავლებლოში მასწავლებლების მაგიდების მდგომარეობა შესაძლოა გარკვეულ ინფორმაციას ატარებდეს მოსწავლისთვის. მისთვის ეს იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება იქცეოდნენ პროფესიულ გარემოში უფროსი ადამიანები. ეს გზავნილი იმპლიციტურია. თუმცა, არსებობს სპეციალურად შემუშავებული ფორმები იმისთვის, რომ მოსწავლეებს გარკვეული ღირებულებები გადასცენ. ღირებულებებზე ყურადღების გამახვილების ყველაზე მარტივი და შესაძლოა ზოგჯერ არცთუ წარმატებული ფორმაა ამ ღირებულებებთან დაკავშირებული ტექსტების სკოლის ტერიტორიაზე გამოკვრა. ბევრგან მინახავს, როგორ არის გაკრული პლაკატები, რომლებიც მოუწოდებს მოსწავლეს იყოს ბეჯითი, პატივი სცეს უფროსებს და სხვ. ამგვარი ხერხით მოწოდება ზოგ შემთხვევაში ამართლებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გარკვეული ფორმით ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რას ვანიჭებთ მნიშვნელობას, რა ფასდება ჩვენს სკოლაში, როგორი ქცევაა აღიარებული მისაბაძად და სხვ. ამის გაკეთება მრავალგვარად შეიძლება და ქვემოთ შემოგთავაზებთ რამდენიმე გზას, თუ როგორ უნდა შევხედოთ ამ საკითხებს.

გარემოზე ზრუნვა

სკოლაში მოსწავლეები თავს უკეთ გრძნობენ იქ, სადაც გარემო კომფორტულია. ეს გარემოს სისუფთავესაც გულისხმობს. ხშირად ნახავთ საკლასო ოთახში დაყრილ ქაღალდებს, მზესუმზირის ნაჭუჭებს, სანერი კალმების ნამტვრევებს და სხვ. ზოგიერთ სკოლაში პრობლემა ის არის, რომ კორიდორებში, საკლასო ოთახებში ან ეზოში ვერ ნახავთ ნაგვის ურნებს. ნაგვის ურნების არსებობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაგავთან ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბებას და თავისთავად ცხადია სისუფთავის დაცვასაც. ნაგავთან ურთიერთობის ერთი ნაწილია ასევე ნაგვის გაცალკეება. თბილისში - და შესაძლოა სხვაგანაც - არსებობს სპეციალური სამსახურები, რომლებიც მზად არიან უსასყიდლოდ მოემსახურონ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც მათ მეორად ქაღალდს მიანვიდის. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები რეგულარულად მოდიან და მიაქვთ მაკულატურა იმისთვის, რომ ქაღალდის გადამუშავებით ხის მასალა დაზოგონ. შესაძლოა, სკოლაში დაახარისხებინოს ნაგავი მოსწავლეებს და ქაღალდის ნაგავი სპეციალურად გამოყოფილ ყუთებში შეინახოს. ამგვარად, შესაძლებელი ხდება ბავშვებში გარემოსთან პასუხისმგებლობიანი მოქცევის ღირებულებების დამკვიდრება.

სასკოლო პატრიოტიზმი

ცნობილია, რომ მოსწავლეები უკეთესად გრძნობენ თავს, როდესაც სკოლის მიმართ დადებითი ემოციური განწყობები უჩნდებათ. თუ სკოლა მათთვის ძვირფასი ხდება, მაშინ ისინი სკოლის ქონებასაც მეტი პატივისცემით ეპყრობიან. ასევე, სკოლასთან საკუთარი თავის გაიგივებით, ისინი თავს სასკოლო საზოგადოების წევრებად მიიჩნევენ. ეს კი ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს არასასურველი ქცევის შედეგებზე მიუთითონ. როდესაც მოსწავლეები თავს სასკოლო საზოგადოების წევრებად თვლიან, მაშინ მეტია იმის ალბათობა, რომ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ისინი უფროსებთანაც ითანამშრომლებენ.

მოსწავლეების სკოლასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების ერთი გზა მათში ე.წ. სასკოლო პატრიოტიზმის განცდის გეგმაზომიერი განვითარებაა. სასკოლო პატრიოტიზმი ხშირად მაშინ ჩნდება, როდესაც სკოლა გარკვეული ნიშნით განსხვავდება სხვა სკოლებისგან. შესაძლოა, კონკრეტულ სკოლაში გარკვეული პროცესები

ძალიან ჰგავდეს სხვა, ახლომდებარე სკოლაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ გარკვეული სიმბოლოების გამოყენებით სკოლამ თავისი განსხვავებულობა მაინც გამოკვეთოს.

სასკოლო პატრიოტიზმი ვითარდება, როდესაც სკოლას სხვებისგან განსხვავებული სახელი, დევიზი, მისია, ლოგო აქვს. თუ ზოგიერთი ამ სიმბოლოს შემუშავებაში მოსწავლეებიც მონაწილეობენ, მაშინ სკოლის ამ გამოხატულებების მიმართ დადებითი დამოკიდებულება უფრო მეტ მოსწავლეს უჩნდება. სასკოლო სივრცეში ამ გამოხატულებების აქტიურად გამოფენა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა თავი განსაკუთრებული გარემოს წევრებად აღიქვან. გამოაკარით კორიდორებში სკოლის დევიზი, სკოლის მისია. შექმენით სკოლის ლოგო, რომელიც თქვენს მისიას გამოხატავს და შეეცადეთ, რომ ეს ლოგო სკოლაში სხვადასხვა სივრცეში ხშირად ხვდებოდეთ მოსწავლეებს.

სასკოლო პატრიოტიზმის გრძნობა განსაკუთრებით მძაფრდება ხოლმე სხვა სკოლასთან შეჯიბრებების დროს. თუ სკოლა ცდილობს, რომ რაც შეიძლება ბევრ სპორტულ შეჯიბრში, ოლიმპიადაში, კონკურსში მიიღოს მონაწილეობა, მაშინ შესაძლოა, რომ სკოლის გუნდებს საკუთარი სახელები და ემბლემები ჰქონდეთ.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების შეჯიბრებებში გამარჯვების აღიარება ისე მოხდეს, რომ ეს მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის იყოს ცნობილი. ხშირად ნახავთ, რომ სკოლის მიერ მოპოვებული თასები, სიგელები ან მოსწავლეების მიერ მოპოვებული ოლიმპიადებში გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატები დირექტორის კაბინეტშია მოთავსებული. თუ გამარჯვებების ამ სიმბოლოებს გამოსაჩენ ადგილას (კორიდორში, სკოლის ფოიეში და სხვ.) გამოაკრავთ ან დადგამთ, ამ სიმბოლოებს გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა ექნება. მოსწავლეები დაინახავენ, თუ რამდენად აღიარებს სკოლა მათ მიღწევებს და რამდენად ის ამ მიღწევებს საკუთარი მიღწევების ნაწილად მიიჩნევს.

თუ სკოლა მოახერხებს და შექმნის ერთგვარ სარეკლამო პროდუქციასაც, რომლის ყიდვაც მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და სკოლადამთავრებულებს შეეძლებათ, მაშინ სკოლის ლოგო, ემბლემები, დევიზი და მსგავსი სიმბოლური გამოხატულებები მეტ გამოყენებას შეიძენს. ზოგიერთი სკოლა, საქართველოში და საზღვარგარეთაც, მსგავსი სუვენირების გაყიდვიდან შემოსული

თანხის ნაწილს სკოლის განვითარებას ახმარს. ტიპური ნივთებია ხოლმე სკოლის ემბლემიანი პასტები, ბლოკნოტები, რვეულები, მაისურები, ჯემპრები, ქურთუკები. როდესაც მოსწავლე თავისი სკოლის გუნდის ემბლემიან ტანსაცმელს საკუთარი სურვილით იცვამს, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ის სკოლის თემის საზოგადოების წევრია. ის სკოლის მოსიარულე რეკლამაც ხდება და ამის გაცნობიერებით ცდილობს, რომ მის თემში დამკვიდრებული ღირებულებების შესაბამისად მოიქცეს, როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ტოლერანტობა

სკოლა, რომელიც პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებებს, წარმომავლობას, კულტურას, ტრადიციებს, ეს მის ფიზიკურ სივრცეშიც აისახება ხოლმე. თუ საკუთარი სივრცის მოწყობისას, სკოლა რომელიმე რელიგიის, ან რომელიმე ეთნიკური ჯგუფის უპირატესობაზე მიანიშნებს, ამ შემთხვევაში პრობლემაა სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების არსებობის ღირებულების აღიარებაა. ამიტომ საუკეთესო გამოსავალია, სკოლა იყოს ნეიტრალური სივრცე, სადაც რომელიმე ჯგუფის უპირატესობის ხაზგასმა არ ხდება.

სკოლის კორიდორებში, საკლასო ოთახებში და სხვა სივრცეებში თუ გამოფენილი იქნება ხელოვნების ნიმუშები, ან თუ იქნება მოსწავლეების ნამუშევრები, რომლებიც ყოველთვის არ მიეკუთვნებიან ხელოვნების ან მოსწავლეთა ნაშრომების ძირითადად გავრცელებულ ფორმებს, ეს ხელს შეუწყობს იმის აღიარებას, რომ თვითგამოხატვა შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ფორმით და ამ ფორმების პატივისცემა, მათი უპირობოდ და უკრიტიკოდ მიღების გარეშეც შესაძლებელია.

ტოლერანტული ქცევის მაგალითია, როდესაც სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულება გამოთქვან სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი მოსაზრებები ვითარების პატიოსან შეფასებაზე იყოს დაფუძნებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აზრის გამოთქმა მოსწავლეებისთვის საფრთხეს არ უკავშირდებოდეს და ამისთვის ისინი არ ისჯებოდნენ. სკოლის ფიზიკური თუ ვირტუალური სივრცეები შესაძლოა სწორედ ამგვარი მოსაზრებების განვითარებისთვის იყოს მშვენიერი საფუძველი. თუ მოსწავლეებს ექნებათ სასკოლო საინფორმაციო ბიულეტენი,

სასკოლო გაზეთი ან სასკოლო ბლოგი, სადაც სხვადასხვა მოსაზრების მქონე მოსწავლეებს შორის, სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის - დიალოგი გაიმართოს, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დემოკრატიული, უსაფრთხო, სასიამოვნო სასკოლო კლიმატის შექმნას, სადაც ქვეყნის მომავალი ლიდერები და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები ყალიბდებიან.

პიგიენა და ჯანმრთელობა

მოსწავლეების განათლების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად იშვიათად არიან ისინი ავად. ამასთან ერთად, სკოლა უნდა ამზადებდეს მოსწავლეებს მომავალი ჯანსაღი ცხოვრებისთვის. სკოლის ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობას შეუძლია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი ითამაშოს მოსწავლეების ჯანმრთელობის საკითხში.

მნიშვნელოვანია, რომ ის სივრცეები, სადაც მოსწავლეები დროს ატარებენ, კარგად ნიავედებოდეს. ეს ხელს უშლის გადამდები დაავადებების გავრცელებას. ჩახუთული ჰაერი ცუდად მოქმედებს მოსწავლეების გონებრივ მუშაობაზე. ამგვარ, გარემოში მოსწავლეებს ხშირად ეძინებათ, ან თავის ტკივილი ეწყებათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკლასო ოთახების კარგი განიავება. მას შემდეგ, რაც სკოლებში დაიწყო მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის დაყენება, განიავება პრობლემა გახდა მრავალი თვალსაზრისით. ბევრ სკოლაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებს სახელურები აქვს მომძვრალი მათი დაბალი ხარისხის გამო და ფანჯრები პრაქტიკულად აღარ იღება. ეს ოთახებსა და კორიდორებში სუფთა ჰაერის ნაკლებობას იწვევს.

სუფთა ჰაერი განსაკუთრებით პრობლემურია იმ სკოლებში, სადაც სწავლა ორ ცვლაში მიმდინარეობს. აქ ჰაერი განსაკუთრებით მძიმეა. გვიანი გაზაფხულისა და ადრეული შემოდგომის თვეებში პრობლემა განსაკუთრებით მძაფრია. ეპიდემიების, გრიპების ხშირი გავრცელება და მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილებზე შეუძლოდ ყოფნის თავიდან აცილება თუ გვინდა, სივრცეები მუდმივად უნდა განიავდეს.

დაავადებების გავრცელებას ზღუდავს ხელების ხშირი დაბანა. სამუხსროდ, სკოლების დიდ ნაწილში ტუალეტებში წყალი ცუდად მოდის. იშვიათია სკოლა, სადაც ხელმისაწვდომია საპონი. ასევე, იმ-

ვიათია ტუალეტები, სადაც მოსწავლის პირადულობა არის დაცული. მოსწავლეს სხვების თანდასწრებით უნევს ხშირად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ეს კი განსაკუთრებით პრობლემურია მორცხვი ბავშვებისთვის. ასევე, პრობლემურია ამგვარი ვითარება მოსწავლეებს შორის ძალადობის თვალსაზრისით. მოსწავლეები ხშირად ტუალეტებში ერთმანეთის დაცინვის მსხვერპლი ხდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ტუალეტებში არსებობდეს კარით დახურული ინდივიდუალური კაბინები, სადაც მოსწავლეს შეეძლება, განმარტოებით მიხედოს საკუთარ თავს.

სკოლის ტუალეტები პრობლემურია მრავალი თვალსაზრისით. ბევრ სკოლაში მძაფრად იგრძნობა ტუალეტიდან გამომავალი სუნნი. ტუალეტის სუნის არსებობა, თითქოს, სკოლის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. ბევრი სკოლის დირექტორისგან გაიგებთ, რომ მათ სკოლას ჰყავს დამლაგებელი, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, ხოლო სიბინძურეს მოსწავლეების არასწორი ქცევა იწვევს. ბავშვებს სჭირდებათ სწავლება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ტუალეტში. დამლაგებელი კი დღეში რამდენჯერმე უნდა ალაგებდეს ტუალეტს. სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია, ისევე, როგორც ეს მრავალ ორგანიზაციაშია, გამოაკრას ტუალეტებში დალაგების გრაფიკი, სადაც დამლაგებელი ხელს მოაწერს ხოლმე ყოველი დალაგების შემდეგ. ამ გრაფიკის მეშვეობით, დამლაგებლების პასუხისმგებლობა მატულობს.

ეს საკითხები მართალია გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ სასურველია, სკოლამ იზრუნოს სკოლის ტერიტორიაზე ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სხვა მხრივ, ასევე გაგვიჭირდება მოსწავლეებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი სკოლის შემდეგ.

სოციალიზაცია

სკოლაში მოსწავლე არა მხოლოდ უნარ-ჩვევებს ან ცოდნას იძენს. აქ ხდება მისი ჩამოყალიბება საზოგადოების წევრად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სკოლაში იმ გამოცდილების შეძენა შეეძლოს, რაც ცხოვრებაში განსხვავებულ ადამიანებთან ან ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობაში დაეხმარება. სწორედ ამის გამო, სკოლა განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს ისეთი გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლის აქტიური სოციალიზაცია ხდება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ბავშვობიდანვე ისწავლონ

ზრდასრულებთან ურთიერთობა. ეს მათ დაეხმარება მომავალში ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში. სკოლაში საკმაოდ ადვილია იმის შემჩნევა, თუ რამდენად ეფექტურია ინტერაქცია უფროსებსა და ბავშვებს შორის. კორიდორებში, სკოლის ბუფეტში თუ სასკოლო მოედნებზე, გაკვეთილებს შორის, ან სასკოლო დღის დამთავრების შემდეგ, სასარგებლოა, როდესაც ზრდასრულები ბავშვებს ესაუბრებიან მათ ინტერესებზე, მიღწევებზე, პრობლემებზე. მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს, როდესაც უფროსები არა მხოლოდ მათი აკადემიური წარმატებებით არიან დაინტერესებულნი.

როდესაც მოსწავლეებსა და ზრდასრულებს შორის საერთო ინტერესები ჩნდება, მაშინ კლუბებში თუ წრეებში მონაწილეობა უფრო საინტერესოა. სასკოლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების თანამონაწილეობისას, მოსწავლეები ხშირად და პროდუქტიულად ურთიერთობენ ზრდასრულებთან. ამ დროს სწავლობენ ისინი, თუ რას ნიშნავს კომპრომისზე წასვლა, კონსენსუსის მიღწევა, პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა და სხვ.

საქართველოს მრავალ სკოლაში მოსწავლეების დიდ ნაწილს საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის თანატოლთან აქვს კომუნიკაცია. ამას დიდ სკოლებში ამყარებს მოსწავლეების განაყოფებად დაყოფის ტრადიცია. ხშირია, როდესაც მოსწავლეს მხოლოდ თავის განაყოფში არსებულ ბავშვებთან აქვს შეხება. ამ პრობლემას ემატება მოსწავლის საკმაოდ შეზღუდული დრო თავისუფალი ინტერაქციისთვის. დასვენებები საკმაოდ მოკლეა. გაკვეთილების შემდეგ ზოგ სკოლაში მოსწავლეებს არ აქვთ სათანადო ადგილი, სადაც დარჩენას, შეკრებას, თამაშს ან უბრალოდ საუბარს შეძლებდნენ. ამ შემთხვევაში იზღუდება მოსწავლის შესაძლებლობა, რომ იპოვოს სასურველი მეგობარი, თანამოაზრე, საერთო ინტერესის მქონე ადამიანი. მოსწავლეების ნაწილს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც ახალი გადმოსულია სკოლაში, ხშირად უჭირს ინტეგრირება მანამდე ჩამოყალიბებულ ჯგუფებში. მოსწავლეების ჯგუფების იზოლირება ასევე ხელს უშლის მოსწავლეების მიერ სკოლის, როგორც ერთიანი საზოგადოების, წარმოდგენას.

გამოსავალი ერთის მხრივ, ხელოვნური ბარიერების გაუქმებამია, ხოლო, მეორეს მხრივ, ინფრასტრუქტურის იმგვარად მოწყობაში, რომ მოსწავლეს სხვებთან ურთიერთობა გაუადვილდეს. საკმაოდ მარტივია მაღალ კლასებში განაყოფების გაუქმება და იმის უზ-

რუნველყოფა, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა გაკვეთილი შერეულ ჯგუფში ჩაუტარდეთ. ამ მიდგომის დადებითი მხარე ისიც არის, რომ უმაღლესებში წასვლის შემდეგ მოსწავლეებს უადვილდებათ ისეთ გარემოში ორიენტირება, სადაც განაყოფების სისტემა არ მოქმედებს.

მეორე მხრივ, სკოლამ საკმაოდ მცირე ძალისხმევით შეიძლება სოციალიზაციისთვის ეფექტური სივრცეები შექმნას. მაგალითად, კორიდორებში სკამების, ან - სადაც სივრცე ამის შესაძლებლობას იძლევა - მაგიდების დადგმითაც, მოსწავლეებს უჩნდებათ სივრცე, სადაც გაკვეთილების შემდეგ დარჩენა და ერთობლივ პროექტზე მუშაობა, ან, უბრალოდ, ურთიერთობა შესაძლებელია. იმ შემთხვევაში, როდესაც გვეშინია, რომ სკამებს ან მაგიდებს მოსწავლეები გადაადგილებენ, დააზიანებენ ან სხვაგვარად არასათანადოდ გამოიყენებენ, შეგვიძლია, რომ გამოვიყენოთ მძიმე, მასიური ავეჯი ან ისინი ისე დავამონტაჟოთ, რომ მათი გადაადგილება შესაძლებელი არ იყოს.

სკამები და მაგიდები მნიშვნელოვანია სკოლის ეზოებშიც. სკოლის ეზოები და სკოლის ძირითადი შესასვლელის წინ არსებული ტერიტორია საქართველოში უმეტესად ცარიელი და გამოუყენებელია, მაშინ, როდესაც საუკეთესო ადგილია იმისთვის, რომ აქ მრავალი სკამი და მაგიდა განთავსდეს. ამ ადგილის ამგვარად გამოყენება ეფექტურია მრავალი მიზეზის გამო. ამ სკამებზე და მაგიდებზე ჩამოჯდომა შეიძლება სწავლის დაწყებამდე, გაკვეთილების შემდეგ ან დიდ დასვენებაზეც. თან ამ სივრცეებს ძირითადად კარგად აკონტროლებს სკოლის ადმინისტრაცია, რაც ამცირებს ამ ადგილებში მოსწავლეებს შორის ძალადობის შესაძლებლობას.

სასკოლო საზოგადოების ჩართვა

სკოლის განვითარებაზე დადებითი ეფექტი სკოლის ცხოვრებაში სკოლადამთავრებულების, მშობლების, სკოლის მეზობლად მცხოვრებთა ჩართვას შეიძლება ჰქონდეს. ამ ადამიანებს შეუძლიათ მრავალი რამ შესძინონ სკოლის ცხოვრებას. გარდა იმისა, რომ მათ სკოლის ფინანსურად დახმარება შეუძლიათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათ საკუთარი გამოცდილების გაზიარებით გაამდიდრონ სკოლა. იმისთვის, რომ ამ ადამიანების ჩართვა მოხდეს, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მათ მოტივირებაზე იზრუნოს.

ფიზიკური გარემოს მოწყობამ, შესაძლოა, გააქტიუროს სკოლის თემის ჩართვა სკოლის ცხოვრებაში. თემის წევრებს უნდა დავანახოთ, რომ სკოლა პატივს სცემს მათ წვლილს და ეს პატივისცემა გამოხატული იქნება სკოლაში იმგვარად, რომ მათი ღვაწლის შესახებ ყველას ეცოდინება. ამ მიზნით შესაძლებელია სკოლის განვითარებაში წვლილის მქონე ადამიანების სპეციალური დაფის გაკეთება, სადაც ჩამოთვლილი იქნება მათი სახელები და გვარები. მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის შემთხვევაში, შესაძლებელია, მათი სახელი დაერქვას სკოლის რომელიმე ნაწილს: ბიბლიოთეკას, დარბაზს, ბუფეტს, საკლასო ოთახს და ა.შ. ასევე, დასავლეთში გავრცელებულია პრაქტიკა, როდესაც შემომწირველებს აძლევენ შესაძლებლობას, რომ საკუთარი ფილოსოფიის შემცველი ფრაზები განათავსონ სკოლის ტერიტორიაზე: მაგალითად, ბეტონის ფილებზე, სკოლის ეზოში მდგარ სკამებზე, სკოლის კორიდორებში და სხვ. სკოლადამთავრებულების მოტივირებისთვის, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ეფექტური ხერხი იყოს ყოველ წელს სკოლადამთავრებულთა ფოტოს გადაღება და სკოლის კორიდორში ან შესასვლელში განთავსება. შესაძლებელია ფოტო დამრიგებლებთან ან დამამთავრებელი კლასის მასწავლებლებთან ერთად იყოს გადაღებული. ეს ფოტოები, რომლებიც სკოლის კედლებს წელ-წელა ავსებს, მოსწავლეებთან ერთად სკოლის ისტორიის ნაწილი ხდება.

ეფექტურია სკოლის წელიწდეულების გამოცემის პრაქტიკა. მთელი წლის განმავლობაში, იმ პერიოდში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისგან შემდგარი ჯგუფი აგროვებს მასალებს დამამთავრებელი კლასისა და სკოლის შესახებ, რასაც შემდეგ წიგნის სახით აკინძავს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასევე ინტერნეტვერსიის მომზადება, სადაც განთავსებული იქნება კონკრეტულ წელიწადს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა სია და მათი ფოტოები. ამგვარი მიდგომები ხშირად ეხმარება სკოლას, რომ სკოლადამთავრებულების ინტერესი სკოლის მიმართ მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ძალადობა

სასკოლო ინფრასტრუქტურას შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს მოსწავლეებს შორის ძალადობის შემცირებაზე. სწორად დაგეგმილ სკოლის ტერიტორიაზე ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ ძალადობა შეუმჩნეველი დარჩეს. ასევე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ გარკვეული თვალსაზრისით არასათანადოდ მონყობილი სკოლა, შესაძლოა, თავად გახდეს ძალადობის საწყისი წყარო.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არ იყოს ბნელი, გაუნათებელი და მიგდებული ადგილები. განსაკუთრებით პრობლემურია მოსწავლეების ტუალეტები და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ამ სივრცეზე გარკვეული მონიტორინგი ხდებოდეს. სასურველია, რომ დაბალი და მაღალი კლასების ტუალეტები განცალკევებული იყოს.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ არის მოწყობილი სკოლა. თუ სკოლაში ჩნდება ადგილი, სადაც ხშირად იკრიბებიან მოსწავლეები ერთმანეთთან ურთიერთობების გასარკვევად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ზომები მიიღოს ამ ადგილის შეცვლისთვის, ან ამ ადგილის მონიტორინგისთვის.

როდესაც მოსწავლეების დიდი მასა ვიწრო კიბეებზე ერთდროულად მოძრაობს, ან როდესაც მოსწავლეების დიდი რაოდენობა ერთდროულად ცდილობს ბუფეტის შეზღუდული რესურსების ათვისებას, ან როდესაც დასვენებებზე ტუალეტები დაკავებულია, იზრდება იმის ალბათობა, რომ მოსწავლეებში არაჯანსაღი კონკურენცია გაიზრდება ამ სივრცეების დაკავების მიზნით.

პრობლემურია სპორტული მოედნების გამოყენების საკითხი, კომპიუტერული ოთახების რესურსებზე ხელმისაწვდომობა და კორიდორებში მოძრაობის პრინციპები. ზოგიერთი მოსწავლე ცდილობს, სხვების ხარჯზე მოიპოვოს უპირატესი უფლება შეზღუდულ რესურსებზე, რაც კონფლიქტებს იწვევს. გარდა იმისა, რომ სკოლა აქტიურად უნდა ასწავლიდეს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, სკოლამ შესაძლოა ასევე საკუთარი ფიზიკური გარემოს გამოყენების ეფექტური დაგეგმვის მექანიზმებიც გამოიყენოს. მა-

გალითად, გაკვეთილების ცხრილის ვარირება სასარგებლოა იმისთვის, რომ დიდი დასვენებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს სხვადასხვა დროს ჰქონდეთ. ამან შესაძლოა შეამციროს სხვადასხვა სივრცის დატვირთვა და შეამციროს კონკურენცია, რაც ზოგ შემთხვევაში კონფლიქტებს იწვევს.

თუ სკოლაში პრობლემური სივრცეები არსებობს, შესაძლებელია სამეთვალყურეო კამერების გამოყენებაც. თუმცა, ამ კამერების გამოყენება სულაც არ არის ეფექტური გრძელვადიან პერსპექტივაში: კამერები ნაკლებად ასწავლის მოსწავლეებს იმას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ და უბიძგებს მათ, კონფლიქტი ისეთ ადგილებში გადაიტანონ, სადაც სკოლის წარმომადგენლები ვერ დაინახავენ.

სკოლის ინფრასტრუქტურა იმისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ, რომ ძალადობის საწინააღმდეგო პოზიტიური გზავნილები გავუგზავნოთ მოსწავლეებს. ცნობილია, რომ თვითდამკვიდრების პრობლემა მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეების მიდრეკილებას ძალადობისკენ. თუ სკოლის ტერიტორიაზე იქნება მოსწავლეების აღიარების მრავალი ნიმუში შესაძლოა ეს პოზიტიური განმტკიცება და თვითდამკვიდრების პოზიტიური გზა რეალური ალტერნატივა გახდეს მოსწავლეებისთვის.

ბუნებრივი კატაკლიზმები

ნებისმიერი სკოლა საქართველოში მზად უნდა იყოს მიწისძვრით გამოწვეული შესაძლო ნგრევისთვის. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ პერიოდულად შეამოწმოს საკუთარი ინფრასტრუქტურა და დროულად ეცადოს აღმოფხვრას ის ხარვეზები, რამაც შესაძლოა მიწისძვრის დროს კრიტიკული პრობლემები გამოიწვიოს. კედლებზე, ქერზე, იატაკზე, კიბეებზე არსებული ბზარები მნიშვნელოვანი ინდიკატორებია იმისთვის, რომ სკოლაში ყოფნა მიწისძვრის დროს შესაძლოა უსაფრთხო არ იყოს. ზოგიერთ სკოლაში ასევე მნიშვნელოვანია წყალდიდობებთან ან მენყერებთან დაკავშირებული ზომების მიღებაც.

სკოლამ უნდა ასწავლოს მოსწავლეებსა და საკუთარ პერსონალს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის შემთხვევაში. მიწისძვრის დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ, როგორ დატოვონ შენობა, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც შენობის და-

ტოვება საფრთხესთან არის დაკავშირებული (მაგ. კიბეების გამოყენება და სხვ), როგორ უნდა მოიხმარონ სკოლის ინვენტარი (მაგალითად მერხები) თავის დასაცავად.

სკოლამ წლის განმავლობაში აუცილებლად უნდა ჩაატაროს ვარჯიში კატაკლიზმებთან დაკავშირებით, სადაც რეალური ვითარების სიმულირება მოხდება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებობდეს ხმოვანი სიგნალი, რომელიც სკოლის მთელ შემადგენლობას საფრთხის შესახებ აცნობებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მრავალ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყოს მოკლედ, გასაგებად და შესაძლებლობის ფარგლებში ვიზუალურად გამოსატყუი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე ან პერსონალის წარმომადგენელი კრიტიკულ სიტუაციაში.

ხანძარი

ხანძარსანიანააღდეგო ზომები მრავალ მოქმედებას გულისხმობს. საჭიროა, რომ სკოლა ყურადღებას აქცევდეს, თუ რა მასალებს ინახავს თავის ტერიტორიაზე. ხშირად, პრობლემურია სარდაფებისა და სხვენის მდგომარეობა, სადაც, ნაგავი გროვდება და ზოგჯერ გაუმართავია ელექტროგაყვანილობა. ამასთან ერთად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში შესაძლოა ინახებოდეს ადვილად აალებადი ქიმიკატები ან გაზის ბალონები.

სკოლის ადმინისტრაციამ რეგულარულად უნდა ჩაატაროს სკოლის დათვალერება ხანძარსანიანაღმდეგო თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ეს შემონმებები ფორმალიზებული იყოს და არსებობდეს ამ შემონმებების ანგარიშები. ამ შემთხვევაში, შემონმების ჩამტარებლის პასუხისმგებლობა მაღლდება. მან იცის, რის შემონმებას ელის მისგან ადმინისტრაცია.

სკოლას, ევაკუაციის გეგმა უნდა ჰქონდეს. მაგრამ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ეს გეგმა გასაგები იყოს მოსწავლეებისთვის და სასკოლო პერსონალისთვის. სწორედ ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში ვარჯიშები ჩატარდეს.

ევაკუაციის გეგმის გარდა, სკოლაში შენობის დატოვების რამდენიმე გზა უნდა არსებობდეს. აეფექტური ევაკუაციისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის კიბეები თავისუფალი იყოს ბარიერებისგან.

ხანძრის გავრცელებას ხელს უშლის კორიდორებს შორის დაკეტილი კარის არსებობა.

საგზაო უსაფრთხოება

სკოლების უმეტესობა გზებთან ახლოს მდებარეობს. საჭირო ხდება მოსწავლეებისთვის საგზაო უსაფრთხოების სწავლება. ამავდროულად, სკოლები შესაძლოა ზრუნავდნენ ქუჩაში იმგვარი ბარიერების დაყენებაზე, რომლებიც ხელს შეუშლის მოსწავლეებს ქუჩაზე გადაირბინონ. მრავალ ქვეყანაში, მშობლებს შორის მოხალისეებს არჩევენ, ისინი საგზაო მოძრაობას არეგულირებენ, რათა მოსწავლეებს გაკვეთილების დასრულების შემდეგ ქუჩაზე უსაფრთხოდ გადასვლის შესაძლებლობა მიეცეს.

სკოლის უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით კი, უმცროსკლასელების უსაფრთხოებისთვის, მნიშვნელოვანია, სკოლის ეზო იყოს შემოღობილი. ეს მინიმუმამდე დაიყვანს მოსწავლეების არადაგეგმილ მოძრაობას სკოლის ტერიტორიიდან ქუჩისკენ.

ძირითადი სივრცეების მოწყობა

საკლასო ოთახები

დღის უმეტეს ნაწილს მოსწავლეები საკლასო ოთახებში ატარებენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ კლასებში ჯანსაღი, კომფორტული და პოზიტიური ქცევების წამახალისებელი გარემო იყოს შექმნილი. ცხადია, გარემოში, პირველ რიგში, იგულისხმება სოციალური გარემო, ურთიერთობები სხვა ბავშვებთან, მასწავლებლებთან, სტუმრებთან. თუმცა, გარემოს მნიშვნელოვანი შემადგენელია მისი ფიზიკური ნაწილიც.

სამწუხაროდ, საქართველოს მრავალ სკოლაში საკლასო ოთახებში საკმაოდ ღარიბი ფიზიკური გარემოა. დაწყებით საფეხურზე შედარებით ხშირად ვხვდებით ხოლმე საკლასო ოთახებში მოსწავლეების ნამუშევრებით გამდიდრებულ თბილ სივრცეებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე კედლები ხშირად ცარიელია. ზოგიერთ სკოლაში საკლასო ოთახებში კედლებზე ჩამოკიდებული თვასსაჩინოებები მოსწავლეების შინაგან ინტერესს ნაკლებად შეესაბამება. ეს ზოგჯერ არის რაიმე სტანდარტული პლაკატი ან ფოტო-რეპროდუქცია. ხშირია საკლასო ოთახებში ლოზუნგები, რომლებიც დროთა განმავლობაში თავის მნიშვნელობას კარგავენ.

საკლასო ოთახების კედლები მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს სკოლაში დამკვიდრებული ღირებულებების შესახებ. საკლასო ოთახში, სადაც თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ის, თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს კლასის მიმართ, მოსწავლეები უკეთესად მოქცევას ცდილობენ. იქ, სადაც საკლასო ოთახში მერხები თავისუფლად არის განლაგებული, ან იქ, სადაც მერხები ისე დგას, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთისგან ფიზიკურად არ არიან განცალკევებულნი ან იერარქიულად დაქვემდებარებულები, ვიცით, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთის მოსაზრებებს პატივისცემით ეპყრობიან.

ეფექტურია, როდესაც საკლასო ოთახის კედლებს მოსწავლეები საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად იყენებენ. ეს შეიძლება კედლებზე ქალაქების გაკვრითაც მოხდეს. თუმცა, იმ სკოლებში, სადაც ამის საშუალება არსებობს, ასევე შესაძლებელია კედლების სპეციალური ხსნარით (საღებავისმაგვარი მასალით) დამუშავება, რომელზეც მარკერებით შეგვიძლია ვწეროთ. როდესაც სახატავი

და სანერი სივრცე იზრდება, მოსწავლეებს ხშირად იმის სურვილი უჩნდებათ, რომ ახალ იდეებზე გრძელვადიანად იმუშაონ. სანერად დიდი სივრცეების არსებობა საშუალებას იძლევა, რომ ერთ გაკვეთილზე წარმოშობილი იდეა, ნაშლის გარეშე, შემდეგ გაკვეთილზე, ან შემდეგ დღეს განვითარდეს.

საკლასო ოთახის სივრცე მორგებული უნდა იყოს მოსწავლეების ასაკს. მაშინ, როდესაც მოსწავლეები ჯერ პატარები არიან, მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ მერხები და სკამები, არამედ სხვა ავეჯიც და ზოგადად კლასის მოწყობაც მათი შესაბამისი იყოს. პატარები კომფორტულად გრძნობენ თავს იატაკზე ჯდომისას, როდესაც შესაძლებლობა აქვთ, ზოგიერთ გაკვეთილზე ნოხზე ან ფარდაზე დასხდნენ და ერთმანეთს ან მასწავლებელს მოუსმინონ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტანსაცმლის ან ჩანთების საკიდები იმ სიმაღლეზე იყოს განლაგებული, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად ახერხებდნენ საკუთარი ნივთების მოვლას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების სიმაღლეს შეესაბამებოდეს იმ თაროების სიმაღლე, სადაც შესაძლოა სხვადასხვა ნივთი ან ნივთები იყოს განლაგებული.

ვენტილაცია

საკლასო ოთახებში საკმარისი ვენტილაციის საჭიროებაზე უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ აქ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ განიავებასთან დაკავშირებით მითითებები ყველა მასწავლებელს უნდა მიეცეს. ასევე, ვენტილაციის მნიშვნელობის შესახებ, სასურველია, რომ მშობლებსაც განემარტოთ. ახალი მასწავლებლების სკოლაში მიღების დროს მათ უნდა განემარტოთ, რომ სკოლაში მოქმედებს გარკვეული წესები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იზრუნოს მასწავლებელმა საკლასო ოთახების განიავებაზე.

განათება

საკლასო ოთახში არა მხოლოდ საკმარისი განათება მნიშვნელოვანია, არამედ ისიც, რომ განათება ხელს არ უშლიდეს სწავლის პროცესს. ფარდები ან მათი საკიდები ადვილად ზიანდება. საკლასო ოთახების დაცვა პირდაპირი მზისგან მნიშვნელოვანია ჯანსაღი გარემოს არსებობისთვის. საკლასო ოთახებში დღის განათება უნდა ჭარბობდეს ხელოვნურ განათებას. თუმცა აუცილებელია პირდაპირი მზის სხივებით გამონვეული დისკომფორტის შემცირება.

ფარდებზე უკეთესი გამოსავალია ფანჯრების თავზე, გარედან სპეციალური, მარტივი მზის დასაბლოკი მანრდილებების გაკეთება. მათი მეშვეობით, შუადღის მწველი მზე ნაკლებად შეაწუხებს მოსწავლეებს. ამავდროულად, ისინი არ საჭიროებს ხშირ გამოცვლას და გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მნიშვნელოვანია, რომ საკლასო ოთახების კედლები იმგვარი მასალით იყოს დაფარული, რაც სინათლის შემანუხებელ არეკვლას შეამცირებს. ეს ეხება ასევე იმას, თუ რა კიდეა საკლასო ოთახების კედლებზე. თუ კედლებზე შუშაში ჩასმული რეპროდუქციები, ან პლაკატები კიდეა და ოთახის განათება პირდაპირი მზის შუქით ხდება, ანარეკლმა შესაძლოა სწავლას ხელი შეუშალოს.

საკლასო ოთახების უკეთეს განათებაზე მოქმედებს ისიც, თუ როგორია ფანჯრები. ფანჯრები რომ მუდმივად სუფთა უნდა იყოს, ალბათ თავისთავად ცხადია. კომფორტული და სასიამოვნო განათების უზრუნველსაყოფად კი შესაძლებელია ფანჯრების სპეციალური საღებავებით მოხატვაც. ამას ბევრი სკოლა აკეთებს საქართველოში, მაგრამ უმეტესად დაწყებით კლასებში. მოხატვა ხშირად ახალი წლის არდადეგების წინ ხდება ხოლმე. საბაზო და საშუალო საფეხურზეც და არა მხოლოდ ზამთრის არდადეგების წინ, მოსწავლეებს ფანჯრების მოხატვა საკმაოდ ეხალისებათ.

კარები

საქართველოს ბევრ სკოლაში საკლასო ოთახების კარები საკმაოდ ცუდ დღეშია. ბევრი მათგანი შელანძლულია მათი არასწორად გამოყენების გამო. მოსწავლეები ხშირად უხეშად ეპყრობიან მათ. სასურველია, რომ კარებს ჰქონდეს სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც შეამცირებს მათი გაჯახუნების ალბათობას. ასევე შესაძლებელია, სკოლამ შემოიღოს წესად, რომ შესვენებებისას კლასის კარი ღიად რჩებოდეს. იმისთვის, რომ კარის ხშირი გაღება არ იყოს საჭირო და იმისთვის, რომ ვიცოდეთ თუ რა ხდება კარს მიღმა, კარგის თუ, კარის ნაწილი შუშისაა. მოსწავლე ადვილად მიაგნებს მასწავლებელს, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია კორიდორში გავლისას ნახავს, რომელი ოთახია დაკავებული.

სკოლის დიზაინის შემუშავებისას ასევე შესაძლებელია გავითვალისწინოთ, რომ საკლასო ოთახების კარები ერთმანეთის გვერდით

და ზუსტად ერთმანეთის პირისპირ არ იყოს განლაგებული. ამგვარი განლაგება ხელს უწყობს საკლასო ოთახებს შორის ხმაურის ადვილად გავრცელებას. კარი უფრო უკეთესად ატარებს ხმას, ვიდრე კედელი. შესაბამისად, თუ მოსწავლეებს ფილმს ვაჩვენებთ, სასურველია, რომ გვერდით ოთახში ფილმის ხმა ხელს არ უშლიდეს გაკვეთილის ჩატარებას.

უსაფრთხოებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკლასო ოთახის კარი კორიდორის მხარეს იღებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების ევაკუაციაა საჭირო, შესაძლოა, ბავშვები არაორგანიზებულად მიაწყდნენ კარს. როდესაც კარი შიგნით იღება, მაშინ მისი გაღება ძნელდება. ეს პრობლემა ეხება ასევე სკოლის ძირითადი შემოსასვლელის, სპორტული დარბაზის, ბუფეტის, სააქტო დარბაზისა და კორიდორების ჩამკეტ კარებსაც.

წიგნები

მოსწავლეებს კითხვის მიმართ ინტერესი რომ გაუჩნდეს, მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახებში იყოს წიგნები. ეს არ არის რთული. შესაძლოა, მოსწავლეებმა თავად მოიტანონ სახლიდან რამდენიმე წიგნი. სასურველია, სკოლაში ჩატარდეს წიგნების შეგროვების ღონისძიებები, სადაც სკოლის თემი, სკოლადამთავრებულები და სკოლის მეგობრები ამა თუ იმ კლასს საკლასო ბიბლიოთეკებს შექმნაში დაემხმარებიან.

კლასში არსებული წიგნები სწორედ ბავშვების მიერ და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე იყოს შერჩეული. ხანდახან უფროსები ცდილობენ, ბავშვებს მათი ასაკის შეუსაბამო ლიტერატურა შესთავაზონ. მოსწავლეების ნაწილს წიგნის გარეგნობა ან მოცულობა აშინებს და მათ წაკითხვაზე უარს ამბობს. მასწავლებელმა მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს ეს წიგნები. სასარგებლოა, რომ გაკვეთილების ნაწილი მხოლოდ კითხვას დაეთმოს. ასეთ დროს ბავშვები თავად ირჩევენ კლასის ბიბლიოთეკაში არსებულ რომელიმე წიგნს და გაკვეთილის განმავლობაში კითხულობენ მას. შესაძლებელია წიგნების გატანა სახლში შაბათ-კვირას და არდადეგებზე.

ტექნოლოგიები

კომპიუტერული დარბაზები

კომპიუტერული დარბაზები სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა წარმატებით გამოიყენება. მინახავს სკოლები, სადაც გაკვეთილების შემდეგ კომპიუტერების ოთახში პრაქტიკულად არავინ არის ხოლმე. ეს ისეთი სკოლებია, სადაც კომპიუტერების დაზიანებისგან დაცვაზე მეტს ფიქრობენ, ვიდრე იმაზე, რომ მოსწავლეებს დრო მისცენ კომპიუტერების გამოსაყენებლად. მოსწავლეების უმეტესობას საქართველოში ჯერ კიდევ არ აქვს კომპიუტერი სახლში. სკოლის კომპიუტერი, ასეთ შემთხვევაში, მოსწავლისთვის შესაძლოა ამ ტექნოლოგიის გამოყენების ერთადერთი საშუალება იყოს. მნიშვნელოვანია, სკოლამ იზრუნოს იმაზე, რომ საკუთარი რესურსები მაქსიმალურად მოახმაროს მოსწავლეებს. ამისთვის სასურველია, რომ სკოლამ გაკვეთილების შემდეგ კომპიუტერული ოთახი ღია დატოვოს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მისი თავისუფალი გამოყენება შეძლონ.

ცხადია, რომ კომპიუტერებს სათანადო მოვლა სჭირდება, რადგან მათი არასწორი გამოყენება გაუთვალისწინებელ და დიდ ხარჯებს შეიძლება დაუკავშირდეს. ამიტომ, იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ გაკვეთილების შემდეგ კომპიუტერების გამოყენება, კომპიუტერული დარბაზების მონიტორინგიც აუცილებლად ხდება. საუკეთესო გზაა, როდესაც კომპიუტერულ დარბაზში თანამშრომელი, საუკეთესო შემთხვევაში, სკოლის ინფორმაციული მენეჯერი ან კომუნიკაციური ტექნოლოგიების მასწავლებელი იმყოფება. ასეთ შემთხვევაში, ამ ადამიანს გარკვეული რჩევების მიცემაც შეუძლია მოსწავლეებისთვის.

ბევრ სკოლაში პრობლემა კომპიუტერების სიმცირეა. ეს კი შესაძლოა არაჯანსაღ კონკურენციას ინვესტებს შეზღუდული რესურსების მოხმარებაზე. თუ სკოლას რამდენიმე კომპიუტერული დარბაზის საშუალება აქვს, შესაძლებელია, რომ დარბაზები ასაკობრივი ნიშნით დაიყოს. ერთი დარბაზი გამოყოფილი იყოს დაწყებითი საფეხურის, მეორე - საბაზო და მესამე - საშუალო საფეხურისთვის. ცხადია, ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ ერთეულ სკოლებს აქვთ. ამიტომ გამოსავალი კომპიუტერული დარბაზების გამოყენების გრაფიკის დანესება შეიძლება იყოს, როდესაც კვირის გარკვეულ

დღეებში ან დღის სხვადასხვა საათში დარბაზი გარკვეული საფეხურის მოსწავლეების მიერ გამოიყენება.

კომპიუტერული დარბაზი, ბიბლიოთეკა და მსგავსი სივრცეები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სახლში მაშინვე წასვლა არ უნდათ. ზოგი განსაკუთრებულად დაინტერესებულია ტექნოლოგიების შესწავლით. ზოგს კი სახლში იმაზე უარესი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური გარემო ელის, ვიდრე სკოლაში. შესაძლებელია, რომ სკოლამ ეს სივრცეები მოსწავლეებს შესთავაზოს, როგორც გაკვეთილების შემდგომი სერვისის დაგეგმილი ნაწილი. ეს დაეხმარებოდა მშობლებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, გაკვეთილების დამთავრებისთანავე მოაკითხონ საკუთარ შვილებს. მშობლებს ეცოდინებოდათ, რომ მათი შვილი რჩება კომპიუტერულ დარბაზში, რომელსაც მუდმივად ადევნებს თვალყურს ზრდასრული.

კომპიუტერულ დარბაზებში ერთ-ერთი პრობლემური ნაწილია მოსწავლეების კონკურენცია მათ შორის - ვისაც კომპიუტერების სათამაშოდ გამოიყენება სურს და მათ შორის - ვისაც კომპიუტერი აკადემიური მიზნის მისაღწევად სჭირდება. სკოლა უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ სწორედ მეორე ჯგუფს მისცეს უპირატესობა, ხოლო პირველი ჯგუფი განაწყოს, რომ კომპიუტერები აკადემიური მიზნებისთვის გამოიყენოს. თუ სკოლას აქვს თამაშების სანინააღმდეგო პოლიტიკა, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ კომპიუტერები ისე იყოს განლაგებული, რომ ადვილად ჩანდეს, თუ ვინ რითია დაკავებული კომპიუტერულ დარბაზში. ყველაზე ეფექტური ამ მხრივ, კომპიუტერების კედლების გასწვრივ წრიულად განლაგებაა. ამგვარი განლაგება ასევე ინტერნეტის შინაარსის მონიტორინგის უკეთეს საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები კომპიუტერებს ხშირად იყენებენ ჯგუფურად. ხანდახან ისინი პროექტზე, რაიმე საინტერესო ინფორმაციის მოძიებაზე ან გადაცემაზე ერთად მუშაობენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ რამდენადაც შესაძლებელია, სკამების რაოდენობა კომპიუტერულ დარბაზში აღემატებოდეს კომპიუტერების რაოდენობას.

შეძლებულ სკოლებში კომპიუტერული ოთახებისთვის ხშირად ყიდულობენ გორგოლაჭებიან საოფისე სკამებს. ასეთი სკამები საკმაოდ პრობლემურია. მოსწავლეები სიამოვნებით დაგორავენ კომპიუტერული დარბაზის მთელ სივრცეში, რაც, ხმაურის გარდა, შეჯა-

ხებებს იწვევს. გორგოლაჭები ადვილად ფუჭდება. ამგვარი სკამის ფეხები კი ადვილად ისვრება იმის გამო, რომ მათზე მოსწავლეები ფეხებს აწყობენ. ამიტომ, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ უკეთესია, თუ კომპიუტერულ ოთახში ჩვეულებრივ, გამძლე სკამებს განვათავსებთ.

ინტერნეტი

ინტერნეტის არსებობა სკოლაში მნიშვნელოვნად ცვლის გარემოს. მაშინ, როდესაც მობილური ტექნოლოგიები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება და ამ ტექნოლოგიების მეშვეობით ინტერნეტში შესვლა მარტივია, მოსწავლეები ხშირად იწყებენ მის გამოყენებას სწავლის პროცესში და პროცესის პარალელურად. ეს, ერთი მხრივ, მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მნიშვნელოვნად პოზიტიური გავლენის მომტანიც შეიძლება იყოს.

თუ სკოლა მის ტერიტორიაზე უკაბელო ინტერნეტის ქსელის გაკეთებას გადაწყვეტს და მოსწავლეებსაც ჩართავს მასში, ერთ-ერთი პრობლემა რაც აუცილებლად მოჰყვება ამგვარ გადაწყვეტას, იქნება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი შინაარსის რეგულირება. შესაძლოა, სასკოლო საინტერნეტო ქსელი გარკვეულ ტიპის საიტებს ფილტრავდეს, მაგრამ ეს მაინც არასოდეს არის საკმარისი. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, რომ სისტემის გვერდის ავლით მაინც გავიდნენ არასასურველ შინაარსზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სკოლა საკუთარი საინტერნეტო ქსელის მონიტორინგს ახდენდეს. თუმცა, მეორე მხრივ, ცხადია, რომ მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სწორად ქცევა, საკუთარი თავის დაცვა არასასურველი შინაარსისგან.

ერთი პრობლემა, რაც მსგავს შესაძლებლობას მოაქვს, ისიც არის, რომ მოსწავლეები გაკვეთილებზე ახერხებენ მასწავლებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამონმებას და ალტერნატიული ინფორმაციის შეთავაზებას საკუთარი კლასელებისთვის ან მასწავლებლისთვის. მასწავლებლებისთვის და ზოგჯერ სკოლის ადმინისტრაციისთვისაც ეს ყოველთვის მისაღები არ არის. მოსწავლეებისთვის საინფორმაციო გარემოს შექმნა სკოლის შიგნით აუცილებელია, რადგან ეს სწორედ ის გარემოა, რაც მათ სკოლის გარეთ ხვდებათ და რაც აუცილებლად იქნება სკოლის დამთავრების შემდგომი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ, გამოსავალი, ალბათ, მასწავლებლების მიერ ამ შესაძლებლობების მაქსიმალური

გამოყენებაა. შესაძლოა, მასწავლებლები თავად ზრუნავდნენ მოსწავლეების თანამონაწილეობის გაზრდაზე, ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით.

ინტერნეტი სკოლის ფიზიკური შეზღუდვების ნაწილს ანეიტრალებს. მაშინ, როდესაც სკოლას არ აქვს გარკვეული შესაძლებლობები ფიზიკური ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ვირტუალური სივრცის გამოყენებამ შესაძლოა ამ ნაკლებობის კომპენსირება შეძლოს. სკოლის ვებ-გვერდები სკოლის ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთგვარი გაგრძელებაა. ამ სივრცის დაგეგმვაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე - ფიზიკური სივრცის. იგულისხმება არა ის, რომ ვირტუალური სივრცე იყოს მიმსგავსებული ფიზიკურთან საკუთარი კონფიგურაციის თვალსაზრისით; მნიშვნელოვანია, რომ ვირტუალური სივრცე ხელს უწყობდეს იმავე ღირებულებებისა და იმავე გზავნილების გადაცემას, რასაც ფიზიკურ სივრცეების მეშვეობით ვცდილობთ.

ვირტუალური სივრცე ხშირად უფრო იაფი ალტერნატივაა გარკვეული თვალსაზრისით ღირებულებების გადასაცემად, ვიდრე ფიზიკური სივრცე. მაგალითად, თუ ფიზიკურ სივრცეში საპატიო დაფის გაკეთება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, სკოლის ვებ-საიტზე იმავე ინფორმაციის განთავსება პრაქტიკულად უფასოდ არის შესაძლებელი. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვირტუალური სივრცე ავტომატურად ჩაანაცვლებს ფიზიკური სივრცეს, თუ იქ ინფორმაციას განვათავსებთ.

ადმინისტრაციული სივრცეები

მოსწავლეებს და მშობლებს უწევთ ხოლმე სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა. ეს ხშირად გარკვეული არასასიამოვნო საჭიროებებით არის განპირობებული, მაგრამ შესაძლოა სკოლაში ადმინისტრაციასთან გარკვეული შეთანხმებების მისაღწევად ან კითხვების დასასმელად ბავშვები ასევე ხშირად ურთიერთობდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული სივრცეები იმგვარად იყოს მოწყობილი, რომ მოსწავლეებს არ ეშინოდეთ მათი გამოყენება.

ღირეექტორის კაბინეტი ერთ-ერთი სივრცეა, სადაც მოსწავლეებს უწევთ შესვლა. მნიშვნელოვანია, რომ ღირეექტორი საკუთარი ავტორიტეტის დამკვიდრებისთვის არ იყენებდეს ხელოვნურ მეთოდებს.

დებს და ხელოვნურად შექმნილ იერარქიის გამომხატველ სიმბოლოებს. ის, რომ სკოლის დირექტორს მრავალი მნიშვნელოვანი გადანიშნულებების მიღების უფლება აქვს, უკვე საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მისი ძალაუფლება აღიარებული იყოს. თუ დირექტორი მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების პატივისცემასაც გამოხატავს, ეს მხოლოდ დადებითად იმოქმედებს მოსწავლეების პასუხისმგებლიან პიროვნებად აღზრდაზე.

სკოლის დირექტორები მათ ოთახში შესულ სტუმრებს, მათ შორის, მოსწავლეებსაც, ხშირად საკუთარ სამუშაო მაგიდასთან მსხდომები ესაუბრებიან. სტუმარი სიმბოლურად მეორე ხარისხოვან ადგილას ზის. ამით დირექტორი ხშირად საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს დირექტორი სპეციალურად მონყობილ შეხვედრების მაგიდასთან ხვდებოდეს. ეს დადებით განწყობას ქმნის მოსაუბრეებთან, რადგან მათ საჭიროებებსა და პიროვნულ ღირსებას აღიარებს. შეხვედრების საერთო მაგიდა მოლაპარაკების პროცესზე დადებითად მოქმედებს. მოსაუბრე თავს აღიქვამს არა დირექტივების მიმღებად, არამედ დიალოგის მონაწილედ, სადაც მას შეუძლია, თავისი მოსაზრებები უსაფრთხოდ გამოთქვას.

ადმინისტრაცია მნიშვნელოვან მაგალითს აძლევს მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებაში დემოკრატიულად თანაცხოვრება. ყოველდღიური ინტერაქციისას ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქცევაც კი ხშირად მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი გაკვეთილია. მაგალითად, მოსწავლეები ყურადღებას აქცევენ, თუკი უფროსი ფეხზე დგება, როდესაც მასთან ოთახში შედიან. მოსწავლეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმასაც, თუ როგორ მიმართავენ მათ. როდესაც სკოლაში მოსწავლეებს თქვენობით მიმართავენ, მათ ეს, ერთი მხრივ, დაფასებულობის გრძნობას უჩენს, მეორე მხრივ - პატივისცემას უმაღლეს ზრდასრულების მიმართ, მესამე მხრივ კი დადებითად მოქმედებს მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებაზეც. მოსწავლე, რომელიც მნიშვნელოვანია ზრდასრულისთვის, მეტი ალბათობით მოიქცევა ისე, როგორც მნიშვნელოვანი როლის მქონე ადამიანი.

ადმინისტრაციული სივრცეების სწორი ფიზიკური მოწყობა პოზიტიურად მოქმედებს მოსწავლეების მათთან ურთიერთობის განწყობაზე. თუ დირექტორის კაბინეტის კარი ხშირად ღიაა, ან ადმინისტრაციული საქმით დაკავებული ადამიანების სამუშაო ადგილი

უფრო მეტად ღია სივრცეებშია განთავსებული, მაშინ ამ სივრცეების მიმართ დადებითი განწყობა ადვილად ჩნდება.

მნიშვნელოვანია სიმბოლოები, რომლებიც ადმინისტრაციულ სივრცეებშია განთავსებული. საქართველოში, დირექტორის კაბინეტში ან სხვაგანაც, ხშირად ნახავთ პოლიტიკური ფიგურების ან რელიგიური ლიდერების ფოტოებს. ბევრი დირექტორი ფიქრობს, რომ ამ სიმბოლოების განთავსებით საკუთარ პატრიოტიზმს თუ მორალურ ღირებულებებს უსვამს ხაზს. სინამდვილეში, მსგავსი სიმბოლოების განთავსება ხელოვნურია და ერთგვარად კონიუნქტურულია, რაც შესაძლოა მოსწავლეებს ძალაუფლების უპირობო აღიარებას ასწავლიდეს და არა რაიმე იდეის კრიტიკულად შეფასებას. გაცილებით უფრო ეფექტურია, როდესაც დირექტორი თავისი ღირებულებების შესახებ არაპირდაპირ, სხვადასხვა არტეფაქტის მეშვეობით მოგვითხრობს. მაგალითად, სახელმწიფოს დროშა ან სახელმწიფოს რუკა უფრო მეტად მეტყველებს ადამიანის პატრიოტიზმზე, ვიდრე პრეზიდენტის ფოტო. პრეზიდენტის ფოტო უფრო მეტად პარტიულ კუთვნილებასთან ასოცირდება, ვიდრე სახელმწიფოს მიმართ ლოიალობასთან. სკოლის ადმინისტრაციის წევრების პარტიული კუთვნილება კი რაიმე აკადემიურ მიზნებს არ ემსახურება.

ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე ადამიანების სამუშაო ადგილები უმეტესად შენობის ერთ სივრცეშია კონცენტრირებული. შესაძლოა, მოსახერხებელია, რომ ადმინისტრაციის წევრები სწრაფად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. დიდ სკოლებში, სადაც სივრცეები ამის საშუალებას იძლევა, ხანდახან უკეთესია, რომ ადმინისტრაციის წევრები შენობების სხვადასხვა ნაწილში იხსდნენ. ამით სასწავლო ნაწილების, დირექტორის, დირექტორის მოადგილეების და სხვა პერსონალის ურთიერთობა მოსწავლეებთან უფრო ინტენსიური გახდება. სივრცეების დემოკრატიზაცია და ძალაუფლების ფიზიკური გადაწინააღმდეგობა ხელს უწყობს მართვის დემოკრატიზაციასაც. ეს კი მოსწავლეებში, შესაძლოა, მეტ მიმდებლობას აჩენდეს დირექციასთან თანამშრომლობის თვალსაზრისით.

კორიდორები

სკოლის კორიდორები სკოლების ტიპური შენობების შექმნისას ისეა დაგეგმილი, რომ გამჭოლად ჩანდეს მთელი სივრცე. ეს აადვილებს კონტროლს, რადგან კორიდორის ბოლოდან შესაძლებელია

მის მთელ სიგრძეზე დავინახოთ, თუ რა ხდება აქ. მეორე მხრივ, სკოლების დიდ ნაწილში კორიდორის ორივე მხარეს საკლასო ოთახებია განლაგებული. ეს ასე სივრცეების მაქსიმალურად ეკონომიურად გამოყენებისთვის დაიგეგმა. საქმე ის არის, რომ სკოლების უმეტესობაში კორიდორი, ძირითადად, გადაადგილებისთვის გამოიყენება და არა სწავლისთვის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სკოლის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი, მეოთხედი და ზოგჯერ მესამედიც კი, მხოლოდ დამხმარე მიზნისთვის გამოიყენება. არადა, ამ სივრცის გამოყენება მშვენივრად არის შესაძლებელი აკადემიური მიზნებისთვის. ასევე შესაძლებელია კორიდორების ისე დაგეგმვა, რომ მან ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალიზაციას, შეამციროს ნეგატიური ქცევები და განაწყოს მოსწავლეები სასურველი ღირებულებების მიღებისა და გათავისებისკენ.

მოსწავლეების დაფასება

მოსწავლეებზე პოზიტიურად მოქმედებს, როდესაც მათ ნამუშევრებს სკოლა პატივისცემით ეპყრობა და როდესაც მათ შემოქმედებას და აკადემიურ მონდომებას საკმარის ყურადღებას აქცევს. სკოლის კორიდორები და შესასვლელი ერთ-ერთი საუკეთესო სივრცეა იმისათვის, რომ სკოლამ მოსწავლეებს საკუთარი დამოკიდებულება გააცნოს.

კორიდორებში მოსწავლეების ფოტოების, მათი მიღწევების შესახებ ინფორმაციის, მათი ნამუშევრების განთავსება საუკეთესოდ მოქმედებს მოსწავლეებზე. თუ სკოლას აქვს შესაძლებლობა, კარგია, როდესაც კორიდორებში განთავსებულია ვიტრინები, სადაც მოსწავლეების მოღვაწეობის ამსახველი სიმბოლური გამოხატულებებია განთავსებული. ეს შეიძლება იყოს სიგელები, პრიზები, ჯილდოების გადაცემის ამსახველი ფოტოები და სხვ.

მოსწავლეების დაფასება არა მხოლოდ მათ შორის საუკეთესოების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით არის შესაძლებელი. სკოლის კარგად დაგეგმილ კორიდორში განცხადებების დაფებს შეხვდებით. თუ განცხადების დაფაზე მოსწავლეები საკუთარი საქმიანობის შესახებ ათავსებენ ინფორმაციას, ესე იგი მოსწავლეები აქტიურად განსაზღვრავენ სკოლის ცხოვრებას და თავს სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად მიიჩნევენ.

განცხადებების შინაარსი თავისთავად მოგვითხრობს, თუ რა ხდე-

ბა სკოლაში. მოსწავლეებზე ორიენტირებულ სკოლებში ხშირად ნახავთ განცხადებებს, სადაც მოსწავლეები თანატოლებს სკოლაში თუ სკოლის გარეთ გამართულ ღონისძიებებზე იწვევენ. განცხადებებს აქვეყნებენ სკოლის კლუბები და წრეები. ასევე, ნახავთ ხოლმე ცალკეული მოსწავლეების განაცხადებს იმის შესახებ, რომ მათ გარკვეული საკითხის ირგვლივ სხვა მოსწავლეებთან დაკავშირება სურთ და სხვ.

კორიდორის სასწავლო მიზნებით გამოყენება

ცნობილია, რომ მოსწავლეები სწავლის მიმართ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იჩენენ მაშინ, როდესაც მათი სწავლის შედეგს, მათ ნამუშევარს, არა მხოლოდ მათი მასწავლებელი და არა მხოლოდ მათი კლასელები, არამედ უფრო ფართო აუდიტორია ხედავს. ამიტომ, ეფექტურია მოსწავლეებს ისეთი ნამუშევრების შექმნა დავავალოთ, რომლებიც სკოლის კორიდორებში გამოიფინება.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კორიდორებში მხოლოდ ხელოვნების გაკვეთილზე შექმნილი ნამუშევრები უნდა გამოიფინოს. საქართველოში, უმეტესად, დაწყებითი კლასების მოსწავლეების ნამუშევრები და ისიც, უმეტესად, ნახატები გამოიფინება ხოლმე. უფრო საინტერესოა, როდესაც ნამუშევრები სხვადასხვა საგნის ფარგლებშია შექმნილი და როდესაც ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ იცვლება ხოლმე.

ნამუშევრების საგნობრივ კაბინეტებთან გამოკვრა მთელ სკოლას ატყობინებს, თუ რა ხდება ამ კაბინეტებში. გარკვეულწილად, მასწავლებლებისთვის ეს არის შესაძლებლობა, რომ საკუთარი მუშაობის შედეგები მთელ სკოლას წარუდგინონ. ცხადია, ყველა მასწავლებელს ეს არ ხიბლავს. იმისთვის, რომ მასწავლებლისთვის სასიამოვნო იყოს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, დირექციამ უნდა იმუშაოს იმაზე, რომ მასწავლებლებმა არაპატიოსანი და უსაფუძვლო კრიტიკისგან დაცულად იგრძნონ თავი.

ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო თუ სხვა საგნებში შესაძლებელია მოსწავლეებს გარკვეული თემის შესწავლა და ამ თემასთან დაკავშირებით პლაკატის შექმნა დავავალოთ. როდესაც მოსწავლეებმა იციან, რომ პლაკატები სკოლის კორიდორებში გამოიკვერება და მათ ნამუშევრებს სხვა მოსწავლეებიც ნახავენ, მაშინ მათ უწევთ ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა წერონ უცნობი აუდიტორი-

ისტვის გასაგებად, ან, ვთქვათ, როგორ შეიძლება ვიზუალიზაციის გამოყენება საკუთარი სათქმელის უკეთ გადასაცემად.

სასურველია, რომ ასეთი პლაკატები რაიმე ფენომენს უბრალოდ კი არ აღწერდეს, არამედ შეიცავდეს მოსწავლეების დამოკიდებულებასაც ამ ფენომენის მიმართ. ბევრ სკოლაში ნახავთ ხოლმე რომელიმე მწერლის შესახებ გაკეთებულ პლაკატს, სადაც მისი ბიოგრაფიული მონაცემები, ნაწარმოებები ან ნაწარმოების ნაწყვეტებია განთავსებული. ხანდახან ტექსტის ნაწილად გვხვდება რომელიმე ცნობილი კრიტიკოსის გამონათქვამი ამ მწერლის შესახებ. ასეთი პლაკატის შექმნას დიდი საგანმანათლებლო ღირებულება არ გააჩნია. ასეთი პლაკატები სხვა მოსწავლეებისთვისაც დიდად საინტერესო არ არის. მოსწავლეებს უფრო ის აინტერესებთ, თუ რას ფიქრობენ მათი თანატოლები ამ ცნობილი მწერლის შესახებ, ვიდრე ის, რაც მათ სახელმძღვანელოში წერია.

გამოფენების გამართვა საკმაოდ ეფექტურია მათემატიკაშიც. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სკოლებში არსებობს პრაქტიკა, როდესაც მოსწავლეები რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობენ რაიმე პრობლემის გადაჭრაზე. შემდეგ ამ პრობლემის გადაჭრის ეტაპების აღწერა და შესწავლილი ალტერნატივები მარტივ მუყაოს სტენდზე გადააქვთ და მათ კორიდორებში გამოფენენ. სკოლა პატიჟებს გარეშე სტუმრებს, რომლებიც კორიდორებში დადიან, სტენდებთან ჩერდებიან და უსმენენ ბავშვებს, რომლებიც საკუთარ განვლილ გზას უყვებიან. ხანდახან სტუმრები მოსწავლეების შეფასებაშიც მონაწილეობენ. ისინი სპეციალურად დარიგებულ კითხვარებს ავსებენ. ამგვარი გამოფენები არამარტო მოსწავლეების პასუხისმგებლობას ამაღლებს, არამედ ეხმარება მათ, რომ საკუთარი სასწავლო პროცესი უკეთ გააცნობიერონ.

სკოლის კორიდორების გამოყენება ასევე შესაძლებელია გარკვეული ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ეს სივრცე გამოდგება გარკვეული ტიპის მანქანების გამოსაცდელად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, მაგალითად, ფიზიკაში აჩქარების ან ინერციის შესწავლა. კორიდორებში შესაძლებელია მოსწავლეებისთვის ისტორიის სწავლების დროს იმის ჩვენება, თუ როგორ გადაადგილდებოდა ბერძნული ფალანგა. კორიდორებში შესაძლებელია მოსწავლეებს ვასწავლოთ გეომეტრიული პერსპექტივის შესახებ იმის მეშვეობით, თუ როგორ გამოიყურება სხვადასხვა საგანი სხვადასხვა მანძილზე და სხვ.

კორიდორები საუკეთესო სივრცეა იმისთვის, რომ სკოლის შემდეგ მოსწავლეებმა ერთმანეთთან არაფორმალურ გარემოში რაიმე პროექტზე იმუშაონ. ცხადია, კორიდორში ამისთვის სკამები და მაგიდები უნდა დავდგათ.

კომპიუტერები საკმაოდ სწრაფად ძველდება. ახალი პროგრამების დაყენება ძველ კომპიუტერებზე მათი სისწრაფის შეზღუდვების გამო ძნელდება. თუმცა, ძველი კომპიუტერების გამოყენება საკმაოდ ეფექტურია ინტერნეტში სამუშაოდ. ზოგ სკოლაში ასეთ კომპიუტერებს ნახავთ ხოლმე კორიდორებშიც, სადაც მოსწავლეებს ინტერნეტში საკუთარი ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელების გზავნილების სწრაფად ნახვა შეუძლიათ. რადგან არ არის სასურველი, რომ მოსწავლეებმა კორიდორებში დიდი ხნით დაიკავონ კომპიუტერების ადგილები, ყველაზე ეფექტურია, როდესაც კომპიუტერები ისეა განთავსებული კედელთან, რომ მოსწავლეს ფეხზე დამდგარს უწევს მასთან ურთიერთობა. ამ მხრივ, ის ნაკლებ დროს ხარჯავს მასზე, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ სკამი კორიდორის სხვა ბოლოში აღმოჩნდება მოსწავლეების ნაკადის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო.

მოსწავლეებისთვის იმის სწავლება, თუ როდის მთავრდება და იწყება გაკვეთილები, საქართველოს სკოლების უმეტესობაში ზარის მეშვეობით ხდება. დაფიქრდით, რა არის იმის ალბათობა, რომ მოსწავლეებს სკოლის დამთავრების შემდეგ ისეთ სამსახურებში მოუწევთ მუშაობა, სადაც გარკვეული პერიოდულობით ზარის მეშვეობით ანიშნებენ ხოლმე, რომ უნდა შეისვენონ, ან ახალ თემაზე უნდა გადავიდნენ? ამის ალბათობა ძალიან დაბალია. არადა, იმის უნარი, რომ სკოლადამთავრებულებმა იცოდნენ საკუთარი დროის ეფექტური მართვა დღის განმავლობაში, ძალიან მოთხოვნადია. სკოლის მოსწავლეებსაც, სწავლის პერიოდში, ძალიან ჭირდებათ ამ ჩვევის გამომუშავება. ამიტომ ზარი სულაც არ არის საუკეთესო საშუალება ამ ჩვევის გასავითარებლად. პირიქით, ის ამ ჩვევის გამომუშავებას ხელსაც კი უშლის. ბევრ სკოლას უჭირს სასკოლო ზართან განშორება, რადგან ის სასწავლო დანესებულების ერთგვარი სიმბოლოა. მიუხედავად ამისა, გაცილებით უფრო ეფექტურია, როდესაც საკლასო ოთახებში და კორიდორებში საათები გვიკიდია და როდესაც მოსწავლეებმა იციან, თუ როდის იწყება და მთავრდება შესვენება.

ვანდალიზმი

ზოგიერთ სკოლაში კორიდორებში გვხვდება რეპროდუქციები ან სურათები, რომლებიც უცნაურად მალლა არის ხოლმე კედელზე ჩამოკიდებული. ასეთ სკოლებში ეშინიათ, რომ მოსწავლეები ამ რეპროდუქციებს დააზიანებენ და ამგვარი ხერხით ცდილობენ მათ დაცვას. ზოგიერთი დირექტორისგან ასევე გამიგია, რომ ისინი კორიდორებში მოსწავლეების ნამუშევრებს სწორედ იმიტომ არ კიდებენ, რომ მათი დაზიანებაა მოსალოდნელი.

სინამდვილეში, რაც უფრო მეტ რამეს დავკიდებთ კორიდორებში და რაც მეტად შევაჩვენებთ მოსწავლეებს მდიდარ გარემოში ყოფნას, მით უფრო მოიკლებს ვანდალიზმის ფაქტები. ვანდალიზმის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, ამის შესახებ მოსწავლეებს ვესაუბროთ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ვანდალიზმის შესახებ არსებობდეს ძალიან მკაფიო პასუხისმგებლობის სქემა, რომლის შემუშავებაშიც, საუკეთესო შემთხვევაში, მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას. მესამე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ის არის, რომ ვანდალიზმის შედეგების აღმოფხვრა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს. თუ ვხედავთ, რომ კორიდორის (ან ნებისმიერი სხვა სივრცის) კედელი მოხატულია, ან სხვა მხრივ არის დაზიანებული, მნიშვნელოვანია, რომ ეს კედელი ძალიან სწრაფად და მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოდ შეკეთდეს. თუ პროცესში იმ მოსწავლესაც ჩაერთავთ, რომელიც ვანდალიზმის მონაწილე იყო, ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილი გახდება მისთვის.

მოსწავლეები იშვიათად აფუჭებენ სხვის ნამუშევრებს, მაშინ, როდესაც ნამუშევრების გამოფენა კორიდორებში ჩვეული რამ არის, როდესაც არა მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები, არამედ ყველა მოსწავლის - მათ შორის, მათი ნამუშევრებიცაა გამოფენილი.

სოციალიზაცია და დასვენება

გაკვეთილებს შორის დასვენებების დროს, სკოლის დანყების წინ და სკოლის შემდეგ, მოსწავლეები ყველაზე ხშირად კორიდორებში ახდენენ სოციალიზაციას. სწორედ აქ აქვთ მათ შესაძლებლობა, რომ არაფორმალურ გარემოში იურთიერთონ საკუთარ კლასელებთან. სწორედ აქ ხდება შესაძლებელი, რომ სხვა მოსწავლეებიც გაიცნონ.

მაშინ, როდესაც გაკვეთილების მანძილზე მოსწავლეების ენერჯია

იზღუდება, კორიდორებში მოსწავლეები ხშირად ცდილობენ, რომ სწორედ ეს ენერგია გამოათავისუფლონ. ამიტომ ისინი აქ დარბიან, თამაშობენ, ხმაურობენ, ჭიდაობენ და სხვ. ენერგიის დახარჯვა და მოძრაობა ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ხელოვნურ გარემოში, საკლასო ოთახში თითქმის მთელი საათის განმავლობაში უმოძრაოდ იმყოფებიან. საუკეთესოა, როდესაც, კორიდორების ნაცვლად, საკლასო ოთახები პირდაპირ ეზოში გადის. ასევე კარგია, როდესაც სკოლის ეზოში კორიდორებიდანაც ადვილია გაღწევა. ამისთვის საჭიროა, რომ დასვენებები ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდეს, ვიდრე 5 წუთი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა სწორედ ამისკენ მოუწოდებს, ბევრი სკოლა ამ მოწოდებას არ ითვალისწინებს. ამით სკოლა მოსწავლეებს ზღუდავს, რომ ისწავლონ ერთმანეთთან ურთიერთობა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა მათ ცხოვრებაში ვიდრე, მაგალითად, იმის სწავლა, თუ როგორ არის შესაძლებელი რომელიმე ისტორიული მოვლენის ინტერპრეტაცია ან სწორი გრამატიკული ფორმის გამოყენება.

იმ სკოლებში, სადაც პრობლემაა მოსწავლეების კორიდორებში სირბილი, შესაძლებელია კორიდორებში გარკვეული ბარიერების დაყენება, რომლებიც ბავშვებს სირბილის მოტივაციას შეუმცირებს. ბავშვების მოძრაობის რეგულირება და სიხშირის შემცირება შესაძლებელია ავეჯის კორიდორში დადგმით. შეიძლება, ეს სკამები და მაგიდები იყოს, ან ოთახის დიდი მცენარეები დაიდგას. ასევე შესაძლებელია კორიდორების გატიხვრა დაბალი თაროებით, სადაც წიგნები იქნება დანყობილი. დაბალი თაროები შესაძლებლობას იძლევა, რომ დავინახოთ, რა ხდება მთელ კორიდორში.

მოძრაობისთვის ბარიერების შექმნისას, ცხადია, არ უნდა დაგვავინწყდეს უსაფრთხოების სხვა მხარე. მნიშვნელოვანია, რომ ბარიერები იქ არ დავაყენოთ და ისე არ განვათავსოთ, რომ კრიტიკულ მომენტში, მაშინ, როდესაც შესაძლოა საჭირო იყოს მოსწავლეების ევაკუაცია, ბარიერებმა დამატებითი ხიფათი გამოიწვიოს. ბარიერები ისე არ უნდა იყოს შექმნილი, რომ თავად გახდეს მოსწავლეების გართობის საგანი. სკამები, მაგიდები, სხვა ავეჯი, რომელსაც კორიდორებში დავდგამთ, უნდა იყოს მასიური, ძნელად გადაადგილებადი და ხმაურის ნაკლებად გამომწვევი.

აკუსტიკა

მოსწავლეები დასვენებებზე კორიდორებში ხშირად ხმამაღლა საუბრობენ, ან ისე იქცევიან, რომ ხმაურს იწვევენ. ეს განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც გაკვეთილები სხვადასხვა დროს მთავრდება. პირველკლასელებს, ძირითადად, უფრო მოკლე გაკვეთილები აქვთ, ვიდრე სხვებს. ასევე, სკოლების ნაწილი სხვადასხვა გრაფიკს იყენებს სხვადასხვა საფეხურისთვის, რათა დასვენებები ერთსა და იმავე დროს არ დაემთხვეს. ამის მეშვეობით, სკოლას შესაძლებლობა უჩნდება, საკუთარი შეზღუდული რესურსები უფრო ეფექტურად გამოიყენოს. ყველა მოსწავლე ბუფეტში ერთდროულად არ მიდის, ყველა მოსწავლე ერთდროულად არ გადაადგილდება კორიდორში. ეს მნიშვნელოვანია ისეთ სკოლაში, სადაც მოსწავლეების ჭარბი რაოდენობა პრობლემაა.

ხმაურის შესამცირებლად შესაძლებელია კორიდორის ჭერზე ქალღმრთისგან გაკეთებული გირლანდების ჩამოკიდება. ასევე დადებითად მოქმედებს რბილი ხალიჩები. რბილი ქსოვილის არსებობა კედლებზე ასევე ამცირებს ხმაურს. ბუნებრივი ბარიერები, მცენარეები ასევე ამცირებს ხმის კედლებისგან არეკვლას. ხმაურის შესამცირებლად ფონური მუსიკის გამოყენებაც შესაძლებელია. მუსიკა დადებით განწყობას უქმნის მოსწავლეებს და მათ აგრესიულ ქცევას ამცირებს. ზოგი სკოლა ეფექტურად იყენებს დასვენებებზე სკოლის რადიოს, სადაც, მუსიკის გარდა, ინფორმაციასაც გადმოსცემენ.

წყალი

მოსწავლეებს ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესაწარმოებლად წყლის ხშირად დაღვევა სჭირდებათ. ბევრ სკოლაში მოსწავლეებს უკრძალავენ გაკვეთილზე ან საკლასო ოთახში წყლის ბოთლიდან დაღვევას. ეს არ არის სწორი მიდგომა და იწვევს იმას, რომ მოსწავლეები ან დეჰიდრაციას განიცდიან, ან გაკვეთილებიდან გადიან წყლის დასაღვევად. მასწავლებლებს და დირექციას ეშინიათ, რომ მოსწავლეები წყლით ინუნავებენ საკლასო ოთახებში. მართალია, ზოგ შემთხვევაში ეს შესაძლოა ასეც მოხდეს. თუმცა, თუ წყლის ტარება გაკვეთილზე ჩვეულებრივი რამ იქნება და არა რაღაც განსაკუთრებული, მაშინ ნუნაობის სურვილი მოსწავლეებს ნაკლებად გაუჩნდებათ.

საქართველოს სკოლების უმეტესობაში წყალი ტუალეტში ან, ზოგ შემთხვევაში, ეზოში მოდის. დასვენებებზე, ბევრი მსურველის გამო, მოსწავლეებს წყლამდე მისვლა უჭირთ. სწორედ ამის გამო, მოსწავლეების ნაწილი გაკვეთილის განმავლობაში ითხოვს წყალზე გასვლას. ერთ-ერთი გამოსავალი, გარდა ბოთლით წყლის ტარებისა, არის კორიდორებში, ტუალეტის გარეთ ან სხვა ღია სივრცეში წყლის დასალევი ნიჟარების დამონტაჟება. საუკეთესო შემთხვევაში, საკლასო ოთახებშია წყალი შემოყვანილი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ წყალი სწრაფად და გაკვეთილის შეფერხების გარეშე დალიონ. ასევე, ეს საშუალებას იძლევა საკლასო ოთახებში ისეთი აქტივობების უფრო ხშირად გამოყენებისთვის, რომელიც წყალს მოითხოვს (მაგ. საღებავების გამოყენება, ექსპერიმენტები წყალთან დაკავშირებით და სხვ.)

უფროსების როლი დასვენებებზე

მნიშვნელოვანია, რომ დასვენებებზე კორიდორებში უფროსებიც იმყოფებოდნენ. მათი ყოფნა ხელს უწყობს მოსწავლეების ნორმალურად ქცევას, მოსწავლეებსა და ზრდასრულებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ზრდასრულების ყოფნა არ იყოს ზედამხედველობის ხელოვნური გამოვლენა. მასწავლებელი, სასწავლო ნაწილი ან მანდატური, რომელიც კორიდორში იმიტომ დგას, რომ მოსწავლეებს შენიშვნები მისცეს, მოსწავლეებისთვის ნაკლებად საინტერესო ადამიანია.

ის ადამიანი, რომელიც მოსწავლეებთან საერთო თემებზე საუბრობს, რომლისგანაც თბილი და პოზიტიური გზავნილები მოდის, მათთვის ქცევის უკეთესი მაგალითის მიმცემია. ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი კორიდორში მოსწავლეს შეუქცებს იმას, რომ მონესრიგებულად გამოიყურება, რომ ზრდილობიანად ექცევა თანატოლებს, რომ სკოლის დაწყებამდე უმცროსკლასელს ქუჩაზე გადმოსვლაში დაეხმარა, რომ დაგდებული ნაგავი აიღო და სხვ... პოზიტიური განმტკიცება მოსწავლეებისთვისაც უფრო სასიამოვნო მოსასმენია, ვიდრე ხშირი შენიშვნები.

ბუფეტი

ბუფეტი ერთ-ერთი ის სივრცეა, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, შედარებით დიდი ხნის განმავლობაში იურთიერთონ თავიანთ სკოლებთან. ბუფეტში კარგად ჩანს ხოლმე, ურთიერთობების რა

კულტურაა გავრცელებული, რა დაჯგუფებებია, რამდენად არსებობს სკოლაში ერთიანი საზოგადოების აღქმა, რამდენად ურთიერთობენ ერთმანეთთან ზრდასრულები და მოსწავლეები.

იმ სკოლებში, სადაც ბუფეტი არსებობს, ეს სივრცე შესანიშნავია იმისთვის, რომ გაკვეთილების შემდეგ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეები შეიკრიბონ. ბუფეტის სივრცეში შესაძლებელია დებატების, წარმოდგენების, ინტელექტუალური შეჯიბრებების გამართვა.

ბუფეტში შესაძლებელია ბავშვების დასაქმებაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ბუფეტის ფუნქციონირებაში უფროსკლასელების ჩართვა ხდება, ეს ხანდახან მეტად დადებითად მოქმედებს მოსწავლეების ქცევაზე. ბავშვები სწავლობენ დაგეგვას, კულინარიას, მართვას და სხვ.

მოსწავლეების სოციალიზაციისთვის სასარგებლოა, როდესაც ბუფეტში სხვადასხვაგვარად მოწყობილი სივრცეებია. თუ აქ გრძელი მაგიდებია თავისი გრძელი სკამებით, მაშინ ბავშვები იძულებული არიან, სხვებს მიუხსდნენ. ეს კი მათ აიძულებთ, რომ ხანდახან ისეთი ადამიანები გაიცნონ, რომლებთანაც ურთიერთობა არ ექნებოდათ, თუკი ფიზიკური სივრცე მათ ამისკენ არ უბიძგებდა. ზოგ სკოლაში გამიზნულად არ არის ხოლმე გამოყოფილი მასწავლებლების ადგილები. როდესაც მასწავლებლები და მოსწავლეები ადგილებს დემოკრატიულად ინაწილებენ, ეს ურთიერთპატივისცემაზეც დადებითად მოქმედებს და ბუფეტში ბავშვების ქცევის მონიტორინგის საუკეთესო საშუალებაა.

მართალია, სოციალიზაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ განმარტოვების შესაძლებლობა, თუკი ეს მათ სჭირდებათ. ხანდახან მოსწავლეებს არ სურთ მუდმივად სხვებთან ერთად ყოფნა. ამის გამო, სივრცეების დაგეგმვისას, მათ შორის ბუფეტშიც, შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი საჭიროებების გათვალისწინებაც.

სპორტული დარბაზები/მოედნები

სპორტული დარბაზებისა და მოედნების მოწყობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, მათი ხელმისაწვდომობის საკითხი. თუ სასკოლო საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნების გამოყენება

ორგანიზებულად მოხდება, მაშინ მოსწავლეებს შორის კონკურენცია მოგვარდება. შესაძლოა სპეციალური განრიგის შემუშავება, სადაც მოსწავლეები წინასწარ ჩაენერებიან. რა თქმა უნდა, ამგვარი ზომების მიღება ეფექტურია იქ, სადაც რესურსები შეზღუდულია და მათი გამოყენების მსურველი ბევრია.

სპორტული დარბაზების ინტერიერის გამოყენება შეიძლება განსაკუთრებული სპორტული მიღწევების აღიარებისთვის. ეფექტურია, როდესაც კედლებზე გამოკრულია ფოტოები, რომლებიც მოსწავლეების სპორტულ ცხოვრებას აღწერს.

მოედნებისა და დარბაზების ჭკვიანურად გამოყენება მნიშვნელოვანია სკოლის შიგნით და სკოლებს შორის გამართული შეჯიბრებების დროს. სკოლებს შორის გამართული შეჯიბრებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია სასკოლო პატრიოტიზმის გასავითარებლად, რაც, თავის მხრივ, სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ეს შეჯიბრებები იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ მოსწავლეებს უცხოებთან ურთიერთობა ვასწავლოთ. სკოლაში სტუმრად მოსულ გუნდს კარგი მასპინძლობა უნდა და ამის სწავლება შესაძლოა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი იყოს. კონფლიქტების მინიმუმამდე დაყვანისთვის ეფექტურია ამ შეჯიბრებებზე ორივე გუნდის წევრთა მშობლების მონაწილეობა. გარდა ამ დადებითი შედეგის, მშობლების შეჯიბრებებზე მონაწილეობა დადებითად მოქმედებს ასევე მათ მზადყოფნაზე, რომ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.

შეჯიბრებების გამოყენება შესაძლებელია სასკოლო ფონდების მოძიებისთვის. ასეთ დროს დასავლეთის ქვეყნების სკოლებში საბაზრო ფასზე ცოტათი უფრო ძვირად რაიმე სასუსნავს, ნაყინს, შოკოლადებს, გამაგრებულ სასმელებს ყიდიან ხოლმე. ხანდახან ამ დროს მოხალისეები კერძებს, ბლინებს, მწვადებს, სენდვიჩებს ამზადებენ, რომლებსაც სკოლის ანგარიშისთვის შემოწირულობაზე უცვლიან მონვეულ სტუმრებს.

სპორტული დარბაზები, ისევე როგორც სხვა სივრცეები, კარგად უნდა ნიავედბოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გასახდელეებში ფუნქციონირებდეს შხაპები, სადაც მოსწავლეების პირადულობა გათვალისწინებულია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გასახდელეებში არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა უსაფრთხოდ და სუფთად შეინახონ საკუთარი ნივთები.

სკოლის ეზო

სკოლის ეზო მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის. თავისთავად ცხადია, რომ ეს საუკეთესო ადგილია მოსწავლეებს შორის ერთმანეთთან ინტენსიური კომუნიკაციის დასამყარებლად. ეს დაუგეგმავადაც ხშირად ხდება. თუმცა, დაგეგმვის შემთხვევაში, სოციალიზაციისთვის უკეთესი პირობები იქმნება და ეზოში არასასურველი ქცევების რაოდენობა მცირდება.

სკოლის ეზოში არსებული მიტოვებული ადგილები ხშირად საფრთხის შემცველია. აქ ზოგჯერ ნაგავი გროვდება, ზოგჯერ კი „საქმის გარჩევის“ ადგილად იქცევა. ამიტომ ასეთ ადგილებს მართვა სჭირდება. კარგია, როდესაც ამგვარ ადგილებში ვრგავთ ნარგავებს, ვაკეთებთ ბუნებრივ ბარიერებს მოსწავლეებისთვის ან, როდესაც ამ ადგილებთან ახლოს მოსწავლეების თავშეყრის ადგილებს ვანყობთ, სადაც ისინი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად იკრიბებიან.

სკოლის ეზოს გამოყენება გაკვეთილების ჩასატარებლად, საუკეთესო გზაა ერთფეროვანი სასკოლო ცხოვრების გასახალისებლად. ამისთვის ეზო სპეციალურად უნდა იყოს მოწყობილი. კომფორტული მდელი, ან წრიულად დამონტაჟებული სკამები საესვებით საკმარისია იმისთვის, რომ გაკვეთილი ეზოში ჩატარდეს.

სკოლის ეზო თავად შეიძლება იყოს მოსწავლეებისთვის ინტელექტუალურად მასტიმულირებელი. აქ შესაძლებელია იმგვარი კონსტრუქციების დადგმა, რომელსაც, გარკვეული ფუნქციაც აქვს და მოსწავლეებს ეხმარება ფიზიკის, გეომეტრიისა და, შესაძლოა, ინჟინერიის შესწავლაში. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს დროშის დასამაგრებელი უბრალო ბოძიც კი. მსგავსი ფუნქციით შეიძლება დამონტაჟდეს ეზოში სარწყავი სისტემა, მზის ენერჯის გამოსაყენებელი პანელები და სხვ.

ბიბლიოთეკა

საქართველოში მოსწავლეების დიდ ნაწილს სახლში საკმარისი წიგნები არ აქვს იმისთვის, რომ საკუთარი ინტელექტუალური ინტერესები დაიკმაყოფილოს. ამ მოსწავლეებს, ცხადია, ნაკლებად აქვთ იმის შესაძლებლობაც, რომ სახლში ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებიც ჰქონდეთ. იმ მოსწავლეებსაც კი, რომლებსაც სახლში

ნიგნები აქვთ, ნაკლებად შეუძლიათ ყველა ახალი გამოცემის შექმნა. ამიტომ, სკოლის ბიბლიოთეკებს შეუძლია ამ მნიშვნელოვანი დანაკლისის შევსება. სწორად ფუნქციონირების შემთხვევაში, სკოლის ბიბლიოთეკებს არა მხოლოდ მათი მოსწავლეებისთვის, არამედ სასკოლო თემის სხვა წევრებისთვისაც შეუძლია სარგებლის მოტანა.

სამწუხაროდ, საქართველოს ბევრ სკოლაში სასკოლო ბიბლიოთეკას მეორეხარისხოვანი ფუნქცია აკისრია. ამას ხშირად იმით ამართლებენ, რომ ბიბლიოთეკაში საკმარისი წიგნები არ არის. სინამდვილეში, ბიბლიოთეკების დიდ ნაწილში წიგნების ნაკლებობა არ არის პრობლემა. პრობლემა რამდენიმეა:

- მოსწავლეებს არ აქვთ ბიბლიოთეკის გამოყენების ჩვევა. ზოგმა მოსწავლემ არც იცის, რომ სკოლაში ბიბლიოთეკა არსებობს და, ასევე, ვერ წარმოუდგენია თუ რისი ნახვია იქ შესაძლებელი. ბიბლიოთეკის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ დაგეგმოს ბიბლიოთეკაში ვიზიტები. ასევე, მასწავლებელი შესაძლოა ბავშვების ნაწილს გაკვეთილების შემდეგ აკადემიური პრობლემების დაძლევაში დასახმარებლად ბიბლიოთეკაში ხვდებოდეს. სადაც სივრცე ამის შესაძლებლობას იძლევა, სასარგებლოა ბიბლიოთეკაში სხვადასხვა შეხვედრის ჩატარება. მაგალითად, შესაძლოა ზოგჯერ მოსწავლეებმა ამა თუ იმ საგნის ფარგლებში პრეზენტაცია სწორედ ბიბლიოთეკაში ჩაატარონ, ან სკოლის სტუმარი სწორედ ბიბლიოთეკაში მოიწვიონ მოსწავლეებთან შესახვედრად.
- ბიბლიოთეკები ისეა მოწყობილი, რომ მისი გამოყენება არცთუ კომფორტულია. ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი გამოიყენება, როგორც წიგნების საცავი. ასეთ ბიბლიოთეკებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება წიგნების დაცვაზე, ვიდრე მათ გამოყენებაზე. სკოლის ადმინისტრაცია ხშირად იმაზე ლელავს, რომ სკოლის ქონებად აღწერილი წიგნი არ დაკარგოს და ამისთვის სასჯელი არ დაიმსახუროს სახელმწიფოსგან. სწორედ ამის გამო, ბიბლიოთეკებში მოსწავლეებს ხშირად წიგნებთანაც არც კი უშვებენ. ამგვარ ბიბლიოთეკებში მოსწავლე ვალდებულია, კატალოგში მოძებნოს სასურველი წიგნი და შემდეგ ბიბლიოთეკარი მას თაროდან მოაწვდის. ეს ძალიან არაეფექტური მიდგომაა სასკოლო

ბიბლიოთეკების მართვის თვალსაზრისით. ბავშვებმა ხშირად არ იციან, რისი წაკითხვა სურთ, სანამ ისინი წიგნს არ ნახავენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ, თაროდან წიგნი პირადად გადმოიღონ, დაათვალიერონ, იქვე წაკითხონ, ან შემდეგ სახლში წაიღონ.

ცხადია, მოსწავლეების წიგნების თაროებთან მიშვება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. მათ უნდა ვასწავლოთ, თუ რა უყონ თაროდან გამოღებულ წიგნებს, თუ როგორ უნდა მოეპყრან მათ. თაროებზე მიმაგრებული იარლიყები მოსწავლეებს მიანიშნებენ, თუ სად შეიძლება მათთვის საინტერესო თემაზე წიგნის პოვნა. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლეების ასაკი. სასურველია დაწყებითი საფეხურისთვის ცალკე ბიბლიოთეკის გაკეთება. ეს ამცირებს პატარების კონკურენციას უფროსებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ პატარების წიგნები მათთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე იყოს განლაგებული.

მოსწავლის მიერ წიგნის მოძებნის ეს ჩვევა არ გულისხმობს კატალოგების გაუქმებას. კატალოგის გამოყენების სწავლება ასევე მნიშვნელოვანი ჩვევაა, რომელიც ზრდასრულობისასაც ძალიან გამოადგებათ ჩვენს მოსწავლეებს.

- ბიბლიოთეკების არაკომფორტულობას ხშირად ისიც განსაზღვრავს, რომ ბიბლიოთეკები პატარა ოთახებშია ხოლმე განლაგებული. აქ იშვიათად არის ადგილი იმისთვის, რომ მოსწავლეები დასხდნენ და წიგნები წაკითხონ. სკოლებში, სადაც ასობით და, ხშირად, ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს, იშვიათად არის ბიბლიოთეკაში 15 სკამზე მეტი. ამ პრობლემის გადასაჭრელად სკოლამ უნდა გაიზაროს ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და შეეცადოს, რომ ის ისეთ სივრცეში განათავსოს, რომელიც წიგნების საწყობის გარდა, მოსწავლეების თავშეყრის ადგილიც იქნება.
- ბიბლიოთეკა იშვიათად არის სასწავლო პროცესის ნაწილი. მასწავლებლები იშვიათად იყენებენ იმ რესურსებს, რაც სკოლაში არსებობს. ქართულის ბევრი მასწავლებელი განიცდის იმას, რომ მოსწავლეები ცოტას კითხულობენ. სწორედ ამ პრობლემის გადანყვევტას ხელს უწყობს

მრავალფეროვანი ლიტერატურის შეთავაზება მოსწავლეებისთვის. გარდა საკლასო ბიბლიოთეკებისა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სასკოლო ბიბლიოთეკები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია იმისთვის, რომ ბავშვებს შევთავაზოთ ნიგნები, როგორც საკუთარი სიამოვნებისთვის, ასევე - საკლასო დავალებების შესასრულებლად.

- სკოლის ცხრილი ხშირად ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეებს მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ აქვთ შესაძლებლობა, ბიბლიოთეკაში წავიდნენ. ეს კი ისედაც შეზღუდულ რესურსს კიდევ უფრო გამოუყენებელს ხდის. ამიტომ, დასვენებების ხანგრძლივობის გაზრდა ასევე ხელს უწყობს ბიბლიოთეკის განტვირთვას. ბევრ დასავლურ ქვეყანაში, სასწავლო პროცესი ორ ნაწილად იყოფა. შუადღის შესვენება, რომელიც ხშირად თორმეტი საათისთვის იწყება და დაახლოებით ერთ საათს გრძელდება, სწორედ გამყოფის ფუნქციას ასრულებს. ამ შესვენებისას მოსწავლეები მრავალ რამეს ასწრებენ. ის, ვინც ნიგნებით ინტერესდება, ამ დროის ნაწილს სწორედ ბიბლიოთეკაში ხარჯავს.
- ბიბლიოთეკა იშვიათად არის სკოლაში ცენტრალურ ადგილას. ხშირად ეს ოთახი კორიდორის ბოლოში, ან რომელიმე ფლიგელის კუთხეშია განთავსებული. ეფექტურია, როდესაც ბიბლიოთეკასთან გავლა მოსწავლეებს ხშირად უწევთ. თუ ბიბლიოთეკას ასევე შუშის კარი აქვს ან კორიდორისგან ფანჯრებითაა გამოყოფილი, მაშინ მოსწავლეები გარედანვე ხედავენ, შიგნით რა ხდება. ამ შემთხვევაში, დიდია ალბათობა, რომ შემთხვევითი გამწვლევიც დაინტერესდება და შეივლის ბიბლიოთეკაში.
- ბიბლიოთეკის გარემო არ არის მოწყობილი ისე, რომ აქ მოსწავლეებისთვის შესაძლებელი იყოს რაიმე პროექტზე ერთობლივად მუშაობა. ბიბლიოთეკებში საუბარი ძირითადად აკრძალულია ხოლმე. ეს გასაგებია კიდევ, რადგან მოსწავლეების საუბარმა შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ, ვინც კონცენტრირებას ცდილობს. თუმცა, შესაძლოა გარკვეული სივრცე, კუთხე ან ასევე სპეციალური დრო იყოს გამოყოფილი იმისთვის, რომ მოსწავლეებმა იქ ერთობლივად იმუშაონ, იმსჯელონ, განიხილონ სხვადასხვა საკითხი.

- სკოლის ბიბლიოთეკებში იშვიათად არის პერიოდული ლიტერატურა, რაც შესაძლოა უფრო საინტერესო იყოს ზოგიერთო მოსწავლისთვის ან მასწავლებლისთვის, ვიდრე წიგნები. პერიოდული ლიტერატურის გამოწერა ცხადია გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაშინ, როდესაც სკოლას არ აქვს შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტში არსებული თანხის ფარგლებში დააფინანსოს ბიბლიოთეკაში პერიოდული ლიტერატურის გამოწერა, საუკეთესო გამოსავალი ფონდების მოძიებაა. ადამიანები უფრო მეტი მზადყოფნით დებენ ფულს იმისთვის, რასაც კონკრეტული შედეგი მოჰყვება, ვიდრე აბსტრაქტული მიზნებისთვის. როდესაც ბიბლიოთეკა ფულს აგროვებს ზოგადად ლიტერატურის შევსებისთვის, მაშინ ნაკლებია დამფინანსებლების მოტივაცია, ვიდრე მაშინ, როდესაც კონკრეტულად ვასახელებთ თანხას და ჟურნალების/გაზეთების რაოდენობას, რომლის გამოწერასაც შევძლებთ ამ თანხით.

ბიბლიოთეკების შეზღუდული სივრცის გასაწვრივებად შესაძლებელია ბიბლიოთეკის მიმდებარე კორიდორების გამოყენება. წიგნების ნაწილი შეიძლება კორიდორშიც, ბიბლიოთეკის დარბაზის კედელზეც გამოვიტანოთ, მაგიდების და სკამების ნაწილი იქვე დავდგათ. ბიბლიოთეკის სივრცის გაზრდის ერთ-ერთი ფორმაა ასევე ვირტუალური სივრცის გამოყენება, სადაც ელექტრონული მასალების განთავსება იქნება შესაძლებელი.

დასარულისთვის

სკოლა კომპლექსური სისტემაა, სადაც ყველაფერი, რაც მისი ნაწილია, დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ თავის ძირითად მიზანს - მოსწავლეების განათლებას, სწავლასა და აღზრდას ეფექტურად ემსახურებოდეს. ნებისმიერი სკოლა, მათ შორის, ყველაზე ღარიბიც კი, მრავალ საშუალებას ფლობს იმისთვის, რომ სისტემა წარმატებული იყოს. ამ საშუალებებს შორის სკოლის ფიზიკურ გარემოს დიდი როლის შესრულება შეუძლია თბილი, სწავლისადმი პოზიტიური განწყობის განმაპირობებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა თავისი ფიზიკური გარემო საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე შეისწავლონ და გამოიყენონ. სკოლის შენობა, ის სივრცეები, რომლებიც სკოლებში არსებობს, სწორად დაგეგმვის გარეშე ხელის შემშლელი და არასათანადო აკადემიური თუ ცხოვრებისეული გაკვეთილების ჩატარების ადგილი შეიძლება გახდეს. ეფექტურად დაგეგმილი ფიზიკური სივრცე კი გვეხმარება სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აკადემიური მიზნების მიღწევასა და პოზიტიური ქცევების განმტკიცებაში.

სკოლებში ხშირად შეზღუდვებზე მეტად ფიქრობენ, ვიდრე შესაძლებლობებზე. შესაძლებლობებზე კონცენტრირება მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს მიდგომას არსებული გარემოს მიმართ. სკოლა კი ის გარემოა, სადაც ჩვენი მოქალაქეები (და, თავის დროზე, ჩვენც) ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ. ამ გარემოში გაცილებით მეტი დამალული რესურსი არსებობს, ვიდრე ამას ხშირად ჩვენ, სკოლის წევრები ვხედავთ. ამ განძის აღმოსაჩენად, შეგვიძლია, მარტო გადავეშვათ, ან თან ჩვენი მოსწავლეებიც წავიყვანოთ. ამ შემთხვევაში, საინტერესო თავგადასავალიც გარდაუვალია და დაფარული სიმდიდრეც მრავლად იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Darling Hammond, Linda, Redesigning High Schools, What Matters and What Works, School Redesign Network, 2002 http://www.srnleads.org/data/pdfs/10_features.pdf
2. De Gregori, Alessandro, Reimagining the Classroom: Opportunities to Link Recent Advances in Pedagogy to Physical Settings, McGraw-Hill, http://mcgraw-hillresearchfoundation.org/wp-content/uploads/2011/10/Reimagining_the_Classroom_DeGregoriFINAL.pdf
3. Larson Vaughan, Ellen, Elementary School, Steven Winter Associates, Inc., 2011 <http://www.wbdg.org/design/elementary.php>
4. Mullis, I.V.S., Et. al.. (2008), TIMSS 2007 International Mathematics Report: Findings from IEA's Trends in International Mathematics and Science Study at the Fourth and Eighth Grades, Chestnut Hill, MA: TIMSS & PIRLS International Study Center, Boston College.
